В целом подход Форрестера к определению вида зависимости представляется черезчур смелым, как с точки зрения самых мягких естественно-научных требований к строгости исследования, так и в сравнении с критериями, применяемыми при построении экономических моделей. Например, авторы утверждают, что общая структура зависимостей, важнее, чем их конкретный вид. Если влияние рассматриваемых в модели факторов выделено корректно, то на статистику могут наложить отпечаток факторы, не учитываемые в модели, в первую очередь, институциональные и т.п.

Нам кажется, что устойчивое развитие мировой системы, исследуемой в модели Форрестера, можно наблюдать лишь при выполнении ряда определенных модификаций и достаточно жестких мер.

Литература:

1. Чернавский Д. С., Старков Н.И., Щербаков А. В., Карп В.П., Никитин А. Л. Динамическая модель поведения общества. Синергетический подход к макроэкономике // Новое в синергетике: Взгляд в третье тысячелетие. М.: Наука. -2002.
2. История и математика: Модели и теории // Отв. ред. Л. Е. Гринин, А. В. Коротаев, С. Ю. Малков. М.: ЛКИ. _ 2008.
3. Медоуз Д. Л., Медоуз Д. Х., Рандер С. Ё, За пределами роста. М.: Прогресс, Пангея. -1994.
4. Petri A., Carter A. Resources, environment and the balances of payments. 1980.
5. Подлазов А. В. Основное уравнение теоретической демографии и модель глобального демографического перехода // Препринт ИПМ им. М.В. Келдыша РАН. 2001. -№88.
6. Малков А .С., Коротаев А. В., Халтурина Д. А. Математическая модель роста населения Земли, экономики, технологии и образования // Препринт ИПМ им. М.В. Келдыша РАН.-2005.-№13.
7. Форрестер Дж. Мировая динамика. М.: Наука. — 1978.
8. Подлазов А. В. Теоретическая демография. Модели роста народо населения и глобального демографического перехода // Новое в синергетике. — М.: Наука. — 2003. С. 324-345.
9. Коротаев А. В., Малков А. С. Халтурина Д. А. Законы истории: Математическое моделирование, Мир-Системы. Демография. Экономика. Культура. М.: УРСС. — 207.
10. Total midyear population for the world: 1950-2050. <http://www.census.gov/ipc/www/worldpop.html>

0502 – ფიზიკის მეცნიერებანი

ანა აბაშიძე

ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების ფიზიკური ფიზიკური მახასიათებელი პარამეტრები

ფიზიკური სიდიდე – თვისებაა, რომელიც საერთოა თვისობრივ მიმართებაში მრავალი ფიზიკური ობიექტისათვის (ფიზიკური სისტემებისათვის, მისი მდგომარეობისა და მასში მიმდინარე პროცესებისათვის), ხოლო რაოდენობრივ მიმართებაში ინდივიდუალურია თითოეული ობიექტისათვის. ფიზიკური სიდიდე გამოიყენება ფიზიკური ობიექტების იმ თვისებებისა და მახასიათებლებისათვის, რომლებიც ემორჩილება გაზომვებს. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ცდების გზით. ფიზიკური სიდიდის მნიშვნელობის განსაზღვრას გაზომვა ეწოდება. გაზომვები საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ბუნების კანონზომიერებები და გვევლინებოდეს გარე სამყაროს შეცნობის ერთ-ერთ ელემენტად. ერთ-ერთი ძირითადი მეტროლოგიური ცნებაა ფიზიკური სიდიდის ერთეულები. ფიზიკური სიდიდის ერთეულს უწოდებენ ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც საფუძვლად დაედო მიღებული საყოველთაო შეთანხმებით.

ადამიანის ორგანიზმში ურთულესი ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს. გაზომვათა უმეტესობა მედიცინაში ფაქტიურად ფიზიკური და ფიზიკო-ქიმიური სიდიდეების გაზომვაა [1].

ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება გარკვეული პარამეტრებით ხასიათდება: როგორიცაა ორგანოების და სხეულის ნაწილების ტემპერატურა, სისხლის წნევა, გულის მაგნიტური ველის ინდუქცია, წინალობა, ბიოპოტენციალების დროზე დამოკიდებულება, ობიექტების იმპედანსი, ბიოდენი, გულისცემის და სუნთქვის სიხშირე, თვალის ოპტიკური მახასიათებელი და ა. შ.

ადამიანის სხეული განიხილება, როგორც (70-100) მგპც სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევების ანტენა, რომელსაც შეესაბამება (3,0-4,2) მ ტალღის სიგრძეები: რის გამოც ამ დიაპაზონში იგი 10-ჯერ მეტ ენერგიას შთანთქავს (პირველი თაობის პროცესორები).


ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებისას ელექტრულმა დენმა შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება, რომლის ხარისხი დამოკიდებულია ექვს ფაქტორზე: ესენია: დენის ძალის სიდიდე, ადამიანის ორგანიზმის ელექტრული წინალობა, დენის სახეობა და სიხშირე, ქსელის ძაბვა, ორგანიზმზე დენის ზემოქმედების ხანგრძლივობა და ორგანიზმში დენის გავლის გზა. მიკროამპერი, ანუ 10^{-6} -ის რიგის დენები ადვილად აღიქვრება ჩვენს სხეულში, თუმცა ჩვენ ასე მცირე დენს ვერ ვგრძნობთ. მაგ., მუშტის შეკუმშვისას ხელის კანში გადის 2-3 მკა ძალის ხანმოკლე დენი. ადამიანის მგრძნობელობა (უსიამოვნო ჟულის შეგრძნება) მასში გამავალი დენისადმი იწყება (3-5) მა-დან (მა= 10^{-3} ა), 10 მა-მდე დენი უკვე მტკივნეულია, ხოლო 1ა სიდიდის სასიკვდილოა. ადამიანის სხეულში გამავალი 50 მა ძალის მუდმივი ელექტროდენი საშიშია სიცოცხლისათვის, ხოლო 100 მა სასიკვდილოა. (25-100) მა სიდიდის დენი, რომელიც სხეულში გადის რამოდენიმე წამი, შეიძლება სიკვდილით დამთავრდეს, აგრეთვე 10 მა სიდიდის ცვლადი დენიც. ერთი და იმავე დენის ძალის დროს ცვლადი დენი უფრო სახიფათოა, ვიდრე მუდმივი. ცვლადი დენის სიხშირის გაზრდასთან ერთად, ადამიანის ორგანიზმის წინალობა მცირდება (10-20) კპც სიხშირის დროს შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანის გარეთა შრეს საერთოდ არ გააჩნია ელექტრული წინალობა. ადამიანი აღიქვამს მის ორგანიზმში გამავალ სამრენველო სიხშირის ცვლად დენს, როდესაც დენის ძალა (0,6-1,5) მა-ის ტოლია (მუდმივი დენისთვის – 5-7 მა). დენის ძალის გაზრდის დროს მისი ზემოქმედება ძლიერდება და 10 მა ცვლადი დენის (მუდმივი დენისათვის – 60-80 მა) ზემოქმედებისას ხდება ხელის კუნთების უნებლიე შეკუმშვა, რის გამოც ადამიანს არ შეუძლია სხვისი დახმარების გარეშე განთავისუფლდეს დენგამტარი ნაწილისაგან. 10 მა-ზე მეტი დენის დროს ხელი პარალიზდება და ძნელდება სუნთქვა. რაც მეტია დენის ძალა, მით უფრო სწრაფად ირღვევა ფილტვებისა და გულის მუშაობა. 100 მა და უფრო მეტი სიდიდის სამრენველო სიხშირის ცვლადი დენის დროს თითქმის მყისიერად (2-3 წმ-ის შემდეგ) წყდება ფილტვებისა და გულის მუშაობა. ელექტრული დენით დაშავების შედეგზე დიდ გავლენას ახდენს დაშავებულის სხეულში დენის გავლის გზა. თუ დენის გავლის გზაზე აღმოჩნდება სიცოცხლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოები, როგორიცაა გული, ფილტვები, თავის და ზურგის ტვინი, მაშინ დაშავების საფრთხე მეტად დიდია. ელექტროტრავმების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ დე-

ნის გავლის გზები მრავალგვარია: „ხელი-ხელი“, „ხელი-ფეხი“, „თავი-ფეხები“, „ფეხი-ფეხი“, და სხვა. ვინაიდან დენი უშუალოდ მოქმედებს ამ ორგანოებზე, ამიტომ ორგანიზმში დენის გავლის გზებიდან ყველაზე სახიფათოა გზა „მარჯვენა ხელი – ფეხები“, ხოლო ყველაზე უსაფრთხო გზა – „ფეხი-ფეხი“. „ფეხი-ფეხი“, შემთხვევაში გულზე გაივლის საერთო დენის 0,4 %-ი, ხოლო „ხელი-ხელი“-ს დროს კი – 3,3 %-ი. ადამიანის სხეულის წინალობა ცვლადი სიდიდეა იგი დამოკიდებულია კანის მდგომარეობაზე, გარემო პირობებზე, ელექტრული წრედის პარამეტრებზე და სხვა. ადამიანის სხეული ელექტროდენის გამტარია. ელექტრულ დენს დიდ წინალობას უწევს კანი. კანი შედგება ორი ძირითადი ფენისაგან. გარე-ეპიდერმისისა და შიგა-დერმისაგან. ეპიდერმისი თავის მხრივ შედგება რამოდენიმე ფენისაგან, რომელთაგან ყველაზე გარეთა ფენაა რქოვანა. მშრალ და დაუზიანებელ მდგომარეობაში რქოვანა დიელექტრიკია, მისი ხვედრითი წინალობა შეადგენს (10^5 - 10^6) ომს, რქოვანას დაზიანების შემთხვევაში ორგანიზმის წინალობა (1000-5000) ომამდე ეცემა. ადამიანის ორგანიზმის წინალობას თვლიან მუდმივად. რიცხობრივად იგი 1000 ომის ტოლია. ტენიანობა მნიშვნელოვნად ამცირებს წინალობას და მისი სიდიდე შეიძლება ორგანიზმის შიგა წინალობამდე 500 ომამდე დაეცეს. შიგა ორგანოების წინალობა უდრის (200-500) ომს. ადამიანის დაუტენიანებელი სხეულის წინალობაა (10-100) კომი-ის ფარგლებში, ხოლო დატენიანების შემთხვევაში ეცემა (800-1000) ომამდე. სასიკვდილო შედეგს ჰქონდა ადგილი 60 ვ-ზე ნაკლები ძაბვის დროს. მშრალ შენობებში დასამგებად ითვლება 36 ვ-მდე ძაბვა, ხოლო ნესტიან და ცხელ შენობებში მუშაობის დროს 12 ვ-მდე ძაბვა. რაც მეტია დენის მოქმედების დრო, მით უფრო მცირე სიდიდის დენია სახიფათო. პრაქტიკულად მიღებულია, რომ თუ დენის ზემოქმედების დრო არ აღემატება (0,1-0,2) წმ-ს, მაშინ უზრუნველყოფილია უსაფრთხოება. მექანიკური დაზიანება დენის ზემოქმედებით კუნთების უნებლიე კრუნჩხვითი შეკუმშვის შედეგია, რის გამოც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კანისა და სისხლძარღვების გაგლეჯვას, აგრეთვე სახსრების ამოვარდნას და ძვლების მოტეხილობასაც კი. ადამიანის ორგანიზმზე ელექტრული დენის ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ელექტრული შოკის, გულის მუშაობისა და სუნთქვის მოშლის გამო. გულის კუნთზე ელექტრული დენის ზემოქმედებისას წარმოიქმნება გულის ფიბრილაცია ანუ გულის კუნთის უჯრედების ქაოსური და სწრაფი არათანაბარი შეკუმშვა, რომლის დროსაც გული ვეღარ მუშაობს როგორც ტუმბო, რის გამოც წყდება ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა და შეიძლება მომენტალური სიკვდილით დამთავრდეს. ცვლადი დენის შემთხვევაში ზღვრული ფიბრილაციური დენის ძალა უდრის 100 მა-ს, მუდმივი დენის შემთხვევაში – (300-500) მას. 5 ა-ზე მეტი დენი მყისიერად აჩერებს გულს. გულზე დენის ხანგრძლივი მოქმედება მთავრდება მძიმე შედეგით. ფიბრილაციის გამო დენით დაშავების სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, თუ კარდიოციკლის რომელ ფაზას ემთხვევა გულზე დენის გავლის დრო. თუ დენის მოქმედების ხანგრძლივობა უდრის ან აღემატება კარდიოციკლის დროს (0,75-1) წამი გამავალი დენი გადაფარავს გულის მუშაობის ყველა ფაზას, რაც საშიშია ორგანიზმისათვის. თუ დენის მოქმედების დრო 0,2 წამით მოკლეა კარდიოციკლის ხანგრძლივობაზე, დაშავების სიმძიმე მკვეთრად მცირდება. ელექტრული შოკი არის ორგანიზმის თავისებური მძიმე ნერვულ-რეფლექტორული რეაქცია ელექტრული დენის ამგზნები მოქმედების საპასუხოდ, რასაც თან სდევს სუნთქვის, სისხლის მიმოქცევისა და ნივთიერებათა ცვლის სახიფათო მოშლა. შოკის მდგომარეობა გრძელდება რამდენიმე წუთიდან 24 საათამდე. რის შედეგად შეიძლება ორგანიზმი დაიღუპოს. ადამიანის ორგანიზმში დენის გავლა იწვევს თერმულ, მექანიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ზემოქმედებას, რაც გამოიხატება ელექტრული ტრავმებისა და ელექტრული დარტყმის სახით. ელექტრულ ტრავმებს მიეკუთვნება კანის მოლითონება. კანის მოლითონება არის კანის სიღრმეში ელექტრული რკალის მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით გამდნარი ლითონის უმცირესი ნაწილაკების შეჭრა (ლითონის მიერ კანქვეშ შეტანილი სითბო) [2,3,4,5,6,7,8].

ადამიანის სხეულში გამავალი დენი იწვევს სპეციფიკურ პროცესებს, რაც დამლუპველია ჯანმთელობისათვის. ორგანიზმზე დენის ზემოქმედების სამ ხარისხს ანსხვავებენ: საგრძნობი, არგამშვები და ფიბრილაციური. საგრძნობი დენი (0,6-10) მა იწვევს სუსტ ქავილს და ოდნავ ჩხვლეტას. ის არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო, მაგრამ, ხანგრძლივი ზემოქმედებისას საგრძნობი დენი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, იწვევს დაურწმუნებლობას და შეცდომებს მოქმედებაში. (3-5) მა დენი იწვევს ხელის მთელი მტევნის გაღიზიანებას. (8-10) მა დენის დროს ტკივილი მკვეთრად ძლიერდება და მოიცავს მთელ ხელს. ხელის მტევნისა და წინამხარის კუნთები უნებლიედ იკუმშება. არაგამშვები დენი (10-50) მა იწვევს აუტანელ ტკივილს, ამასთან ერთად კრუნჩხვა ისე ძლიერდება, რომ დაზარალებული ვერ შლის ხელს, რომელიც ხდება დენის გამტარი ნაწილი. (25-50) მა დენი მოქმედებს არა მარტო ხელის კუნთებზე, არამედ მთელ სხეულზეც, მკერდის კუნთების

ჩათვლით. ამ დროს ვინროვდება სისხლძარღვები, მაღლა იწევს წნევა, ძნელდება გულის მუშაობა, დაზარალებული კარგავს გონებას. ასეთი დენის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის შეწყვეტა და სიკვდილიც კი. ფიბრილაციური დენი 100 მა-მდე გაივლის იგივე გზას, აღწევს ღრმად მკერდში და ალიზიანებს გულის კუნთებს, ასეთი დენი ძალიან სახიფათოა: ზემოქმედების დაწყებიდან (1-2) წმ-ში იწყება გულის კუნთების ხშირი შეკუმშვა (ფიბრილაცია), წყდება სისხლის მიმოქცევა სისხლძარღვებში და ადამიანი კვდება. 1ა-ზე მეტი დენი (როგორც ცვლადი, ასევე მუდმივი) იწვევს გულის უეცარ გაჩერებას ფიბრილაციის მდგომარეობის გაუვლელად. ელექტროდენით დაზიანებისგან ადამიანის დასაცავად გამოიყენება ძირითადი და დამატებითი დამცავი ღონისძიებები. ძირითადი დამცავი ღონისძიებებია: დამინება და დანულება. დამინება სხეულის ელექტრული შეერთებაა დედამიწასთან, რის გამოც ხდება მუხტის მიწაში გადასვლა. დედამიწის სფერო ზომით გაცილებით აღემატება მის ზედაპირზე მყოფ სხეულებს, ამიტომ მასთან შეხებისას დამუხტული სხეული გადასცემს მას თითქმის მთელ მუხტს და ელექტრულად ხდება ნეიტრალური. ამ მოვლენას ეფუძნება ე.წ. ბიოკორექტორთა (ექსტრასენსთა) „ყველა სახის დაავადებისაგან განმაკურნებელი“ ზემოქმედება. პაციენტის ქარბი მუხტისაგან განთავისუფლება, რაც შესაძლებელია პიროვნებამ თავად განახორციელოს საკუთარი სხეულის დამინებით. მაგ., ონკანის მიღზე გარკვეული დროით ხელის დადებით, მიწაზე ფეხშიშველა სიარულით, მის სხეულთან ხანგრძლივად შეხებაში მყოფი საყოფაცხოვრებო ნივთების დამინებით [4,5,6,7,8].

ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ ვერცხლსა და ოქროს, როგორც უნიკალური თვისებების მქონე ლითონებს. მეცნიერთა აზრით, ჰიპერტონიით დაავადებულთათვის ვერცხლის ნაკეთობების ტარება რეკომენდებული არა არის, მათ ოქრო დაეხმარებათ, რომელიც ძლიერი მატონიზირებელი საშუალებაა და წნევის დარეგულირების ეფექტით გამოირჩევა. სასურველია, ვერცხლი ატარონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც თავის ტკივილი სტანჯავთ ან ხშირად არიან გაღიზიანებულნი, რადგან მეცნიერების აზრით, ვერცხლს დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, ოქრო კი პირიქით – ტონუსს მაღლა სწევს. თუ ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა გაქვთ, უნდა ატაროთ ქარვის სამკაული, ხოლო თუ ეს სამკაული (მაგალითად, ყელსაბამი) ვერცხლისგან არის დამზადებული, მაშინ გავლენა კიდევ უფრო სასიკეთო იქნება. (სიტყვა „ქარვა“, ბერძნულად ნიშნავს ელექტრონს, აქედან წარმოსდგა სიტყვა „ელექტრობა“).



ქსოვილის წინააღობის დამოკიდებულება ცვლადი დენის სიხშირეზე ნორმის პირობებში (1) და კვდომის პროცესში (2,3,4).

ცოცხალ ქსოვილებს ახასიათებს აქტიური (ომური) და რეაქტიული (ტევადური) წინააღობა. ცოცხალ ქსოვილებში ინდუქციური უბნები არ ვლინდება. მათ პასიურ ელექტრულ პარამეტრებს უწოდებენ. ჯამურ წინააღობას იმპედანსს უწოდებენ:

$Z = \sqrt{R_0^2 + R_c^2}$; R_0 - ომური წინააღობა, - ტევადური წინააღობა $R_c = 1/\omega c$; ციკლური სიხშირე ; **ხოლო ? – ცვლადი დენის სიხშირე.** როგორც აღვნიშნეთ, ბიოლოგიურ სისტემას ახასიათებს სხვადასხვა გამტარობის უბნები, რაც იწვევს მათში დენის გავლისას მუხტების დაგროვებას. ბიოლოგიური სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ომური და ტევადურ წინააღობათა შეერთების ისეთ კომბინაციად, რომელშიც არის როგორც პარალელურად, ასევე მიმდევრობით შეერთებული უბნები. ორგანოთა და ქსოვილთა უმეტესობას მაქსიმალური ელექტროგამტარობა ახასიათებს 10^6 ჰერცზე. კონდენსატორი ცვლადი დენისთვის, მუდმივისგან განსხვავებით, დიდი წინააღობა არ არის. ამიტომ ცვლადი დენის შემთხვევაში ბიოლოგიური ობიექტის ელექტროგამტარობის გაზომვით შეგვიძლია უფრო მდიდარი ინფორმაციის მიღება. ელექტროგამტარობის გაზომვის მეთოდი ბიოლოგიასა და მე-

დიცინაში გამოყენებულია ერთი მხრივ, ცოცხალ სისტემათა ელექტროფიზიკური მახასიათებლების შესასწავლად, მეორე მხრივ კი, მეტად მნიშვნელოვანია მათი ფუნქციური მდგომარეობის შეფასებისათვის. ცოცხალ ობიექტთა ელექტრული პარამეტრების მნიშვნელობა არსებითად არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორზე. მაგ., ადამიანის კანის ელექტროგამტარობა იცვლება მეტეოროლოგიური ფაქტორების: ტემპერატურის, წნევის, ტენიანობისა და სხვ. შეცვლის დროს. მათი მნიშვნელობა ასევე არსებითად არის დამოკიდებული ობიექტის ფუნქციურ მდგომარეობაზე. ცდებით დადგენილია, რომ ელექტროგამტარობის დისპერსია ქსოვილთა კვდომის პროცესში თანდათან მცირდება, მკვდარი ქსოვილისათვის კი დისპერსია საერთოდ არ აღინიშნება. მახასიათებელი პოლარიზაციული ეფექტები და ელექტროგამტარობის დისპერსია მხოლოდ ცოცხალი ობიექტებისათვის არის დამახასიათებელი. მკვდარი ქსოვილის წინააღმდეგობა სიხშირეზე არ არის დამოკიდებული (მე-4 გრაფიკი). ორგანიზმის ფუნქციონირებისას მის ცალკეულ ქსოვილებში და ორგანოებშიუმეტეს შემთხვევაში ლოკალური ბიოდენები წარმოიქმნება. ასეთი ბიოდენები მაგნიტური ველის სუსტი წყაროებია. სუსტი მაგნიტური ველი წარმოიქმნება ორგანიზმში სიგნალების, ნერვული გზებით მოქმედების პოტენციალის გავრცელებისას. მაგალითად, ბაყაყის საჯდომ ნერვში მოქმედების პოტენციალის გავრცელებისას წარმოიქმნილი მაგნიტური ველის ინდუქცია დაახლოებით $0,12$ ნტლ-ის ტოლია (16 ნტლ= 10^{-9} ტლ); ხელის გაშლის, ან მხრის მოხრის დროს, მის ზედაპირზე წარმოიქმნილი მაგნიტური ველის ინდუქცია კი $1 \cdot 10^{-5}$ ნტლ-ს უდრის. ადამიანის ორგანოებს შორის გულის მაგნიტური ველი ყველაზე უფრო დიდია და დაახლოებით დედამიწის მაგნიტურ ველზე ($H=0,5$ ერსტედ) მილიონჯერ ნაკლებია. გულის მაგნიტური ველის დაძაბულობა ცვლადი სიდიდეა. მისი სიხშირე (8-12) ჰც-ის ფარგლებშია. მაგნიტური ველი გულის ელექტრული ველის ცვლილების სინქრონულია. მიუხედავად იმისა, რომ ორგანოები და ქსოვილები სუსტ მაგნიტურ ველს წარმოქმნიან, თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია მათი დაძაბულობის (მაგნიტური ინდუქციის) გაზომვა ასეთ მეთოდებს მაგნიტოგრაფიას უწოდებენ [3,4,5].

გულის მოქმედება ავტომატურია. ავტომატიზმს ხსნიან აგზნების გაჩენით. გულის კუნთში აგზნებულ და აუგზნებელ უბნებს შორის ჩნდება პოტენციალთა სხვაობა ($0,001-0,01$ ვ-ია), ის წარმოქმნის ელექტრულ დენს, რაც გამოისახება ელექტრო კარდიოგრამით. პოტენციალთა სხვაობა სიდიდით ($60-90$) მვ-ის მილი ვოლტის ($მვ=10^{-3}$ ვ) ე.ი. ($0,06-0,09$) ვ-ია. ექსტრასენსი (ლათ. extra მეტისმეტად და sensus გრძნობა) – შეგრძნება, ე.წ. „ბიოველის“ მქონე პირია, რომელიც ამ თავისი თვისების გამოყენებით (ხელის დადებით) მკურნალობს ზოგიერთ დაავადებას. კანის გაღვანური რეფლექსი, სხვადასხვა გამღიზიანებლის მოქმედების, ან ფსიქიკური განცდის შედეგად კანის ორ უბანს შორის პოტენციალთა სხვაობის, ან ელექტრული წინააღმდეგობის ცვლილებაა, ჩვეულებრივ კანის გაღვანურ რეფლექსს აღრიცხავენ ამ ორი მაჩვენებლის გაზომვით ხელის მტევნის შიგნითა და გარეთა ან ორივე მტევნის შიგნითა ზედაპირს შორის. ბიოპოტენციალის უარყოფითი გადახრა, ან ელექტრული წინააღმდეგობის შემცირება გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემიდან მოსული იმპულსებით. გულის მთელი ციკლის ხანგრძლივობა დაახლოებით ($0,75-0,80$) წმ-ია; შესაბამისად, გულისცემის სიხშირე, ე.ი. შეკუმშვათა რაოდენობა წუთში – ($70-75$) ($50-100$); გულისცემის სიხშირეზე დიდი გავლენას ახდენს ინტენსიური კუნთოვანი მუშაობა, რომლის დროსაც მან შეიძლება ($160-200$)-სკარგად ნავარჯიშევ სპორტსმენებში კი – ($220-240$)-ს მიაღწიოს. ყველაზე დაბალი სიხშირეა ძილის დროს ($60-75$), პათოლოგიურ შემთხვევაში გულისცემის სიხშირე შეიძლება ძლიერ დაეცეს ($20-25$)-მდე. გულისცემის სიხშირის შეცვლა უმთავრესად დიასტოლის შემოკლების ხარჯზე ხდება. სრულიად ჯანმრთელი ადამიანის გულის ცემა 72 -ია. სუნთქვის სიხშირე კი 24 -ი ($16-20$). ახალშობილის გული წუთში ($130-160$)-ჯერ ძგერს [9,10].

ძილი ადამიანისათვის მეტად აუცილებელი რამ არის. სიცოცხლის ერთ მესამედს ძილში ვატარებთ. 75 წლიდან 25 წელი გვძინავს. ყველაზე დიდხანს ბავშვებს უნდა ეძინოთ – არანაკლებ 10 სთ, მოზრდილებს 4 -დან 10 სთ-მდე.

ადამიანს შეუძლია გაიგონოს 20 ჰც-დან $16\ 000$ ჰც-მდე სიხშირის (ახალგაზრდობაში – $20\ 000$ ჰც) ხმოვანი სიგნალი (ლაპარაკი, ბგერა, ხმაური, მუსიკა). ბგერების აღქმისათვის საჭიროა სიხშირეთა დიაპაზონი. დინამიკური დიაპაზონი ძირითადად იკავებს ადამიანის აღქმის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს – სიხშირის მიხედვით ($120-8000$) ჰც-ს ხოლო ინტენსივობის მიხედვით ($50-90$) დბ-ს [2].

თვალი აღიქვამს სხივური ენერგიის ნაკადს (შუქს), რომელიც წარმოადგენს ელექტრომაგნიტურ რხევებს, რომელთა ტალღის სიგრძეები მდებარეობენ ($396-760$) ნმ-ის (მილიმიკრონის) ფარგლებში (ოპტიკური დიაპაზონი) 1 ნმ= 10^{-7} სმ. სატელევიზიო გამოსახულების სიგნალების ძირითადი პარამეტრების – მინიმალური სიხშირის, კადრების სიხშირის შერჩევა მჭიდროდაა დაკავშირებული მხედ-

ველობის განსაკუთრებულ თვისებებთან. მხედველობის აღქმის ინერციულობა – ადამიანის თვალს მიღებული სინათლით შთაბეჭდილება შეუძლია შეინარჩუნოს (0,1-0,4) წმ-ის განმავლობაში, მას შემდეგ რაც თვალზე შუქის ზემოქმედება შეწყდება დროის იმ მონაკვეთით, რომლის განმავლობაშიც ფოტოქიმიური რეაქციები მიმდინარეობს. მოძრაობის განუწყვეტლობის შთაბეჭდილება გვრჩება, თუ კადრების რიცხვი, რომლებიც ერთმანეთს თითოეულ წამში ცვლიან, 24-ზე ნაკლები არაა. თუ კადრების რიცხვი წამში ნაკლებია, მოძრაობა წყვეტილი (მოციმციმე) ხდება. ეს შეიმჩნევა ძველი კინოფილმების ნახვისას, რომლებიც გადაღებულია წამში 16 კადრის სიჩქარით. კინოფილმის პროექციის დროს გამოიყენება სიჩქარე წამში 24 კადრი. სატელევიზიო ეკრანზე ასახული ერთი სრული კადრი აშშ-ში (კანადაში, იაპონიაში, კარიბის ზღვის ქვეყნებში). სატელევიზიო გამოსახულება (NTSC) ფორმირდება 525 სტრიქონის შემცველი 30 ცალკეული კადრისაგან წამში, ხოლო დიდ ბრიტანეთში (ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში) (PAL) – 625 სტრიქონის შემცველი 25 ცალკეული კადრისაგან წამში, რაც სრულიად საკმარისია გლუვი მოძრაობის შთაბეჭდილების მისაღებად. SECAM სატელევიზიო მაუწყებლობის სტანდარტი (საფრანგეთი, აღმოსავლეთ ევროპა, ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნები), რომელიც იყენებს 819 სტრიქონულ გამოსახულებას და უზრუნველყოფს PAL-ზე ან NTSC-ზე უკეთეს ხარისხს; SECAM-ი გამოიყენება საფრანგეთში და აღმოსავლეთ ევროპაში. სატელევიზიო ტრანსლაციის სტანდარტი რომელიც უზრუნველყოფს ნათელ და ბევრად ხარისხიან გამოსახულებას ვიდრე არსებული სტანდარტები; არსებობს რამოდენიმე ასეთი სტანდარტი – იაპონური სტანდარტი MUSE იყენებს 1125 ხაზს თითოეულ კადრზე, ხოლო ევროპული სტანდარტი HD-MAC, იყენებს 1250 სტრიქონს კადრზე. გამოსახულების ფორმატია (4:3). ეს შეესაბამება კარგი ხედვის პირობებს, რომლის კუთხური სიდიდეებია 120° ვერტიკალთან, ან 160° ჰორიზონტალთან. მონიტორების სიგანის სიგრძესთან შეფარდებაა, რის გამოც ეკრანის ზომა ჩვეულებრივად განისაზღვრება დიაგონალის სიგრძით. კინესკოპის ეკრანის დიაგონალური ზომების სტანდარტებია: 16 სმ; 23 სმ; 31 სმ; 35 სმ; 47 სმ; 50 სმ; 53სმ; 59 სმ; 67სმ.

ადამიანის სალი თვალის მთავარი ფოკუსური მანძილი 25 სმ-ის ტოლია. ადამიანის თვალის ღრუ ამოვსებულია გამჭვირვალე სითხით, რომლის გარდატეხის მაჩვენებელი შეადგენს 1,33-ს; ხოლო თვალის ბროლისა 1,44-ს. სხეულის გამოსახულება, რომელსაც თვალი ხედავს, ბადურაზე თავსდება. იგი ნამდვილი, შემცირებული და შებრუნებულია. საგნის პირდაპირ, არაშებრუნებულ გამოსახულებას ადამიანი ხედავს თავის ტვინის მაკორექტირებელი მოქმედების შედეგად ამიტომ, რომ ერთ თვემდე ბავშვი ყველაფერს თავდაყირა ხედავს. არსებობს ისეთი თვალი, რომლის მთავარი ფოკუსური მანძილი 25 სმ-ზე მეტი ან ნაკლებია. თუ მეტია, ასეთ თვალს შორსმხედველს უწოდებენ, ხოლო თუ ნაკლებია – ახლო მხედველს ან ბეცს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგი თვალის სიმრუდე ნორმალურზე ნაკლებია, ზოგისა კი – მეტი. სიმრუდესა და მთავარ ფოკუსურ მანძილს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს, თვალის მესამე სახის ნაკლია ასტიგმატიზმი(ბერძ.) მინის ან თვალის ისეთი ნაკლია, როდესაც ერთი წერტილიდან გამოსული სხივები კვლავ არ გროვდება მინის ან თვალის ბადურის ერთ ფოკუსში და გამოსახულება ბუნდოვანი გამოდის. ასტიგმატიზმის მქონე თვალის რქოვანას ან ბროლის სიმრუდე არაერთგვაროვანი აქვს. ასეთი თვალის ზედაპირი ტალღისებრია, რის გამოც მას ერთი მთავარი ფოკუსის ნაცვლად მრავალი ფოკუსი აქვს. სინათლის წყაროდან გამოსული ან საგნიდან არეკლილი სხივები ოპტიკურ ღერძს სხვადასხვა წერტილში გადაკვეთენ. ამის შედეგად მკვეთრი გამოსახულების ნაცვლად მიიღება გაბნეული, განთრხმული გამოსახულება, სამივე ნაკლოვანება შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი. არის მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ზოგიერთ ფერს, მეტწილად მწვანესა და წითელს. დალტონიზმი არის ნაწილობითი ფერიითი სიბრმავე. ალბათ, ყველამ იცის, რომ ე.წ. მაგნიტურ დღეებში, საწოლი, რომელზეც გძინავთ, უნდა დადგათ ისე, რომ თავი ჩრდილოეთისკენ გქონდეთ მიქცეული, რადგან ასეთ შემთხვევაში გეომაგნიტური ველის ძაღწირები სხეულის პარალელურია და ამ დროს თავის ტვინი, ნერვები უკეთ ისვენებენ.ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციით ნორმალურადაა მიჩნეული სისტოლური 140 მმ.ვწყ. სვ.-მდე და დიასტოლური 90 მმ.ვწყ.სვ.-ის. სისტოლა /ბერძ./ – გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა შეკუმშვაა. დიასტოლა – ერთ-ერთი ფაზა, მოშვება, მოდუნება, რომელიც მოსდევს მის შეკუმშვას (სისტოლას) [11.12].

ამ პარამეტრების გაცნობა საინტერესოს, ზოგჯერ კი მისი ცოდნა აუცილებლობასაც წარმოადგენს. ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია გეომაგნიტური ველი, რადგან გამოთვლილია, რომ ყოველი მაგნიტური ქარიშხლის დროს 1-2

მილიონი ადამიანი იღუპება მსოფლიოში, და შესაბამისად ინტერესი ამ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან დიდია. მაგნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლადუნდა დავიცვათ გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებები, რეკომენდაციები და გავითვალისწინოთ რჩევები.

„პოლიგრაფი“, ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ჩანაწერთა სიმრავლეს“. პრიორიტეტი ამ ხელსაწყოს შექმნაში, რომელიც ერთდროულად ახდენდა სუნთქვისა და წნევის რეგისტრაციას (შემდგომში პულსის დაფიქსირებაც), ეკუთვნის ამერიკულ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს დ. ლარსონს. მან 1921 წელს გააკეთა ხელსაწყო, რომელსაც დროთა განავლობაში მიიღო სახელწოდება „სიცრუის დეტექტორი“. შემდეგში ადამიანის ორგანიზმის რეაქციის რეგისტრაციის რიცხვი იზრდებოდა. 1945 წელს მოდერნიზებული პოლიგრაფი აფიქსირებდა ადამიანის წინამხრის, ბარძაყებისა ფეხების კუნთების შეუმჩნეველ მოძრაობებსაც. პოლიგრაფი, არსებითად, მრავალმიზნობრივი ხელსაწყო, რომლის დანიშნულებაც ერთდროულად მოახდინოს რამდენიმე ფიზიოლოგიური პროცესის 4-დან 16-მდე რეგისტრაცია, რომლებიც დაკავშირებულია ემოციების წარმოშობასთან: სუნთქვა, სისხლის წნევა, ბიოდენები (ტვინის, გულის, ჩონჩხისა და გლუვი მუსკულატორის და ა.შ.). ამ სახის ხელსაწყოები ფართოდ გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში (განსაკუთრებით, რეანიმაციული მიზნებისათვის), სამედიცინო-ბიოლოგიურ გამოკვლევებში, გამოყენებით ფსიქოფიზიოლოგიაში, რომლის ერთ-ერთ კერძო ნაწილს წარმოადგენს სიცრუის დეტექცია. სპეციალური ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევა – ეს რთული მრავალეტაპიანი პროცედურაა, რომლის დროსაც პოლიგრაფი ასრულებს ერთდერთ ფუნქციას – არეგისტრირებს ადამიანის ორგანიზმის სწრაფად-მიმდინარე რეაქციებს მისთვის გადაცემული ინფორმაციის პასუხად. შემდგომში მეცნიერულმა დამუშავებამ, პოლიგრაფის ექსპერიმენტალურმა და უფრო ფართო პრაქტიკულმა გამოყენებამ მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ ამ ხელსაწყოს ჩვენება სავსებით ობიექტურია. მაგრამ, პოლიგრაფი ახდენს არა სიცრუის რეგისტრაციას, არამედ გამოსაცდელი პირის ბუნებრივ, ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს, რომლებიც აჩვენებენ თუ, სახელდობრ რომელი სახეები, ობიექტები და, კერძოდ, როგორი ინფორმაცია იწვევს გამოკვლევის ქვეშ მყოფ პირის დაძაბულობას, დისკომფორტის მდგომარეობას. ითვალისწინებენ რა ადამიანის ორგანიზმის ფიქსირებადი რეაქციის ობიექტურ ხასიათს, პოლიგრაფის გამოყენებას მრავალ ქვეყანაში ახორციელებენ [13].

ადამიანთა საზოგადოების მდგრადი განვითარება ცხოვრების ის წესია, რომელიც მომავალში ღირსეული ცხოვრების საშუალებას იძლევა. განვითარება ისეთი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს აწმყოს მოთხოვნილებებს, ისე რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის შესაძლებლობა თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ადამიანის ორგანიზმში ურთულესი ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს. გაზომვათა უმეტესობა მედიცინაში ფაქტიურად ფიზიკური და ფიზიკო-ქიმიური სიდიდეების გაზომვაა. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, გარკვეული პარამეტრებით ხასიათდება. ამ პარამეტრების გაცნობა საინტერესოს, ზოგჯერ კი მისი ცოდნა აუცილებლობასაც წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. ციბაძე ა., და გოცირიძე ნ., (1996). სამედიცინო აპარატურა. თბილისი.
2. ვეფხვაძე გ. (1979). ზოგადი ფიზიკის კურსი. ნაწილი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ასათიანი ა., ზაქარაია ა., გიცირიძე ნ., და ხუციშვილი ლ.. (2005). სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა. თბილისი: სტამბა „ცისნამი“.
4. ცარციძე მ., და ლომსაძე ბ.. (1995). ბიოფიზიკის საფუძვლები. თბილისი. (ბიოლოგიის კათედრა).
5. ასათიანი ა., ზაქარაია ა., გოცირიძე ნ., ანთია რ., ჭიჭინაძე გ. და კობაიძე მ.. (2007). სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა (ციბაძე ა., და კვაჭაძე ი. რედ.). თბილისი. 3/5563
6. კუნჭულია. თ., ლურსმანიშვილი, მ., მაჭავარიანი, ნ., ჯიქია,მ., და გეორხელიძე, დ. (2008) შრომის დაცვა. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
7. ქვარაია ი., (2009). დამხმარე სახელმძღვანელო ელექტრომომონტაჟეთა შეგირდებისათვის. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
8. ჯვარელია, ნ., და ჩხეიძე, ლ. (2009). შრომის უსაფრთხოება (ინფორმატიკა და მართვის სისტემები). თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
9. გაბისონია, ი. (2008). სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. VI ტ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია.

10. ტატიშვილი, ქ. მასწავლებლის წიგნი. დიოგენე.
11. სტატიის ავტორი: მაიკოლომსაძეპარატულიდიაგნოსტიკა<http://diagn.co.cc/page316.htm>
12. <file:///localhost/C:/Documents%20and%20Settings/ana/Desktop/Advanced%20Medical%20Technologies%20&%20Service.mht>
13. ფიცხელაური, შ., (2005) სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში. (თეორია და პრაქტიკა). თბილისი.

Ann Abashidze

Some physical characteristic parameters of the human being as a biological creature

Summary

The human body passes very complex chemical, physical and biological processes. In the field of medicine majority of measurements are the measurements of physical and physico _ chemical quantities. The human being as the biological creature is characterized by certain parameters. To get familiar with these parameters are interesting and sometimes even its knowledge is necessary.

0502– ფიზიკის მეცნიერებანი

ანა აბაშიძე

ალტარნატიული ენერგია

ქვეყნის ტექნიკური განვითარების დონის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი არის მისი ენერგეტიკის და უპირველეს ყოვლისა, ელექტროენერგეტიკის (ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების) მდგომარეობა. ცივილიზებული სამყაროს არსებობა დღეს ელექტროენერგიის გარეშე წარმოუდგენელია. ქვეყნის ეკონომიკის წარმართველი დარგია და აგრეთვე მისი მდგრადი განვითარების საფუძველი. ენერგეტიკის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე პროგრესული, რაც სწავლებისა და მეცნიერების სფეროში ხორციელდება, მომავლისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადების საქმეს ემსახურება. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა Minor „ენერგეტიკის“ მიზანია საბაზო განათლების მიცემა შრომის უსაფრთხოებაში, ელექტრული წრედების თეორიაში, ელექტრონიკაში, ელექტროტექნიკურ მასალებში, ძალურ ელექტრონიკასა და პრაქტიკულ ელექტრონიკაში, რელეურ დაცვასა და ავტომატიკაში, ელექტრული ენერგიის გადაცემასა და განაწილებაში. სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს უნარი, მიღებული ცოდნა გამოიყენოს: ელექტრული ენერგიის გადაცემისა და განაწილების სფეროში, ტექნიკაში, სამრეწველო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო კომპანიებში, კომპიუტერული და ელექტრონიკის სერვისულ სფეროში, სამედიცინო დიაგნოსტიკურ ცენტრებსა და დაწესებულებებში. სასურველია მიღებული განათლების საფუძველზე უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობისა და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, უნდა მომზადდეს ენერგეტიკის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ამ სფეროში პრაქტიკულ საქმიანობას[1,2,3].

„ენერგეტიკის“ სპეციალობის IV კურსის სტუდენტთა სამუშაო გეგმის საღებავი კურსი – ელექტრული ენერგიის გადაცემა და გავრცელების საფუძვლიანად შესწავლა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. ამ მიზნით სტუდენტები ასოცირებული პროფესორის გოგი ჭონიშვილის ხელმძღვანელობით 2012 წლის 24 მაისს ხადორის ჰიდროელექტროსადგურს ეწვივნენ. ჰესის თანამშრომლებმა არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვინიეს, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით და გამოვხატავთ მადლიერებას. ამ დაგრთან დაკავშირებულ საკითხებთან მათ ბევრი საინტერესო და საგულისხმო რამ გვიამბეს: ხადორჰესი ექსლუატაციაში 2004 წელს შევიდა. ობიექტის ადგილმდებარეობაა: სამყურისწყალი, კახეთის რეგიონი, ახმეტის რაიონი, პანკისის ხეობის სოფელი ხადორის (Xadori). ობიექტის GPS კოორდინატებია: X=529056 Y=4680273. სოფელი ხადორი ახმეტის რაიონში მდინარეების, ალაზნისა და სამყურისწყლის შესართვთან მდებარეობს. ხადორი ალაზნის ხეობის ბოლო სოფელია. სოფელი ტყეშია. ფიცრული სახლები ერთმანეთის მოშორებით დგას.ხადორში მისასვლელი გზა ცუდ მდგომარეობაშია. გზის პირას კლდეები იშლება და მგზავრებს საფრთხეს უქმნის. ჩინელი ინვესტორების დაფინანსებით, რომლებიც ხადორის ჰიდროელექტროსადგურს ფლობენ, გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები პერიოდულად ტარდება.სეზონური რეგულირებისჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრეა 24 მგვტ., საშუალო წლიური გამომუშავება 100 მლნ. კვტსთ.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი საქართველოს და ჩინეთის მეგობრობის სიმბოლოა ახალი აბრეშუმის გზაზე. ხადორის ჰესის ტექნიკური პარამეტრები ასეთია: დადგმული სიმძლავრე 24 მგვტ; 2 ტურბინიანი; წნევა 278 მმწყსვ; ხარჯი 5,05³/; ბრუნთა რიცხვი 375; გაქცევის ბრუნთა რიცხვი 680; მარგი ქმედების კოეფიციენტი 91%; საქმენის გალების დრო 15 წმ; საქმენის დახურვის დრო 30 წმ; მუშა თვალის დიამეტრი 180 სმ; ჭავლის დიამეტრი 15,1 სმ; სიჩუანის ელექტროენერგეტიკული კორპორაცია (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). მდინარე სამყურა – ხადორჰესი; ჰესის ტიპი: დერივაციული, მოდინებაზე. ობიექტის შემადგენლობა და აღწერა: სათავე კვანძი, სადერივაციო და წნევიანი მილსადენი, გამთანაბრებელი რეზერვუარი, სადანწეო აუზი, სატურბინე მილსადენი, ჰესის შენობა, გამყვანი არხი. სათავე ნაგებობა შედგება ტიროლის ტიპის წყალმიმღებისაგან, სიმაღლით 3.0მ, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მაქსიმალური ხარჯის გატარებას, ასევე რ/ბეტონის წყალმიმღებისაგან და გამრეცხიანი სალექარისაგან. დერივაცია წარმოადგენს დაწნევიან ლითონის მილსადენს დიამეტრით 1,6 მ სიგრძით 3,0 კმ. დერივაციის ბოლოში მოწყობილი ლითონის გამთანაბრებელი რეზერვუარი დიამეტრით 1.6 მ. სატურბინე მილსადენი წარმოადგენს 1.2 მ დიამეტრის ლითონის მილს. ჰესის შენობა მინისზედა ნაგებობაა ზომებით გეგმაში 12X24,0 მ, სიმაღლით 18,0 მ.

გამყვანი დახურული არხი სწორკუთხა კვეთის რ/ბეტონის ნაგებობაა ზომით 2.5X2.5 სიგრძით 70,0 მ.

ხადორჭესის თანამშრომლებისგან გავიგეთ ბევრი რამ საინტერესო: 5.4 მგვტ ხადორი 2 მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესახებ... კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოსა და გარემოს დაცვის სამინისტროში 2009 წლის 26 აგვისტოს (განმეორებით 2011 წლის 8 ივლისს) შპს „ფერიმ“ გააგზავნა შეტყობინება „5.4 მგვტ ხადორი 2 მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის“ „წინასწარი განხილვის“ შესახებ. სგმ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია ემისიის წლიური შემცირება დაახლოებით 14,000 ტCO ექ-ით. 10. ალპანაჰესის პროექტი.

2011 წლის ივნისში სამინისტრომ გასცა ბრძნება ალპანაჰესის² პროექტის მიმართულებაზე. პროექტის სავარაუდო ღირებულება 4 100 000 ევროს შეადგენს. პირველად იქნა შემუშავებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები და საავტორო უფლების დაცვით მიწოდებული სემეკი-სათვის (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია), რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება გასცეს ნებართვა ახალი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით კათედრის თანამშრომლების მიერ შექმნილი პროექტების მიხედვით განხორციელდა რამდენიმე მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესის მშენებლობა, რომლებიც ამჟამად წარმატებით ფუნქციონირებენ (ასპინძა ჰესი მდ. მტკვარზე (სიმძლავრე 1,5 მგვტ), ხადორი ჰესი მდ. ალაზანზე (სიმძლავრე 25 მგვტ).

ცნობილია, რომ საქართველოს გააჩნია დიდი რაოდენობით ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რომლის მხოლოდ 12%-ია ათვისებული. განხორციელებულ ელექტროსადგურებს შორის აღსანიშნავია უნიკალური ენგურჰესი, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1 300მგვტ-ს და იძლევა 4,5 მილიარდ კვტ.სთ-ს წელიწადში. მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოს ელექტროენერგიის დეფიციტი გააჩნია, რომელსაც შემოდგომა-ზამთრის სეზონში ფარავს მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემიდან ელექტროენერგიის შესყიდვა. ასევე ცნობილია, რომ საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული რესურსი აღემატება 80 მილიარდ კვტ.სთ-ს, საიდანაც ამჟამად განხორციელებულ 20-ზე მეტი საშუალო სიმძლავრის ჰესების ტექნიკური მონაცემების მიხედვით ათვისებულია 10 მილიარდი კვტ. საათი. ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში ჩადებული ინვესტიციები ათვისებული იქნება ქართველი ინჟინრებისა და მუშა-მოსამსახურე პერსონალის აქტიური მონაწილეობით. ამის განხორციელებას კი აუცილებლად სჭირდება ახალი ტიპის სპეციალისტები, რომლით უზრუნველყოფა საქართველოში შესაძლებელი გახდება ახლო მომავალში და ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიც შეიტანენ გარკვეულ წვლილს ამ მიმართულებით.

ენერგეტიკა საზოგადოებრივი წარმოების დარგია, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან. შესაძლებელია სხვადასხვა სახეობის ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად. ამან გამოიწვია ელექტრო ენერგიის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. ელექტროფიკაცია გახდა ტექნიკური პროგრესის საფუძველი. ელექტროტექნიკურ დარგში მოპოვებულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო ჰიდრო-, თბო-, და ელექტროენერგეტიკის განვითარებას.

ბირთვული ენერგეტიკის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებამ დასაბამი მისცა ატომურ ელექტრო სადგურს. პირველი ატომური ელექტროსადგური 1954 წელს ამუშავდა.

მსოფლიო ენერგეტიკული რესურსებს განეკუთვნება: ატომური სახეობის გარდა ნავთობი, ბუნებრივი აირი, ფიქალი, ტორფი, შეშა) არსებობს ჰიდრო ენერგეტიკული რესურსების 2 სახეობა: განახლებადი (მზის ენერგია, ჰიდროენერგია) არაგანახლებადი (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი). იშვიათად იყენებენ მზის, ქარის, ზღვის ტალღების აგრეთვე გარემოს თბურ ენერგიას. ქვეყანა, რომელსაც გააჩნია საკუთარი ენერგორესურსები, უზრუნველყოფს თავის ენერგოუსაფრთხოებას, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ამის მაგალითია მსოფლიოს მრავალი ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ქვეყანა [2,4,4,5]. საქართველო რომ ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანაა, ეს ფაქტი კარგად არის ცნობილი და ამას მთავრობის ახალი ინიციატივაც – 15 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაც მოწმობს. ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ არა ამ ჰესების აშენების მიზანშეწონილობის საკითხზე, არამედ ზოგადად საქართველოს ენერგეტიკულ პოტენციალზე.

როგორც ცნობილია, ჰიდრორესურსების გარდა, საქართველოს ნავთობის და გაზის მოპოვების პოტენციალიც გააჩნია. ამ საკითხზე პატრიარქის ფონდმა გაამახვილა ყურადღება და ფონდის მიერ დაფინანსებული შესაბამისი კვლევაც არსებობს. კვლევაში წერია, რომ საქართველო თავისი გეოლოგიური აგებულებით ერთდროულად მიეკუთვნება ორ ნავთობგაზშემცველ ტერიტორიას: ალმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს (დასავლეთ საქართველო) და სამხრეთ-კასპიის ნავთობგაზიან აუზს

(აღმოსავლეთ საქართველო). საქართველოში ნავთობისა და გაზის 1500-ზე მეტი გამოვლინებაა ცნობილი. არსებობს სხვა, არაერთი პირდაპირი ფაქტორიც, რომლებიც ცხადყოფს ქვეყნის ნავთობ-გაზიანობის მაღალ პოტენციალს. 1981-1983 წლებში ნავთობის მოპოვებასაც კი ჰქონდა ადგილი. 90-იან წლებში უცხოელ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს ნავთობისა და გაზის მოპოვების პოტენციალი. მათი დასკვნით, საქართველოში ტექნიკურად ამოსაღები ნავთობის რაოდენობა შეადგენს 1 მილიარდ 200 მილიონ ტონას. ქვეყანამ ეს ეკონომიკური ეფექტი შესაძლოა მიიღოს 40-60 წლის განმავლობაში, თუკი ქვეყანაში შეიქმნება ნავთობისა და გაზის ძიებისა და მოპოვების ხელსაყრელი პირობები, – აღნიშნულია კვლევაში. ერთადერთი სერიოზული რესურსი, რაც გაგვაჩნია, ეს არის ჰიდრორესურსები. დანარჩენი ალტერნატიული რესურსები საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არ არის. ყველაზე არსებითი მოცულობის იყო ჰიდრორესურსი [1,2].

ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება ელექტროსადგურებში, რომლებიც ელექტროენერგიის მისაღები დანადგარების მიხედვით იყოფიან: 1) თბოელექტროსადგურებად (ჰიდროტურბინები). 2) არსებობენ აგრეთვე ქარისა და მზის სხივების ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურები. საქართველოში უხვი ჰიდრორესურსების, ანუ წყლის დიდი მარაგების არსებობის გამო ყველაზე მეტად არის გავრცელებული ჰიდროელექტროსადგურები. ჰიდროელექტროსადგურებში იყენებენ წყლის ნაკადის ენერგიას. მათი მოწყობილობა და განლაგება დამოკიდებულია მდინარის დინების ხასიათზე. მთლიან სისტემაში შედის:

1. წყალსაცავი (ბუნებრივი ან ხელოვნური);
2. ჰიდროტურბინა კაშხალით (წყლის ვარდნისათვის);
3. ამამალეული ტრანსფორმატორული ქვესადგური;
4. მაღალვოლტაჟიანი ელექტროგადაცემის ხაზები;
5. დამაბლელი ტრანსფორმატორული ქვესადგური; ელექტროენერგიის მიმღებები და მომხმარებლები.

ელექტროქვესადგურები არის ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების სისტემის ნაწილი, რომელშიც ხდება ელექტრო ძაბვის მომატება, ან დაბლვა ტრანსფორმატორის საშუალებით. ტრანსფორმატორი არის სტატიკური ელექტრომაგნიტური ინდუქციის საშუალება რომელიც ცვლადი დენის წრედში ერთი სიდიდის ძაბვას გარდაქმნის მეორე სიდიდის ძაბვად სიხშირის შეუცვლელად და სიმძლავრის მცირე დანაკარგებით.

გენერატორი არის მოწყობილობა, რომელშიც მბრუნავი ნაწილის მექანიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად. გენერატორების პირველად ამძრავად შეიძლება გამოყენებულ იქნას ორთქლის ძალა და ტურბინა, შიდა წვის ძრავა, ქარის ენერგია და გაზის ტურბინა, წყლის ძალა. გენერატორი არის ელექტროსადგურის ძირითადი ელემენტი, რომლის საშუალებით ხდება დენის გამომუშავება. მის ტიპზეა დამოკიდებული ელექტროსადგურის მუშაობა.: ჰიდროგენერატორი, ქარის ძრავა [1,2,3].





ელექტრომომარაგება მოიაზრება როგორც თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი საჭიროება. XIX საუკუნის ბოლოსთვის ელექტროსადგურები აშენდა მსოფლიოს მრავალ დიდ ქალაქში, თუმცა გავიდა ათწლეულები, სანამ გარეუბნები და სოფლები მიიღებდნენ ელექტროენერგიას. დღესდღეობით ელექტრობა იმდენად ნაცნობი და მისაღები ფორმაა ენერგიისა, რომ მას უბრალოდ უწოდებენ „სიმძლავრეს“ – ტერმინს, რომელსაც თავისი საკუთარი მეცნიერული განსაზღვრება გააჩნია (სისწრაფე, რომლითაც ენერგია მოიხმარება). თანამედროვე ელექტროსადგურების უმრავლესობა გენერატორის საბრუნებლად იყენებს ტურბინებს. ისინი ბრუნავენ წყლის ნაკადის მეშვეობით ჰიდროელექტროსადგურებში ან ორთქ-

ლის ნაკადის მეშვეობით, რომელიც მიიღება წყლის ადულებით ნავთობის, ქვანახშირის, ბირთვული საწვავის წვის შედეგად, ან რაიმე სხვა სათბობის გამოყენებით. ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს შეუძლიათ მიიღონ თავიანთი ელექტრობა ადგილობრივი გენერატორის მეშვეობით. თანამედროვე ელექტროსადგურების უმეტესობა ელექტროენერგიის მისაღებად საწვავს წვავს და ამით წყალს აცხელებს. ცხელი წყალი ორთქლად იქცევა, რომელიც გიგანტური ტურბინების ფრთებს აბრუნებს, სწორედ ისე, როგორც ბავშვი აბრუნებს სათამაშო წისქვილის ფრთებს შებერვით. მბრუნავი ტურბინები წარმოადგენს უზარმაზარ მანქანებს, გენერატორებს, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავენ.

მეცნიერებმა ელექტროენერგიის მიღების რამდენიმე განსხვავებული (ალტერნატიული) ხერხი გამოიგონეს. ამის ერთ-ერთი მაგალითი ჰიდროელექტროსადგურებია, სადაც წყლის ენერგია გამოიყენება. წყალი მაღალი კაშხლიდან ეცემა და ტურბინებს ამოძრავებს, ისე, რომ მავნე ნარჩენებს არ გამოყოფს. ქარი ენერგიის კიდევ ერთი უსაფრთხო წყაროა. ქარის გიგანტური წისქვილების არმია გაშლილი როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში. ქარი ასეთი წისქვილის პროპელერს აბრუნებს, რაც თავის მხრივ, ტურბინის ბრუნვას იწვევს. ქარის წისქვილების მიერ გამოიმუშავებული ენერგიით შესაძლებელია აკუმულატორების დატენვა და უქარობის დროს მათში დაგროვილი ელექტროენერგიის გამოყენება. ქარის ძრავიან გენერატორებში გამოიყენება ქარის ძალა. ქარის ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ ქარის სიჩქარე არის 3 მ/წმ-ზე მეტი. მზის ენერგია კიდევ ერთი წყაროა, რომელიც მომავლის იმედს გვაძლევს. დღეს მზის ენერგიით მიღებული ელექტროენერგია ძვირია, მაგრამ მეცნიერები იაფი გზების მოძებნას ცდილობენ. მეცნიერები შეისწავლიან, აგრეთვე, გეოთერმული ენერგიის გამოყენების პერსპექტივასაც. ეს გულისხმობს დედამიწის ქერქის ქვეშ – შესაძლო 15 კილომეტრის სიღრმეზე – დაგროვილი დიდძალი სითბოს გამოყენებას წყლის გასათბობად და ტურბინების ასამუშაველად.

საწვავის არჩევანი

არსებობს რამდენიმე სახის საწვავი, რომელსაც ელექტროსადგურებში წყლის გასაცხელებლად იყენებენ. დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება ქვანახშირი, გაზი, ნავთობი და ბირთვული საწვავი. ქვანახშირი, გაზი და ნავთობი ცნობილია, როგორც ნამარხი საწვავი, იმიტომ, რომ ისინი მილიონობით წლის წინ დაღუპული ცხოველებისა და მცენარეების ნაშთებისგანაა წარმოქმნილი. ტრადიციულ ელექტროსადგურებში ნამარხ საწვავს წვავენ და ამ გზით დიდი რაოდენობის წყალს აცხელებენ. ბირთვულ ელექტროსადგურებზე კი ელექტროენერგიის მისაღებად ბირთვული საწვავი გამოიყენება. მაგალითად ურანი. ურანს ლუმელში არ წვავენ. ამის ნაცვლად, მის ატომებს ხლეჩენ და ამის შედეგად გამოყოფილ დიდძალ სითბურ ენერგიას მაღალი წნევის მქონე ორთქლის მისაღებად იყენებენ. ელექტროსადგურებში ნამარხი საწვავის გამოყენება გარემოს აბინძურებს და ატმოსფეროს დიდ ზიანს აყენებს. მაგალითად, ამას შეიძლება მოჰყვეს მჟავური წვიმები. ბირთვული ელექტროსადგურები ჰაერს არ აბინძურებს, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ მიღებული ნარჩენები რადიაქტიურია (გამოყოფს სახიფათო რადიაციას). ბირთვული აფეთქების ერთ-ერთი გამანადგურებელი ფაქტორი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რადიაქტიური მონამვლა მოხდა ჩერნობილის (უკრაინა) ელექტროსადგურის კატასტროფის დროს 1986 წელს, რომლის დამაზიანებელი ფაქტორები დღესაც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე. ყველაზე საშიშელი ბირთვული კატასტროფაა – ჩერნობილი და ფუკუშიმა, 1957 წლის კიშტიმის ტრაგედია. ჩერნობილის და კიშტიმის ტრაგედიის მიზეზი უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფა გახდა. იაპონიაში ფუკუშიმას ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის მიზეზი ცუნამი იყო. საფრანგეთის ტერიტორიაზე 58 ბირთვული რეაქტორია განთავსებული, რაც ქვეყნის ელექტროენერგიის 79 % -ის გამოიმუშაებას უზრუნველყოფს. 2008 წელს ივლისში საფრანგეთში, ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად, ურანის გაჟონვა და რადიაქტიურ ნივთიერებათა ჰაერში გამოფრქვევა მოხდა. ატომურ სადგურებზე საშიშროება (ავარია – მიწისძვრა) საკმაოდ რეალურია. იმის გამო, რომ საწვავის გამოყენება გარემოს აზიანებს, მეცნიერებმა ელექტროენერგიის მიღების რამდენიმე განსხვავებული (ალტერნატიული) ხერხი გამოიგონეს. ამის ერთ-ერთი მაგალითი ჰიდროელექტროსადგურებია. ჰიდროელექტროსადგურები გლენ კანიონის კაშხალი მდინარე კოლორადოზე აშშ-ში მიმართავს წყლის ნაკადს გენერატორის დიდი ტურბინისაკენ. წყალუხვი სწრაფი მდინარეებით მდიდარ ქვეყნებში, მაგალითად, ახალ ზელანდიაში, ჰიდროელექტროსადგურები იძლევიან ენერგომომარაგების უდიდეს ნაწილს.

მზერა მომავლისაკენ

ელექტროენერგიის წარმოება იყენებს არაგანახლებად წყაროებს – ქვანახშირს, ნავთობს და გაზს. ამჟამად მიმდინარეობს კვლევა გამოუღეველი ენერგიის წყაროებისა – მზის ენერგია, ზღვის მოქცევა, ქარი, ზეცხელი წყალი; რომელიც მოჩქევს დედამიწიდან (გეოთერმული ენერგია) და არაალეხადი გაზები „ბიონარჩენებიდან“, – დამპალი მცენარეებისა და საქონლის ნაკელისაგან. ბირთვული საწვავი სხვა

არჩევანია. ყოველ მეთოდს აქვს თავისი უპირატესობანი და ნაკლოვანებები. ელექტროენერგია მზისგან.

ამჟამად ელექტროენერგიას იღებენ ბუნებრივი წყაროებიდან. ეს მზის ელექტროსადგური მოავეს უდაბნოში აშშ-ში იძლევა ელექტროენერგიას კომპიუტერით მართული სარკეებით. სარკე მიჰყვება მზეს, ირეკლავს და აფოკუსირებს მზის სხივებს ზეითი სავსე ბალონებზე. ზეთს იყენებენ წყლის ასადულებლად და ტურბინების ასამოძრავებლად. დღესდღეობით ათვისებულია საქართველოს ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 12 %. საქართველოს ჰიდროენერგეტიკის განვითარებამ მე-20 საუკუნის 80-იან წლების ბოლოსათვის ფართო მასშტაბებს მიაღწია. ჰიდროენერგეტიკის განვითარებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს ენერგიის სხვა წყაროების განვითარებასაც.

ჰიდროელექტროსადგურები

გლენ კანიონის კაშხალი მდინარე კოლორადოზე აშშ-ში მიმართავს წყლის ნაკადს გენერატორის დიდი ტურბინებისკენ. წყალუხვი სწრაფი მდინარეებით მდიდარ ქვეყნებში, მაგალითად, ახალ ზელანდიაში, ჰიდროელექტროსადგურები იძლევიან ენერგომომარაგების უდიდეს ნაწილს. ჭუკანასკნელი მონაცემებით, ყველაზე უფრო გავრცელებული წყაროა ქვანახშირი, რომელიც იძლევა გამოშვებული ელექტროენერგიის 30%-ს, დანარჩენი წყაროების წილი ასეთია: ჰიდროენერგია (19%), ბირთვული ენერგია (16%), ბუნებრივი გაზი (15%), ნავთობი (10%), დანარჩენი (1%) [1,2,4,5,6,7].

ქვანახშირი და ბუნებრივი გაზი განიხილება როგორც წიაღისეული საწვავი, რადგან მათი ფორმირება მოხდა მცენარეებისა და ცხოველების ნამარხი ნარჩენებისგან, რომლებიც არსებობდნენ მილიონობით წლების წინ. ურანის მაღანი არაა წიაღისეული საწვავი, მაგრამ იგი მოიპოვება და გარდაიქმნება საწვავად, რომელიც გამოიყენება ბირთვულ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის მისაღებად. ენერგიის ეს წყაროები არაგანახლებადია, რადგან მათი შევსება დროის მოკლე პერიოდში შეუძლებელია [1,2].

ენერგიის წყაროებს, რომელთა შევსება შესაძლებელია დროის მოკლე პერიოდში, უწოდებენ ენერგიის განახლებად წყაროებს. ასეთია ხუთი წყარო მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა მდინარეები (მოძრავი წყალი), მზის სინათლე, ქარი, გეოთერმული ენერგია და ბიომასა. არაგანახლებადი რესურსებია ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი. გამოყენების მიხედვით არსებობს ე.წ. ტრადიციული და არატრადიციული (ალტერნატიული) ენერგეტიკა. პირველს მიეკუთვნება: ჰიდრო-, თბო- და ატომური ენერგეტიკა. მეორეს- ჰელიო (მზის), ეოლო (ქარის), გეოთერმული წყლების, ბიომასის ენერგეტიკა. საქართველოსათვის პრიორიტეტულია ჰიდროენერგეტიკის, მათ შორის მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება. ჰიდროენერგია თბოსადგურებაზე გამოშვებულ ენერგიასთან შედარებით უფრო იაფია. ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოსათვის ასე გამოიყურება: მზის ენერგობლოკებზე გამოშვებული ენერგიის მაღალი თვითღირებულების გამო ისინი ვერ უწევენ სათანადო კონკურენციას ჰიდრო- და თბოსადგურებს. ქარის ენერგეტიკული დანადგარების განვითარებამ უცხოეთში ისეთ დონეს მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა მასზე გამოშვებული ენერგიის ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ხელს უწყობს ენერგიის ამ სახეობის ფართო ათვისებას. ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით ენერგიის ყველა წყაროს მეტ-ნაკლებად ახასიათებს ნაკლოვანებები: ნავთობს, ქვანახშირს, გაზს – ატმოსფეროს დაბინძურება მავნე აირებით (მაგალითად, CO-თი); წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურებს წყალსაცავის ახლომდებარე ზონაში გრუნტის წყლების დონის აწევა, რაც იწვევს მიმდებარე ტერიტორიის დაჭაობებას და მდინარის შესართავში მყარი ნატანის ნაკლები რაოდენობით ჩატანას, რასაც ზოგ შემთხვევაში თან სდევს ზღვის მიერ სანაპირო ზოლის გარეცხვა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა; გეოთერმული წყლების მოპოვებისას ხდება მათი დაღვრა და ირგვლივ ტერიტორიის დამარილება-დაბინძურება, რაც მას გამოუსადეგრად აქცევს შემდგომი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ქარის ენერგოდანადგარები – იწვევს ხმაურს, რაც გარკვეულ საშიშროებას უქმნის გარშემო მყოფთა ჯანმრთელობას. ენერგოგენერაციის ობიექტების გარემოზე შესაძლო მავნე ზემოქმედების მიუხედავად, რომლის მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია სათანადო საინჟინრო ღონისძიებების გატარებით, აუცილებელია ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების გონივრული ათვისება. გიგანტური ტურბინები ქარის ელექტროსადგურში.

კალიფორნია. ჰიდროენერგია (ენერგია, რომელიც მიიღება მოძრავი წყლისგან შეადგენს აშშ-ის მთელი ენერგოგენერაციის 7%-ს და განახლებადი ენერგოგენერაციის 45%-ს. ბევრს იგი მიაჩნია იდუაღურ საწვავად. იგი მუქთია. არა აქვს ნარჩენი პროდუქტები, არ აბინძურებს გარემოს, მაგრამ მოქმედებს ბუნებრივ გარემოზე და მისი მიღება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც არის წყალუხვი მდინარეები.

მზის ენერგია შეიძლება პირდაპირ, ან არაპირდაპირ გარდაიქმნას სხვა სახის ენერგიად. ტერმინი „მზის ენერგია“, ჩვეულებრივ გულისხმობს ენერგიას, რომელიც მიიღება მზის პანელებისაგან ფო-

ტოვოლტური ელემენტების გამოყენებით, რომლებიც მზის სინათლეს პირდაპირ ელექტროენერგიად გარდაქმნიან. ეს პანელები ნაკლებად ზემოქმედებენ გარემოზე, მზის სხივები კი მუქთია, ნაკლოვანი მხარეა დიდი ფართობი, რომელიც საჭიროა მზის გამოსხივების შესაგროვებლად სათანადო სიჩქარით, და ცვალებადი ხასიათი, რითაც იგი მოდის დედამიწის ზედაპირზე (ღრუბლები და ძლიერი ნისლი გზას უღობავს მას).

დედამიწის შიგნით დაუნჯებულია გეოთერმული (სითბური) ენერგია გეოთერმულ ელექტროსადგურებში წყალს ტუმბავენ დედამიწის ქერქისკენ. სადაც სითბო იწვევს მის აორთქლებას. წარმოქმნილი ორთქლი კი ატრიალებს ტურბინებს და იძლევა ელექტროენერგიას. სხვა ტიპის ელექტროსადგურებში გამოიყენება ორთქლი, რომელიც ბუნებრივად გამოიფრქვევა დედამიწიდან გეიზერის სახით. გეოთერმული ელექტროსადგურების აგება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო გეოლოგიური პირობების მქონე ადგილებში, მაგრამ ზეგავლენა გარემოზე უმნიშვნელოა.

როდესაც შეშას აგდებთ ცეცხლში, თქვენ ქმნით სითბოს ბიომასის ენერგიის გამოყენებით – ენერგიისა, რომელიც გამოთავისუფლდება ორგანული ნივთიერების წვისას, როგორიცაა ხე, ბალახი, ჩალა, ცხოველთა ნაკელი, ნაგავი და მრავალი სხვა სათბობის წყარო. კომუნალური მომსახურების კომპანიები ცდილობენ გამოიზიდონ გზები ელექტრობის მისაღებად უფრო მეტი ბიომასის და ნაკლები ქვანახშირისა და ბუნებრივი გაზის დანვით. ფერმერებს მოჰყავთ ექსპერიმენტული ხის მოსავალი მაგალითად ფიჭვი, მხოლოდ დანვის მიზნით.

რეკორდსმენები – მსოფლიოში უდიდესი მზიური ველები. მზიური ველის წყვილი, რომლის სახელია SEGS (Solar Electric Generating System) VIII და IX, კალიფორნიის მოავეს უდაბნოში, უდიდესია მსოფლიოში.

მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგამი.

გრანდ კოელის კაშხალი ვაშინგტონში საკმარის ენერგიას აწვდის 2 მილიონზე მეტ სახლს.

მსოფლიოში უდიდესი გეოთერმული სადგური. გეიზერების ელექტროსადგური კალიფორნიის ჩრდილოეთით იძლევა 1700 მეგავატს [1,2,7,8].

ღირებულება:

1. ოქსფორდის სამეცნიერო ენციკლოპედია, 2005.
2. მეცნიერების ენციკლოპედია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. ირაკლი ქვარაი – დამხმარე სახელმძღვანელო ელექტრომემონტაჟითა შეგირდებისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
4. <http://vinoge.com/patara-WiqebiT/Rvino-da-atomuri-energetika>
5. <http://www.irena.org/Publications/rejobs-annual-review-2014.pdf>
6. <https://www.google.ge/search?q=%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83>
7. <https://www.google.ge/search?q=%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%>
8. <https://www.google.ge/search?q=%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%92>

Anna abashidze

Alternative Energy

Summary


29 Исмаилов М.А. История государства и права Дагестана. Махачкала. Часть 1. 2006. С. 51.

30 Исмаилов М.А. Указ. соч.

риод времени самое высокое развитие получило обычное право, позволившее говорить впоследствии о существовании общего для всего Кавказа обычного права. В этой связи весьма интересным представляется суждение, согласно которому: «Характер древневосточного типа государства определяется на основе прав его составляющих. Наличие законодательных памятников у ряда стран в древности еще мало говорит об истинных правопорядках, или о развитости права в историческом прошлом. Подавляющее количество населения любой древневосточной страны жило общинами, и свои отношения регулировало по нормам обычного права. В более развитых законодательных кодексах они попросту не нуждались. Законодательные кодексы едва ли имели широкое распространение по стране. И крестьянскую массу вполне устраивало обычное право, тем более необходимо учитывать почти сплошную неграмотность населения»³¹.

Действующее в Чечне обычное право называлось адатами. Адаты чеченцев являлись составной частью общекавказских адатов. Адаты - это совокупность норм этики, морали, религиозного культа, внешних обрядов, порожденных в процессе общественной жизни древних народов Кавказа, включая и чеченский народ, начиная с эпохи родового строя. Ко времени сближения Чечни с Россией адаты образовывали обычное право, содержащее правовые нормы государственного, административного и уголовного права, права собственности, наследственного и семейного права и др. Письменные источники права - «тептариш» - хранились у старейшин-ела и старшин, государственных мужей³².

Литერატურა:

1. Страбон. География// Вестник древней истории, М 1947. №4.С. 177-247
2. См. Багаев М.Х. Древняя средневековая Чечня в исследованиях археологов-кавказоведов. Хрестоматия-Грозный; ФГУП «издательско-полиграфический омплекс «Грозненский рабочий», 2012. с.8-19
3. Магомедов М.Г.– История дагестана с древнейших времён до конца XIX в.-Махачкала, 1997 г.
4. Гаджиев М.Г. Раннеземледельческая культура Северо-восточного Кавказа. Москва. 1991 г.
5. Моисеи Хоронкий., Армянская география VII в.перевод Патканова К.П. С.П.Б., 1877.кн.III, гл.12
6. Клавдий Птолемей. Географическое руководство В.Д.И.1948 г.
7. Греков Б.Д. – Клевская Русь. М. «Государственное издательство политической литературы», 1953 г.
8. Исмаилов М.А.- История государства и право Дагестана. часть I. 2006 г. с.51
9. См.: Каранашвили Г.В. Древний восток и античный мир. Тбилиси, 1973 г. с.30
10. Об адатах чеченцев. см.: Мамакаев М.А.. Чеченский тайп(род) в период его разложения. Грозный: Г.У.П. «Книжное издательство», 2009. с. 34-48

ზაურ გუმბაშვილი
ლაბაზ გუმბაშვილი

კავკასიის ალბანეთის სახელმწიფო წყობა ადრეულ ეტაპზე ვაინახთა მონაწილეობით

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კავკასიის უძველესი ხალხების თანამონაწილეობის თაობაზე კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

ალბანეთის სახელმწიფოებრივ წყობაში თავის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეთნიკური თუ გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროვინცია ნახანგი – ნახასარების დასახლება.

31 См.: Каранашвили Г.В. Древний Восток и Античный мир /ВДИ (Кавказско-ближневосточный сборник, IV). Тбилиси, 1973. С. 30.
32 Об адатах чеченцев см.: Мамакаев М.А. Чеченский тайп (род) в период его разложения. – Грозный: ГУП «Книжное издательство», 2009. С. 34-48.

1004 – ისტორიის მეცნიერებანი

თეიმურაზ ახალმოსულიშვილი

პოლიტიკა და პოლიტიკურ პროცესთა პროგნოზირება

საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებულმა უპრეცედენტო კატაკლიზმებმა ქვეყნის ადამიანური კაპიტალი მკაცრად დააყენა პოლიტიკისა და პოლიტიკურ პროცესთა პროგნოზირების ღრმა მეცნიერული ცოდნის აუცილებლობის წინაშე.

პოლიტიკური ვითარების და პოლიტიკური ბედის განსაზღვრა, წინასწარ განჭვრეტა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, კლასების და მთელი საზოგადოებისათვის თან სდევს კაცობრიობას მთელი თავისი პოლიტიკური ისტორიის მანძილზე. განსაკუთრებით პროგნოზირების საჭიროება თავს იჩენს. არასტაბილურ, გარდამავალ ეპოქებში, როდესაც ირღვევა, იშლება, ემხოება ძველი ცხოვრების წესრიგი და იწყება ახლის, უფრო მისაღების ძიება. არსებული ქაოსიდან გამოსვლის აუცილებლობა კარნახობს წინასწარ შეფასდეს, განისაზღვროს მომავალი.

მომავლის განჭვრეტა-გააზრება საინტერესო და სახიფათოა. პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ-დასაბუთებულ შეხედულებებს და არა რაიმე განუხორციელებელ ოცნებას. უნდა პირდაპირ ვთქვათ: დღეს ხანგძლივი პოლიტიკური პროგნოზებიდან უტოპიური აზრის გამოცალკევება ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის არა ერთი მაგალითი იძლევა გაკვეთილებს პოლიტიკური პროგნოზირების ღრმა მეცნიერულობის აუცილებლობის შესახებ [1. 318].

პირობითად პროგნოზირება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ განვჭვრიტოთ ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის მომავალი შედეგი. იგი დაკავშირებულია იმ მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებთან, რომლის ბაზაზეც შესაძლოა მიახლოებით განისაზღვროს ის, თუ რა მოხდება მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების შედეგად. რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება თავისთავად გულისხმობს ზემოაღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ღრმა ცოდნას.

პროფესიონალმა შეიძლება იწინასწარმეტყველოს, თუ როგორ განვითარდება ესე თუ ის პროცესი, რის შესაძლებლობაც არ გააჩნია არაპროფესიონალს. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი და იგივე შედეგი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით; ერთი სიტყვით, გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მიზეზების, ასევე შედეგების პლურალიზმი.

ყოველი წინასწარმეტყველება ისტორიულად ეყრდნობოდა 4 ფუნდამენტს: I. რელიგიურ რწმენას; II. ასტროლოგიას; III. ცხოვრებისეულ გამოცდილებას და IV. მეცნიერულ ანალიზს.

I. რელიგიურ წინასწარმეტყველებაში მთავარია ზებუნებრივი ძალების რწმენა, რაც ახასიათებთ არა მარტო უბრალო ადამიანებს, არამედ მეცნიერებსაც. კრიტიკულ მომენტებში ადამიანი ზოგჯერ მიმართავს წინასწარმეტყველებს, ექსტრასენსებს, მკითხავენს, რომლებიც მათ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. რელიგიური რწმენა, როგორც მომავლის პროგნოზირების საშუალება, გამოიყენებოდა როგორც პირადი, აგრეთვე, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. მაგალითად, ძვ. ბერძნები დიდ საქმეს არ წამოიწყებდნენ დელფოს ორაკულის გარეშე. რამდენადაც ცნობილია, არც თანამედროვე პოლიტიკოსები თავილობენ ექსტრასენსებთან და წინასწარმეტყველებთან ურთიერთობას.

II. რაც შეეხება ასტროლოგიას, რომელიც შორეულ წარსულში ჩაისახა, ძალიან ძნელია განისაზღვროს წინასწარმეტყველების რომელ ჟანრს განეკუთვნება. ერთი კი ნათელია, რომ დღეისათვის უაღრესად მოდურია ასტროლოგიური პროგნოზირება. ასტროლოგები პლანეტებზე დაკვირვებით ცდილობენ განსაზღვრონ პიროვნებისა, თუ კაცობრიობის მომავალი.

III. ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დამყარებული პროგნოზი ეფუძნება წარსულის ცოდნა-გამოცდილებას. (თუ მზე ძალიან წვავს, იტყვიან – მზე იკბინება – წვიმა მოვაო; თუ ჩიტები მტვერში ბანაობენ – იტყვიან გაავდრდებაო და ა. შ).

IV. მეცნიერული წინასწარმეტყველება წარმოადგენს მომავლის პროგნოზირების ისეთ ფორმას, რომელიც მკაცრადაა დაფუძნებული მეცნიერულ მონაცემებზე და მოვლენის ყოვლისმომცველ ანალიზზე. მეცნიერის ამოცანაა აღმოაჩინოს სამყაროსა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, – განსაზღვროს მისი განვითარების ლოგიკა და მიმდინარე პროცესების ურთიერთშედეგების მექანიზმები. მეცნიერის ამოცანა ისიცაა, რომ მოგვცეს, გააკეთოს ესა თუ ის პროგნოზი, იწინასწარმეტყველოს ამა თუ იმ მოვლენის შესაძლო შედეგი [2. 26].

მიღებული აზრია, რომ მეცნიერული პროგნოზი დაკავშირებულია ობიექტური რეალობის დინ-

ამიკურ და სტატისტიკურ კანონზომიერებებთან, პირველ რიგში იგულისხმება ისეთი მიზეზობრივი კავშირი, როცა მოცემულ მდგომარეობას უეჭველად გააჩნია მკვეთრად გამოხატული შედეგები. ამიტომაც, თუ ცნობილია საწყისი პირობები, მაშინ შეიძლება შედეგის წინასწარმეტყველება.

საზოგადოებრივი პროცესების პროგნოზირება ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს, სოციოლოგიას, სტატისტიკას, დემოგრაფიას, ფილოსოფიას, პოლიტიკას, ისტორიას და სხვა მეცნიერებებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს სოციალური პროგნოზის სირთულე. სწორედ ამის შედეგი იყო ე. წ. უამრავი „უტოპიური“, თეორია რომლებსაც აღსრულება არ ენერათ (თ. მორის „უტოპია“, თ. კამპანელას „მზის ქალაქი“, და ა. შ.). ეს მოაზროვნენი იმიტომ შეცდნენ, რომ არ ეყრდნობოდნენ სოციალური პროცესების მიმდინარეობის მკაცრ მეცნიერულ ანალიზს. ამასთან, შეიძლება მოვიყვანოთ მეცნიერული პროგნოზირების ბრწყინვალე მაგალითები:

ფრ. ენგელსი 1887 წ. 15 დეკემბრის წერილში, აანალიზებდა რა პრუსიის სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგომარეობას და მისი მომავალი განვითარების ტენდენციებს, აღნიშნავდა: „პრუსიასა და გერმანიისათვის მომავალში შეუძლებელია სხაგვარი ომი თუ არა მსოფლიო ომი, რომელიც იქნება მანამდე არნახული მასშტაბისა. 8-დან 10 მილიონამდე ჯარისკაცი ერთმანეთს დაახრჩობს და ამასთან იგი მოსჭამს მთელ ევროპას ისეთ დონემდე, რამდენის არ შეუჭამია კალიის ღრუბლებს. 4 წლის მანძილზე ისეთი უბედურება დაატყდება ევროპას, რაც 30 წლიანი ომის დროსაც კი არ ყოფილა.“ [3. 361]. ენგელსმა 37 წლით ადრე იწინასწარმეტყველა პირველი მსოფლიო ომი.

ნაპოლეონ ბონაპარტე წმინდა ელენეს კუნძულზე მემუარებში წერდა: „მომავალში მსოფლიო იქნება ან ამერიკული რესპუბლიკა, ან საყოველთაო რუსული მონარქია.“ [4. 589].

ეყრდნობდა რა მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარების ღრმა ცოდნასა და ანალიზს, ნაპოლეონმა აბსოლუტურად სწორი პროგნოზი გააკეთა.

XX საუკუნის 70-იან წლებში თანამედროვეობის დიდმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბზეჟინსკიმ იწინასწარმეტყველა, რომ ოციოდ წელიწადში სსრკ დაიშლებოდა. პროგნოზი ზუსტი აღმოჩნდა.

ამასთან აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ პროგნოზში არის მეტ-ნაკლები ალბათობა.

თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებისა და ხალხების სამომავლო ურთიერთობების პროგნოზირებას. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. საქმე იმაშია, რომ კაცობრიობა XXI საუკუნეშია და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ყოველი საუკუნე ისტორიაში თავის განუმეორებელ კვალს ტოვებს.

XVII საუკუნე იყო რაციონალიზმის საუკუნე, რომელიც ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნებაში გადამწყვეტ როლს გონებას ანიჭებდა.

XVIII საუკუნეს განმანათლებლობის ეპოქას ვუწოდებთ.

XX საუკუნეს კი ატომის საუკუნედ მოიაზრებდნენ და ამავე დროს ესაა საუკუნე სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციისა და კოლონიალიზმის მსხვერვისა. ესაა საუკუნე ერთიანი ისტორიული და პოლიტიკური პროცესებისა, ერთიანი პოლიტიკური სივრცისა. ადრეულ საუკუნეებში მრავალი ერი თუ სახელმწიფო ფაქტიურად გარიყული იყო მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. ამ საუკუნეში კი თითქმის ყველა ქვეყანა და ერი, ასე თუ ისე, თანამშრომლობდნენ ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროში. განვითარებულმა სატრასპორტო და საინფორმაციო საშუალებებმა დაახლოეს ერები და ჩამოყალიბდა პლანეტარული აზროვნება.

XX საუკუნე იყო გლობალური პრობლემების საუკუნე (ორი მსოფლიო ომი, მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემები), რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით თუ გადაიჭრება.

XX საუკუნე იყო, ეპოქა, რომელმაც მსოფლიო დღის წესრიგში დააყენა დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლების დაცვის პრობლემები. XX საუკუნემ XXI საუკუნეს გადასცა (მიუხედავად გრანდიოზული მიღწევებისა) უამრავი გადაუჭრელი პრობლემა.

აანალიზებენ რა თანამედროვე მსოფლიო გლობალურ პოლიტიკურ პრობლემებს, ზოგიერთი პოლიტოლოგი აკეთებს პესიმისტურ დასკვნას. ამერიკელმა პოლიტოლოგმა სემუელ ჰატჩინგტონმა, ჯერ კიდევ XX ს-ის მიწურულს, გამოაქვეყნა ნაშრომი „ცივილიზაციის შოკი“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. იგი წერს: მსოფლიო პოლიტიკა შედის ახალ ფაზაში. ინტელიგენციას დიდი ლოდინი არ დასჭირდა, რათა გამოეთქვა თავისი პოზიცია მსოფლიოს მომავალთან დაკავშირებით. ერთი წინასწარმეტყველებენ ისტორიის დასასრულს, მეორენი — ერთა შორის ტრადიციული წინააღმდეგობების გამწვავებას. ყოველივეს მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ ახალ მსოფლიოში კონფლიქტებს აღრ ექნებათ ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათი. სახელმწიფოები და ერები კვლავ ითამაშებენ მთავარ როლს საერთაშორისო საქმეებში, მაგრამ გადამწყვეტი მსოფლიო პოლიტიკური კონფლიქტები წარმოიშობა იმ ერებს და ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან. დღეს ქვეყნები კლასიფიცირდებიან არა იმის მიხედვით,

თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემები გააჩნიათ, არამედ იმით, თუ რომელ ცივილიზაციას ეკუთვნიათ. სხვადასხვა ცივილიზაციის ადამიანებს განსხვავებული აზრი აქვთ რელიგიაზე, კანონსა და კანონიერებაზე, ხელისუფლებასა და თავისუფლებაზე, თანასწორობასა და იერარქიულობაზე. მართალია, ცივილიზაციები ურთიერთქმედებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ერთმანეთს ვერ უთავსდებიანო. აქედან ჰატჰიგტონი აკეთებს პესიმისტურ დასკვნას — „მომავალში კონფლიქტები წარმოიშობა არა სახელმწიფოებს, არამედ ცივილიზაციებს შორისო„ [5. 591].

ჩვენის მხრიდან შევნიშნავთ, რომ რა თქმა უნდა, აღნიშნულ თეორიას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ როგორც ისტორია გვიჩვენებს, ცივილიზაციები მშვენივრად ეგუებიან ერთმანეთს და ამდიდრებენ კიდეც ურთიერთს. ამიტომაც, კაცობრიობის მომავალი, მომავალი პოლიტიკური პროცესების პროგნოზი უფრო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობენ ინტერესები. ყოველ სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს სფეციფიკურ პოლიტიკურ ორგანიზმს, აქვს საკუთარი საშინაო და საგარეო ინტერესები. საშინაო ინტერესები დაკავშირებულია სტაბილურობასთან, მოქალაქეთათვის კარგი ცხოვრების პირობების შექმნასთან. საგარეო ინტერესები დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფასთან. ეს ორივე ინტერესი ურთიერთკავშირშია.

შევეხოთ საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს, ვეცადოთ, გავაკეთოთ პროგნოზი თანამედროვე მსოფლიოს მომავალი ბედის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან) „ორპოლუსიანი„ მსოფლიო „ერთპოლუსიანად„ იქცა. დღეს მსოფლიოზე ფაქტობრივ კონტროლს აშშ და ნატოს ბლოკი ახორციელებს. მაგრამ, მიგვაჩნია, რომ ყოველთვის ასე არ იქნება. XXI საუკუნის 30-იანი წლებისათვის სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. ვფიქრობთ, რომ თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის ჩინეთი, რომლის ეკონომიკა და სამხედრო ძლიერება გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება. ჩინეთი დღეს, ჯერჯერობით, წარმოადგენს ქვეყანას თავისთავად არსებულს, მაგრამ სულ მალე გადაიქცევა უძლიერეს ქვეყანად და შეეცდება მსოფლიოზე თავისი ზეგავლენის გავრცელებას.

ეჭვი არაა, რომ იაპონია, რომლის ეკონომიკაც სტაბილურად ვითარდება და თვით ამერიკას ავინწროებს საკუთარ ბაზარზე, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ეკონომიკური გავლენით. იგი, ისევე როგორც ჩინეთი, შეეცდება გამოვიდეს თავისი რეგიონალური საზღვრებიდან და მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო პოლიტიკის სფეროში.

ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვან სამომავლო ძალას დღეს უკვე გაერთიანებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს. მისი ზეგავლენა სამომავლოდ უთუოდ გაიზრდება, დღეს გერმანია უკვე აქტიურად ერევა ევროპის საქმეებში, მომავალში კი მისი ზეგავლენა აუცილებლად გასცდება ევროპის ფარგლებს.

არაა გამორიცხული (უფრო მოსალოდნელიც კია, რომ ევროკავშირის ქვეყნები განახორციელებენ ერთიან საერთაშორისო პოლიტიკას, რაც დღესდღეობით უკვე ნათლად ჩანს, თუმცა წამყვანი ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს დაიცავენ.

აუცილებლად ანგარიში უნდა გაენიოს, თუმც კი დასუსტებულ (საბჭოთა კავშირთან შედარებით), მაგრამ უდაოდ საშიშ და დიდი პოტენციის მქონე რუსეთს. რუსეთში მიმდინარე მოვლენების პროგნოზირება უდაოდ ურთულესი საქმეა იმიტომ, რომ ყოველთვის ძნელი იყო რუსი ხალხის მოქმედების პროგნოზირება; რუსეთში დღესაც გაბატონებულია ხალხის ხელისუფლებისადმი ე. წ. „ვოტჩინური„ დამოკიდებულება. ხალხის უდიდეს ნაწილს XXI საუკუნეშიც კი ვერ წარმოუდგენია ქვეყანა ბატონის გარეშე. (პუტინმა ფაქტიურად თავისი მემკვიდრე „პრინცი„ დანიშნა პრეზიდენტად და მერე ისევ თვითონ მოვიდა). რუსეთი დღესაც უფრო წარმოადგენს სახელმწიფოს ხალხის გარეშე — ვიდრე სახელმწიფოს ბატონის, პატრონის გარეშე. ასე იყო მეფის დროს, ასე იყო სტალინის დროს, ელცინის დროს და ასეა დღესაც. სწორად ამიტომაც ძნელი რუსეთის შესახებ პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება, რადგან ძნელია დავეყრდნოთ ისტორიულ-პოლიტიკურ მემკვიდრეობა რომელიც ფაქტობრივად არც არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ყოველი მეფე თუ პატრონი, გენერალური მდივანი, თუ პრეზიდენტი ყველაფერს ამსხვრევდა და ახლიდან იწყებდა სახელმწიფოებრივი სრტუქტურების შექმნას, სავსებით ცვლიდა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებს. ასეა თუ ისე, მაინც შეიძლება ვცადოთ პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება:

ა) რუსეთმა უარი უნდა თქვას იმპერიულ ამბიციებზე და განსაზღვროს თავისი რეალური ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში.

ბ) მან უნდა შეიმუშაოს თავისი სახელმწიფო და არა პარტიული იდეოლოგია, განსაზღვროს — როგორი ქვეყანა სურს იყოს — დიდი თუ საშუალო.

ჩვენი აზრით, არც ევროკავშირს და არც აშშ-ს ხელს არ უნდა აძლევდეს რუსეთის ძალიან დასუსტება, რადგან ჩინეთიდან სამომავლო დაპირისპირებაში აუცილებლად დასჭირდებათ მისი სამხ-

ედრო-ეკონომიკური პოტენციალი. ეს უეჭველად უნდა გაითვალისწინონ ქართველმა პოლიტიკოსებმა, როდესაც მიდიან რუსეთთან პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრ გამწვავებაზე.

ახლა გადავიდეთ ე. წ. „მესამე სამყაროზე“, რომელიც სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მოიცავს (სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, აზიის ზოგიერთი ქვეყანა, ინდოჩინეთი, პოსტსაბჭოური სივრცე). ამ კატეგორიის ქვეყნებს გააჩნიათ სუსტი, ეკონომიკა, ნაკლები სამეცნიერო კაპიტალი, შეზღუდული საინფორმაციო სივრცე, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და ეროვნული ინტერესების დაცვა. თანდათანობით იზრდება მათი ვალეები განვითარებული ქვეყნებისადმი.

აღნიშნულ ქვეყნებში ადგილობრივი პოლიტიკური და ფინანსური ელიტა ევროპული სტანდარტების დონეზე ცხოვრობს, მათი ნაშთები ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლობენ, მაშინ როცა მათი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

არეულობაა არაბულ სამყაროში. ბოლო არ უჩანს (და არც მისი პერსპექტივაა) ისრაელი-არაბული სამყაროს კონფლიქტს. უაღრესად დაძაბულია ირან-აშშ-ს ურთიერთობა.

XX საუკუნის დასასრულს უაღრესად გამწვავდა კონფლიქტი კავკასიაში, რომელიც პროვოცირებული იყო რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ, რათა თავიანთი ელექტორატის თვალში პოლიტიკური ქულები ჩაენერათ.

კავკასიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა რუსეთისა და ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები. ამ კონფლიქტისადმი განსაკუთრებული ინტერესები გააჩნია ამერიკას. კონფლიქტში არაპირდაპირაა ჩართული ირანი. აქ თავისი ინტერესები გააჩნით უკრაინასა და ბალტიკისპირეთის ქვეყნებს. ეს ინტერესები დაკავშირებულია დიდ ნავთობთან და გაზთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპის ინდუსტრია ალტერნატიული ენერგომატარებლებით.

სწორედ ამ უაღრესად რთულ სიტუაციაში დიდი გამჭრიახობა, მოქნილობა და თავშეკავება მართებთ ქართველ პოლიტიკოსებს, რათა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოვიდნენ უმძიმესი სიტუაციიდან.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზსა და პროგნოზებს უდაოდ აქვთ შეფარდებითი ხასიათი, რადგან სამყარო რთული და მრავალფეროვანია და შეიძლება განვითარდეს ისეთი მოვლენები, რომელიც უკუაგდება ყველა პროგნოზს.

და ბოლოს დასკვნის სახით, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური პროგნოზი განუყრელნი არიან. ყველაზე ეფექტურია ის პოლიტიკა, რომელიც სწორად აფასებს ან-მეც, გონივრულად იყენებს წარსულის გამოცდილებას, ითვალისწინებს, თავისი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, წინასწარ ჭკრეტს მიღებული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგებს.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა წარმართოს თავის პოლიტიკური ცხოვრება საქართველომ, რომელიც უაღრესად მრავალფეროვანი და მეცნიერული ანალიზისათვის მეტად საინტერესო ისტორიული განვითარების ხანას განიცდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მამუკელაშვილი ელ., ახალმოსულიშვილი თ., პოლიტოლოგია, თბილისი 2010.
2. ერონსკი ს., ასტროლოგია: ცრურწმენა თუ მეცნიერება? მოსკოვი 1991 წ.
3. მარქსი კ., ენგელსი ფრ., თხზ. ტ. 21. მოსკოვი, 1956 წ.
4. მარჩენკო მ., (რედ) პოლიტოლოგია, მოსკოვი, 1999 წ.
5. მარჩენკო მ., (რედ) დასახელებული ნაშრომი, მოსკოვი, 1999 წ.

Teimuraz Akhalmosulishvili

Politics and Political Forecasting

The political situation and determine the political fate foresee of groups, classes and the whole society is accompanied mankind throughout its political history. The needs particular layout in the volatile political forecasting, Transition Periods when disturbed, falling apart, falling down the old life in order and start with a new, more acceptable to search. Dictates the necessity of leaving the chaos of pre-measured, to determine the future.

The paper gives a brief over view of the basic found at ions on which it is possible to predict this or that political event. The most effective policy that properly evaluates the present, wisely use spas experience, provides his country socio-political and economic opportunities, pre-determined decisions of possible.

1004 – ისტორიის მეცნიერებანი

მამო ზუბიტაშვილი

ვაჟა-ფშაველა სახალხო განათლების შესახებ

მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ განათლების სფეროში შექმნილი დაბრკოლებები და ხალხის შეგნების დაბალი დონე ქართული ინტელიგენციისგან მოითხოვდა ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას სწავლა-განათლების დარგში. „მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა...“ - წერდა აკაკი წერეთელი - ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე... გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და ერთი სიტყვით, მისი წინსვლა, ანუ პროგრესი...“ (ა.წერეთელი, თხზ. ტ. 3. თბ. 1960წ. გვ.156-158). სწავლა-განათლების შესახებ ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ცოდნა სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია, ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ...“ იქვე დასძენს ი. ჭავჭავაძე - „უმეცრობა - აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰრღნის სიცოცხლეს... ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადადგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ...“ (ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. 4. თბ. 1955წ. გვ. 338).

განათლების, მეცნიერული ცოდნის დაუფლებას დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ამიტომ ქართველი ერის მოწინავე თავკაცები ენერგიულად იბრძოდნენ, რომ ხალხში განათლება შეეტანათ. ამ საქმისათვის ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლი ვაჟა-ფშაველა იყო. მან 1882 წელს წარმატებით დაამთავრა გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია. ამავე წელს პირველი ივლისიდან მუშაობას იწყებს თიანეთის მაზრის სოფელ ტოლათ სოფელში (ერწოში) მასწავლებლად. ეს ერთწლიანი სკოლა ამტნის ხევის სკოლად იწოდებოდა. ახალგაზრდა ვაჟა ამ მხარეს მოეწვლინა არა მარტო როგორც პედაგოგი და აღმზრდელი, არამედ როგორც განათლებული კაცი, რომელსაც შეეძლო გაჭირვებული ხალხის დახმარება. იგი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე უწერდა განცხადებებს, თუ საჩივრებს ადგილობრივ მცხოვრებლებს. მათ არავის აჩაგვრინებდა. ვაჟა-ფშაველას კარგად ესმოდა, რომ გაჭირვების მიზეზი ძირითადად იყო ხალხის გაუნათლებლობა. იგი აღნიშნავდა „ჩვენ ხომ ყველაზე მეტად განათლება გვჭირდება. ისიც კარგად იცოდა, თუ ვის უნდა შეეტანა „ბნელ მასებში“ განათლება. „მასწავლებლის ბედზედა მრავალჯერ დამიკვნესნიაო...“ . მისი აზრით მასწავლებელთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „ბნელ მასებში“, განათლება შეიტანონ და უკეთესი ცხოვრებისათვის მოამზადონ, განუვითარონ მათ არა მარტო გონება, არამედ შეგნება. მიიყვანონ ისინი იმის გაგებამდე, თუ რა არის სასარგებლო და რა არის საზიანო, გააგებინონ ცხოვრების საჭიროებანი, მაგრამ ყველაზე უმთავრესია, რომ მათ ახალგაზრდა თაობაში აღზარდონ საზოგადოებრივი გრძნობა, საზოგადოებრივი მორალი.

როგორც ვიცით, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დიდი მუშაობა გაიშალა ხალხში განათლების შესატანად, ახალი სკოლების გასახსნელად. მაგრამ ამ დიდ საქმის ბოლომდე მიყვანას ბევრი რამ უშლიდა ხელს. ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით დიდ პროპაგანდას ეწეოდა მოძრავი სკოლების გახსნისათვის. მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გაუგზავნა წერილი, სადაც აყენებდა წინადადებას სოფლად და მთიან ადგილებში მოძრავი სკოლების გახსნის შესახებ, რომელიც უფრო პრაქტიკული და ეკონომიკური იქნებოდა. მოძრავი სკოლების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ „ორ-სამ მცირე დასახლებულ სოფლებში იქმნებოდა ერთი მოძრავი სკოლა. მასწავლებელი ჯერ ერთ სოფელში მუშაობდა 3-4 კვირას. შემდეგ კი რიგ-რიგობით ამდენივე დროს მეორე-მესამე სკოლაში. მერე ისევ ბრუნდებოდა პირველში და ასე შემდეგ. დანარჩენ ორ სკოლაში მასწავლებლის არყოფნის დროს მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაო ეძლეოდათ და მათ მუშაობას თვალყურს ადევნებდა მასწავლებლის მიერ გამოყოფილი პირი სოფლის მცხოვრებთაგან, უფრო მეტ შემთხვევაში სოფლილს მამასახლისი, ან სხვა მოხელე...“ (ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19

საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში. თბ. 1974წ. გვ. 66.) მოძრავი სკოლების მუშაობის შინაარსი ვაჟა-ფშაველას ასე ჰქონდა წარმოდგენილი: „მასწავლებელი ამოირჩევს რვა დიდ სოფელს, რომლებსაც გარშემო წერილი სოფლები ახვევია. თითო სოფელში მასწავლებელს სამოცზე ნაკლები ქალი და ვაჟი არ ეყოლება და ამით გაუნაწილებს ერთი წლის დროს ამ შრომის წლის თავზე, თუ ივარგა მასწავლებელმა ეყოლება მას „ანბანის“ მცოდნე ოთხასზე მეტი მონაფე, სხვა რომელი სკოლა შეძლებს ამას ერთი მასწავლებლის მეოხებით.“ (ვაჟა-ფშაველა. ტ. 10. თბ. 1964. გვ. 172). ვაჟა-ფშაველას ბევრი პედაგოგი გამოეხმაურა სოფლებში მოძრავი სკოლების დაარსების აუცილებლობის შესახებ. 1886 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა პეტრე უმიკაშვილის და რაჟდენ ჯაჯანაშვილის სარედაქციო წერილები მოძრავი სკოლების გახსნის შესახებ. რ. ჯაჯანაშვილი წერს: „მინდა ამ სკოლების გახსნის სურვილი გავრცელდეს ჩვენს საზოგადოებაში, იქნება ეს იდეა შეესაბამოს ჩვენ ცხოვრებას და ამგვარი სკოლების დამართვამ ჩვენში ცოტათი არის წინ წასწიოს სწავლა-განათლების საქმე, იქნება ეს სკოლები ჩვენში შეიქმნენ გამავრცელებელი ცოდნისა და მით ამოგვიყვანონ იმ ღრმა უფსკრულიდან, რომელშიც ეხლა ჩვენ ვართ ჩაცვივნულნი.“ ხოლო პეტრე უმიკაშვილი წერდა: „წერაკითხვას ვაფასებთ როგორც პირველ ნაბიჯს განათლებისას და ამიტომ რადგანაც ჯერ-ჯერობით არც ნივთიერი და არც სულიერი დონე არ მოიპოვება მეტის მოხერხებით სწავლის გავრცელების სათვის ჩვენ სოფლებში მოძრავი სკოლა უნდა შეიქმნას საფუძვლად მომავლის დროის უკეთეს მოწყობილობის სწავლა-განათლებისა... ეს ნაბიჯი იქნება ჭეშმარიტად მკვიდრი ნაბიჯი სამუდამო სკოლების გამოყოფისათვის. დრო იმუშვებს, ხალხი ნივთიერად რამდენადმე წინ წაიწევს, წიგნის მცოდნე დედ-მამებს უმეტესად ეცოდინებათ სწავლის ფასი და თავისი შვილებისათვის უმეტეს მარჯვე სწავლებას მოისურვებენ.“ (ვ. გაგუა - სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შესახებ საქართველოში. თბ. 1974წ. გვ. 68-69).

ვაჟა-ფშაველა დიდ ყურადღებას უთმობდა პირველ დაწყებით სკოლას „პირველი დაწყებითი სწავლა საძირკველია, რომელზედაც ფუძნდება შემდეგი სწავლა-განათლებაო. მართლაც თუ საძირკველი არ ვარგა, შენობა რა გინდ კარგი, კოხტა დადგი, ზიზილ-პიპილოებით მორთე, მდიდრულად მოაწყვე, სიმკვიდრეს ვერ მოუმატებ, შრომა ტყუილად ჩაგივლის, შენობა დაიფუშება და იმასაც დაჰფუშავს რაც შიგ შეიტანე. პირველ დაწყებითი სკოლა უნდა აძლევდეს ახალ თაობას ისეთს აღზრდას, შეძენილს ცოდნას ისეთს ფერსა კიდებდეს, ისეთს გრძნობას უღვიძებდეს, რომ შემდეგ თვით მოსწავლემ საშუალო და მაღალ სასწავლებელში ეს ცოდნა აზრად ქცეული ხელში დრომად დაიჭიროს,“ (ვ.ფშაველა თხზ. 1979წ. გვ. 192.).

ვაჟა-ფშაველა სწორად აყენებდა საკითხს ოჯახსა და სკოლის ურთიერთობის შესახებ. „პირველი აღზრდა ოჯახიდან იწყება, იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. იგი სთესავს თესლს ყმანვილის გულში, ხოლო სკოლა ჰფარცხავს, ჰმარგლის, ჰგვის, ლენავს, ანიავენს ამოსულ თესლს“. (ვ.ფშაველა. თხზ. 1979წ. გვ.193). იგი ოჯახში ბავშვის აღზრდაში დიდ როლს დედას აკისრებს: „შვილების პირველი დაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია. დედაა გადამწყვეტილი შვილების ბედ-იღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედა რა შთაბეჭდილებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღბეჭდილი გული და გონება. ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში თესდეს კეთილსა. დიად ესმოდეს დედაკაცს შვილი როგორ აღზარდოს“ (ვ.ფშაველა თხზ. ტ.9. თბ.1964წ. გვ.347.). მისი აზრით ხალხში პატრიოტული გრძნობის გაღვიძებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისევ და ისევ სწავლა-განათლებას. პოეტი იგონებდა: „ერთხელ მე და რამდენიმე ერისკაცი ტკბილის ქართულის პურის ჭამაზე ვისხედით. იმათ მთხოვეს, ნასწავლი კაცი ხარ, ერთი კარგი რამ გვითხარო! მეც იმ დროს ხალხური ლექსი მომაგონდა (ლექსი თამარ მეფეს ეხებოდა), ამ ლექსის თქმის დროს ყველას თვალები მოუცრემლიანდა. ზოგმა ქვითინი დაიწყო. ეს დიდი ამბავია, მთელი მეცნიერებაა. ამ გარემოებამ დამაფიქრა და ბევრი რამ მომაგონა. თუ მართლა ხალხი უმეცარია, უბირია, უგუნურია, რად სტირის იმაზე, რაც იმის თვალთვან დიდის მანძილით არის განმორებული და რაც წარსულის დროის წყვილია შთანთქავს?“ (ვ.ფშაველა. თხზ. თბ. 1979წ. გვ. 201). მისი აზრით სწავლა იგივე ხმალია, იარაღია, „სწავლა ხომ ცხოვრების ხმალია და როგორც მეომარი არ ვარგა უიარალოდ, ისე უსწავლოდ კაცი, რომელიც მუდამ თან სდევს მცოდნესა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენს ხალხს ჯიბე აღარ დასდევს თან. სხვა მიზეზებთან ერთად ესეც ბარაქიანი მიზეზია... ძველ დროში რაც უფრო გასაჭირი დრო ედგა საქართველოს და ქართველებსაც ცალ ხელში ხმალი ეჭირათ და მეორეში - გუთანნი. მაშინ იცლიდნენ სწავლისთვის, მაშინ ენაფებოდნენ სწავლას, მაშინ არა სძულდათ ნათელი და ეხლა რალა ღვთის წყრომა ჩვენს თავს“ (ვ. ფშაველა. თხზ. თბ. 1979წ. გვ.201-202). ვაჟა-ფშაველა ყოველთვის ქება-დიდებათ იხსენიებდა „თამარის დროს“. იგი

აღნიშნავდა „თამარის დროს ქართველთ მხედრებისაგან გაჟღეტილ მტრის სისხლის ტბა კი არ იყო მარტო, არამედ სკოლაც... სკოლა კაი სკოლა, კარგის ნიადაგზე დაყენებული, რომ უმეცარი ყოფილიყო თამარის დრო, ხომ არც ისეთი ძლიერი იქნებოდა მაშინ საქართველო. უმეცრობა და ძლიერება ერთად ვერ მოთავსდებიან, როგორც ცეცხლი და წყალი, ერთმანეთში არეული... თუ განათლებულნი არ იყვნენ მაშინდელი ქართველები, არც ისე გაირჯებოდნენ თავის სამოშობლოს მიწა-წყლის გულისათვის, როგორც გაისარჯნენ. სწავლა ხომ ჭკუაა, მაგრამ იმავე დროს მამაცობაც, ვაჟკაცობაც (ვ. ფშაველა. თხზ. თბ. 1979. გვ.202-203). ვაჟა ფშაველას საჭიროდ მიაჩნია, რომ სწავლების დროს ძალდატანება აუცილებელია, „თუ დასავლეთ ევროპაში სავალდებულოა შვილების აღზრდა ჩვენ ვინ ვართ, ჩვენ უფრო არ გვჭირდება? პრინციპულად რაც უნდა ცუდი იყოს ძალდატანება, ამისთანაა საქმეში, მერე ხევესურეთში აუცილებლად გამოსადეგი ღონეა“ (ვ.ფშაველა. ტ. 10, თბ.1964. გვ.68).

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ხალხისათვის ყველა საჭირო საკითხი დასმული და განხილული აქვს საკმაოდ ნათლად და სიღრმისეულად. ვაჟა-ფშაველა როდესაც ამ წერილებს წერდა, განსაკუთრებით სახალხო განათლებაზე და პედაგოგიკაზე მისი ძირითადი მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდობისთვის შეეგონებინა სწავლის აუცილებლობა და ცდილობდა მეტი ცოდნა მიეცა, რომ შემდგომში პირად ცხოვრებაში და ქვეყნის მიმავლისათვის გამოეყენებინათ.

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა ტ. 10. თბ. 1964;
2. ვაჟა-ფშაველა ტ. 9. თბ. 1964;
3. ვაჟა-ფშაველა. თხზ. თბ. 1979;
4. ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. 6. თბ.1955;
5. ა. წერეთელი. თხზ. ტ. 12. თბ.1960;
6. ვ. გაგუა - სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში. თბ. 1974წ.

Masho Zubitashvili

Vazha-Pshavela about Public Education

Summary

Education, scientific knowledge was considered a matter of great national mastering the advanced intelligentsia. Therefore, the nation's leading chief tainsfought vigorously to educate people in confusion. Vaja-Phshavela was in this case- one dedicated fighters.

In 19th century - of the great works have people in Georgia inclusion in education ,to open the new schools. But this big to carry a lot of things disturbed .Vaja - especialy moving in the Propagation of the opening of schools . He Writing - Literacy in society , which would be more practical and economical . Vaja - Phshavela paid much attention to the first primary school .Vaja - Phshavela properly raising the issue for family and school relations.

Vaja - Phshavela his journalistic writings of the people all the issues raised and have a quite clearly and in depth. Vaja when he wrote these letters , especially public education and teachers , the principal objective was to study the importance of the youth educated and sought more knowledge has been given to the use of private life and the future.

1004 – ისტორიის მეცნიერებანი

მაშო ზუბიტაშვილი

ნაპრესის ეპარქია და დოსითეოზ ჩარქაუიშვილი (ნაპრესელი)

ნეკრესი კახეთის უძველესი სამონასტრო ცენტრია ყვარელთან, სოფელ შილდის მახლობლად. იგი კავკასიონის ქედის განშტოებაზე, ტყით დაფარულ მთის ფერდობზეა განლაგებული ძველი წყაროების მიხედვით ნეკრესი ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინარე ხანაში არსებობდა ლეონტი მროველის ცნობით ქალაქი დააარსა მეფე ფარნაჯომ. ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიის მიხედვით ფარნაჯო მეფობდა ჩვ.წ.ალ-მდე 112-93წწ (ვ. ბატონიშვილი - გვ.545).

ამჟამად ნეკრესის სახელწოდება მხოლოდ მთაზე განლაგებულ მონასტერს შემორჩა, ქალაქმა კი არსებობა მრავალი საუკუნის წინ შეწყვიტა. ნეკრესში პირველი სამლოცველოს აგება დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პირველივე წლებთან. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ ტაძარი ააგო მირიან მეფის შვილიშვილმა თრდატმა „შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი...“ (ვ. ბატონიშვილი - გვ.545). ნეკრესის ეს უძველესი ეკლესია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ სამლოცველოს საქართველოში, ჩვენამდე მოღწეულ ეკლესიათა შორის. VI საუკუნეში ნეკრესის მონასტერში დამკვიდრდა წმ. აბიბოსი. იგი ერთი იმ „ასურელ მამათაგანია“, რომლებიც VI საუკუნის შუა წლებში ჩამოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების მიზნით. აბიბოსი სირიიდან მოყვა იოანე ზედაზნელს. ერთხანს ერთად მოღვაწეობდნენ ზედაზნეზე, ხოლო შემდეგ ნეკრესის ეპარქია ჩაიბარა.

აბიბოსის მღვდელთმთავრობა საქართველოსათვის ძალიან მძიმე პერიოდს დაემთხვა. ქართლში დამკვიდრებული სპარსელები ყველა ღონეს ხმარობდნენ მაზდეანობის დასაწერად, რის წინააღმდეგაც მკაცრად გაილაშქრა აბიბოსმა. მან სპარსელთა ღმერთი - ცეცხლი შეურაცხყო: „დაასხა მცირეწყალი ხენეში და დაშრიტა.“ მღვდელთმთავრის ასეთმა მოქცევამ განარისხა სპარსელები. მათ შეიპყრეს აბიბოსი და მიჰგვარეს მარზპანს. მაგრამ იგი არც მას შუშინდა, რისთვისაც „ქვით განტვენეს, მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა“ (ლ. მენაბდე - გვ.321-322). ნეკრესელი მღვდელთმთავრის ასეთმა შეუპოვრობამ და თავგანწირვამ გარკვეული როლი შეასრულა ეპარქიის გაძლიერებისა და სამწყსოს გაზრდის საქმეში. გარდა ამისა, აბიბოს ნეკრესელის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა მთიანეთის მოსახლეობის ქრისტიანებად მოქცევის საქმეში.

ნეკრესის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან სასულიერო-საგანმანათლებლო კერას. აქ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ ნეკრესელი მღვდელთმთავრები საუკუნეების განმავლობაში ეპარქიის გაუქმებამდე. ნეკრესის ეპარქია 1811 წელს გაუქმდა. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ღვთისმეტყველნი: ნიკოლოზ ნეკრესელი, იოანე ჯორჯაძე, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი ნეკრესელი (მიქაძე) და სხვანი. ისინი აქ სამწყსოს საკეთილდღეოდ იღვწოდნენ და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ, წერდნენ და თარგმნიდნენ წიგნებს. ნეკრესის მონასტერთან დაკავშირებულია შემდეგი ლეგენდა: თურმე როცა მტერი შემოსევია მონასტერს, აქ თავს აფარებდა სოფლის მოსახლეობა და მათთან ერთად შინაური პირუტყვი, მათ შორის ღორიც. როცა მტერი ტაძრის კარს მოადგა, მისი მოგერიება ძალიან გაჭირდა. ქართველებმა ეშმაკურ ხერხს მიმართეს: მშვიერი ღორები მიუსიეს ლეკებს, მომხდურნი მაჰმადიანები იყვნენ და ღორის დანახვამ ძლიერ დააბნია. მტერი უკუიქცა. სწორედ ამას უკავშირდება ის ფაქტი რომ, ნეკრესის მონასტერი ერთადერთი სალოცავია, სადაც საღვთოდ სწირავენ ღორს.

აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ იოსელიანი: „და უმატა მეფის ძემ თეიმურაზმა შემდეგი: ქრისტიანობა არის სამკაული მეფეთა და მასზე დაფუძნებული მეფობა და განმგებლობა ქვეყნისა არის საჩინო რითაც იყო დიდი კარი მამისა ჩემისა ... დიდად ეხაროდა ქართველთა ერისა ჩვეულებას, ოდესაც აღდგომისა დღესა მიერთმეოდა ვერცხლისა სინზედ, მილოცვით დღესასწაულისა, სხვათაშორის საპასეოდ მომზადებულთა სანოვაგეთა, თავი ღორისა მოუხარშავი და მოსახარჩავად გამზადებული, კურთხეულმან ვასილ – ბრძანებდა მეფე გახსნა ჭამა ღორის ხორცისა, აკურთხა და განსწმინდა, რასაც მოსე მცნებითა თვისი[თ] უწოდებს ბილნად. თქმული ესე თუმცა არსად სწერია ბრძენთა და ქართველთა წერილებში, გარნა საზოგადოდ ზეპირ თქმულობით მიაწერენ დიდსა ვასილს. დიდმან

ვასილი შემოიღო ესე, რათა ჭამითა ღორის ხორცისა დააშოროს პურიტა ქრისტიანენი და რათა მოქცეულნი ქრისტიანედ და მიმალულნი ურიაობასა პურიანი ადვილად განირჩეოდნენ. ესრეთი არის სადმე განმარტებული დოსითეოს ნეკრესელისაგან“ (პ. იოსელიანი - გვ.176).

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს „ჭამითა ღორის ხორცისა“ ... „განირჩეოდნენ“, ქართველები სხვა სარწმუნოების ხალხისაგან. ქართველმა ხალხმა გასაჭირში ნეკრესის მისადგომებთან მომხვედური მტრის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით გამოიყენა ღორი და მტერს სძლია. ამ გამარჯვების შემდეგ ხალხი სიმბოლურად საუკუნეების განმავლობაში დღემდე ნეკრესს სწირავს ღორს, როგორც გადამრჩენს. „ესრეთი არის სადმე განმარტებული დოსითეოზ ნეკრესელისაგან“. ვინ იყო დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (ნეკრესელი)?

დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (ნეკრესელი) XVIII საუკუნის ქართველი მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწეა. თანამედროვე კათალიკოსის ანტონ I-ის. იგი ნეკრესის ეპარქიის გამოჩენილი ადამიანი. „ესე დოსითეოს იყო გვარით ჩერქეზიშვილი, კახელი. კაცი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი“ ამას გვამცნობს პ. იოსელიანი. ამასვე აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი „კაცი მეცნიერი ღვთისმეტყველებისა მცოდნე“ (პ. იოსელიანი - გვ. 528). ბიოგრაფიული ცნობები მასზე საკმაოდ მწირია როდის ავიდა ნეკრესის კათედრაზე, ან როდის დატოვა იგი არ არის ცნობილი. მისი სახელი როგორც ნეკრესის კათედრის მპყრობელისა პირველად მოიხსენიება 1758 წელს, როდესაც მან აკურთხა ერეკლე მეორის მიერ თელავში გახსნილი ფილოსოფიურ საღვთისმეტყველო სკოლა ეს მას ერეკლე მეორის დასტურით გაუკეთებია. მიუხედავად საკმაო განათლებისა და მომზადებისა, თვითონაც ჩაირიცხა პირველ მსმენელთა შორის, რათა უფრო დახელოვნებულიყო მეცნიერებაში. ჩვენის აზრით უკვე საკმაოდ ცნობილი პიროვნება ყოფილა სემინარიის გახსნამდე. მას აკურთხებიან თელავის სასულიერო სემინარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 1770-1775 წწ შორის უნდა ასულიყო ნეკრესის კათედრაზე.

როგორც პ. იოსელიანი და იოანე ბატონიშვილი აღნიშნავენ, დოსითეოზი „კაცი იყო ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი“ და ანტონ I-ის სალიტერატურო წრეებში ტრიალებდა და მას არ გაუჭირდებოდა ნეკრესის ეპარქიის გაძლოლოდა და მოკლე დროში ავტორიტეტი მოეპოვებინა, როგორც განსწავლულ კაცს. ამიტომ მიიქცია ერეკლე II-ის ყურადღება. ერეკლე II-ს სურდა კათალიკოსად ეკურთხებინა დოსითეოზი, მაგრამ ბატონიშვილის რჩევით გადაუფიქრებია. პ. იოსელიანი აღნიშნავს: „მეფე ირაკლის მეორესა უნებდა ებოძა მისთვის კათალიკოსობა შემდგომად ანტონისა პირველისა. გარნა არა ჰქმნა მეფის ძემან გიორგი და მიუბოძა შვილსა თვისსა ანტონის“ (ანტონ II მ.ზ.) (პ. იოსელიანი - გვ.176-177).

დოსითეოზი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან საკუთარ ეპარქიაში დააარსა პირველი დაწყებითი სკოლა სამწყოსთვის. ამ დიდმა და მნიშვნელოვანმა წამოწყებამ დიდად გაახარა ერეკლე II, რომელიც დოსითეოს სწერდა: „მეტად სასიამოვნოდ დამირჩება თუ ბეჯითად იზრუნებთ სკოლისათვის,“ (ლ. მენაბდე - გვ. 323-324). დოსითეოზ ჩერქეზიშვილი აქტიურად შრომობდა, ენერგიულად იღწვოდა ნეკრესის გაძლიერება-გამდიდრებისათვის. ამიტომ იმ პერიოდის სიგელ გუჯრებში სხვადასხვა საქმის გამო იხსენიება 1762 წ, 1784 წ, 1785 წ და უკანასკნელად 1789 წ. პ. იოსელიანის ცნობით „იგი იყო კოჭლი დაბადებით და გარდაიცვალა 1789 წელს“ (პ. იოსელიანი - გვ.177). ივ. ბატონიშვილის ცნობით „და ესრეთ მოხუცებულობისა ჟამსა დაასრულა ცხოვრება თვისი. მისი დახასიათებით დოსითეოზ ჩერქეზიშვილი „ესე ვითარცა მონაზონებასა შინა, ეგრეთვე ერისკაცულთაცა შინა გამოცდილი იყო, რომელ ჟამსა მტრიანობისა და ომიანობისასა ყოველთვის იმხნობდის ერთა და კეთილისა რჩევითა თვისთა კარგად წარიმართვიდის საქმეთა“ (ქართული პროზა. ტ. VI.თბ. 1984. გვ. 528). 1788 წელს დოსითეოზ ჩერქეზიშვილის უსიამოვნება შეემთხვა მღვდლის თვითნებურად კურთხევისათვის. ის სასტიკად გაკიცხა ანტონ II-მ.

დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, როგორც განათლებული, ღვთისმეტყველების მცოდნე დაახლოებული ყოფილა იმ პერიოდის ლიტერატურულ წრეთან, განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა თელავის სკოლის სხოლაპედის რექტორს ფილიპე ყაითმაზაშვილთან. ლიტერატურული მუშაობა დოსითეოზმა ჯერ კიდევ თელავის სკოლაში ყოფნისას დაიწყო. მისი ლიტერატურული მუშაობა მიმართული იყო უმთავრესად სომხური და ქართული მწერლობის ურთიერთდაახლოებისკენ. ივანე ბატონიშვილი აღნიშნავს: „უნყოფა სომეხთა ენა კეთილად.“ იგი ცდილობდა გადმოეღო სომხეთიდან ისეთი ნიგნები, რაც ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა და შეეცაო იმდროინდელი ქართული საეკლესიო ხარვეზები. დოსითეოზი და ფილიპე ერთად ეწეოდნენ ლიტერატურულ საქმიანობას. ფილიპე ყაითმაზაშვილი თარგმნიდა სომხურიდან, ხოლო დოსითეოზი მის თარგმანს ასწორებდა სტილისტურად. დოსითეოზი ძირითადად ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებზე მუშაობდა. ფილიპე ყაით-

მაზაშვილისა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილის ერთობლივი მუშაობის ნაყოფია შემდეგი ქართული თარგმანები: დავით უძლეველის „ნიგნი საზღვართა“, მხითარ სევასტელის რიტორიკა „ახსნა პორფირისა“, შემოკლებითი ახსნა პერიარმენის ნიგნთა“ ან „მცირე ნაცვალსიტყვაობა“ და სხვა. აღნიშნული ნიგნები ითარგმნა 1758-1764 წლებში (კ. კეკელიძე – გვ.370).

დოსითეოზ ნეკრესელი ნაყოფიერად მუშაობდა პოეზიაშიც. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე საინტერესო ლექსი, კიდურ ნერილობა: „დოსითეოს ნეკრესელი“ (ვრცელი ლექსი, თავისებური წინასიტყვაობა, „შემოკლებითი ახსნის“ თარგმანისა, გადმოგვცემს ძეგლის ისტორიას და აღნიშნავს ერეკლეს კუთვრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ანბანთქებანი, სულხან-საბა ორბელიანის ქება, თავის ქება ჭაბუა ორბელიანის მაგიერ). მასვე დაუწერია ლექსი „შილდის ციხე“ (კ. კეკელიძე – გვ.371).

დოსითეოზი ხელნაწერთა გამრავლებაზეც ზრუნავდა. ის თვითონაც წერდა ახალ წუსხებს და სხვა პირებსაც ავალებდა ხელნაწერთა გადანუსხვას. მის აღზრდილს გერმანე ხუცეს-მონაზონს 1763 წელს გადაუწერია იოანე პეტრიწის თარგმანი პროკლე დიადოხოსის „კავშირისა“. გარდა ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებისა, აღ. ხაზანაშვილის ცნობით სომხურიდან გადმოუღია აპოკროფები, სხვათა შორის „სიყრმე უფლისა“. მისივე ცნობით იგი ყოფილა ცნობილი, როგორც ნიჭიერი და მჭერმეტყველი მქადაგებელი და მოძღვარი თავისი სამწყსოსი (კ. კეკელიძე – გვ. 371-371).

თანამედროვენი დოსითეოზს დიდად აფასებდნენ და აქებდნენ. მასზე ლექსი დაუწერია დავით რექტორს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1783 წელს თელავის სემინარიის რექტორს უთქვამს „სიტყვა მადლობისა... ყოვლად სამღვდელოებისა ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოზ ჩერქეზიშვილისადმი.“

ამრიგად, ნეკრესის ეპარქია საუკუნეების განმავლობაში კულტურისა და განათლების კერას წარმოადგენდა, სადაც მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მამულიშვილები. მათ შორის გამოირჩევა დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (ნეკრესელი), რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ნეკრესის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში და დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობაში.

ლიტერატურა:

1. ვ. ბატონიშვილი - ქართლის ცხოვრება. ტ.4. თბ. 1973.
2. პ. იოსელიანი - ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ. 1978.
3. ქართული პროზა ტ. VI.ივ. ბატონიშვილი „კალმასობა„. თბ. 1984.
4. კ. კეკელიძე - ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960.
5. ლ. მენაბდე - ძველი ქართული მწერლობის კერები. თბ. 1962.

Masho Zubitashvili

Eparchy of Nekresi and Dositeoz Cherkezishvili (Nekreseli)

Summary

Convent of the Sacred Nekresi centuries of Kakheti was the educational hub. Here was engage in fruitful, Bishop of the Diocese undo centuries before. Nekresi diocese was abolished in 1811. The works of famous theologians: Nicholas Nekreseli, John Jorjadze, Dositeoz Cherkezishvili and Ambrose Nekreseli (Miqadze) and others. Who are engaged in educational work, and strived for the welfare of the flock, wrote and translated books.

Dositeoz Cherkezishvili (Nekreseli) XVIII century literature- was one important figure. Catholicos AntonI - it is modern. It Nekresi prominent people of the diocese. Literary work Dositeoz is started in Telavi school.

His literary work was directed primarily toward rapprochement between the Armenian and Georgian literature. Dositeoz mainly worked on the philosophical writings . Productively work poetry and manuscripts multiply cared about . He himself wrote the new list of manuscripts and instructing selected the other persons. He has worked hard in literary ofNekresi - and a great contribution to the educational activities of the Georgian - Armenian relations.

1004 – ისტორიის მეცნიერება

ალექსანდრე მოსიაშვილი

სიღნაღის მაზრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

I მსოფლიო ომის პერიოდში ქართული პრესის მიხედვით პირველი მსოფლიო ომის (1914-1918წ.წ.) პერიოდში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში (კახეთის რეგიონი), ისევე როგორც სრულიად საქართველოში, საკმაოდ გაუარესდა. მაგრამ, ამავე დროს გარკვეული მნიშვნელოვანი წამოწყებებიც ხორციელდებოდა. ყოველივე ამას ოპერატიულად ასახავდა იმდროინდელი ქართული პრესა.

1914 წლის 1 იანვარს „სახალხო გაზეთი“ იუწყებოდა: „გამომცხვარი პურის ნიხრი სიღნაღში: 1-ლი ხარისხისა გირვანქა ღირს – 5 კაპ, მე-2 ხარისხისა რუსულ-ადგილობრივ ფქვილისა – 3 1/2, ხოლო ადგილობრივი ფქვილისა – 3კ. („სახალხო გაზეთი“, 1914, 11).

საინტერესოა, რა ხდებოდა ამ დროს სიღნაღის ქალაქის თვითმმართველობაში: ომის გამოცხადებისთანავე სიღნაღის ქალაქის თვითმმართველობას აუარჩევია „ხმოსნებისაგან“ შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონია დაენესებინა ნიხრი პირველ აუცილებელ საწვავზე სიღნაღში და მიღებული ყიფილიყო ამ კომისიისგან ყოველივე ზომები, რათა საწვავზე ხელოვნურად არ გაეძვირებინათ: „ოთხი თვეა მუშაობს ეს კომისია შეძლებისდაგვარად და დარწმუნდა, რომ კომისიას არ შეუძლიან ბაზარი მოაწესრიგოს. თუ თვით მცხოვრებნი არ დაეხმარებიან ამ კომისიას. მოქალაქენი ხშირად თვითვე არღვევენ დადებულ ნიხრს და ამავე დროს კომისიის წევრებს უსაყვედურებენ.

ამ დღეებში სიღნაღში გამოილია ნავთი. კომისიამ დათვალა ნავთის საწყობები, მაგრამ ნავთი ვერსად ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ბევრი გვისაყვედურებს, რომ ნავთი ფარულად გირვანქა 10 კაპ იყიდებოდა.

კომისია მიჰმართავს მცხოვრებთ, თვალი დაიჭირონ და ყოველ შემთხვევაში შეატყობინონ კომისიის ერთ-ერთ წევრს მაინც“ („სახალხო ფურცელი“, 1914, 3).

მოტანილი ცნობები ცხადყოფს რეგიონში არსებულ რთულ მდგომარეობას ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ როგორც ჩანს, არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილან უმოქმედოდ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ საერთო გაჭირვების ფონზე ისინი ცდილობენ საბოტაჟის თავიდან აცილებას.

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაა გურჯაანში (სიღნაღის მაზრა): „ისევე სიძვირეა როგორც ყველა სოფელში, ყველაფერს ფასი ემატება. ბლომად ღვინო გასაყიდი დარჩა, სირაჯები არ მოდიან, რუსეთში ღვინის გაყიდვის ნება არ მიუციათ. ღვინის ფასი დაინია. ვისაც შეძლება აქვს, არ ჰყიდია ღვინოს, იმედი აქვთ, ფასი აიწევსო. ვისაც უჭირს, რა ჰქნან? რა ძალაა, უნდა გაყიდოს იაფად. ვენახებში გაცხარებული მუშაობაა, მუშა-ხელი ძალიან ცოტაობს. შაბიამან-გოგირდის საქმე ძალიან ცუდად არის. ამბობენ გოგირდის შოვნა არ არისო, ვერ აიძებნეს საამხანაგო კასსა, შაბიამანი ძალიან ცოტა მოუვიდათ, კიდევ ელიან, გოგირდი სულაც არ მოსდით. ეხლა-ღა დაფაცურდნენ, მაგრამ გვიანაა, კარგი ყოჩაღობა უნდა, თუ იშოვნეს და საწყალი გლეხები გადაარჩინეს უბედურებას: შარშანაც შაბიამან-გოგირდის სიძვირემ და უმოვნელობამ გააფუჭა ვენახები მთელ კახეთში და წელსაც თუ ასე მოხდა, ძალიან გაუჭირდებათ გლეხებს. წრეულს ნახნავი არსად არის, გურჯაანში მეთაფი არ დახნულა, რაც შარშან იყო. ვისაც შეძლება ჰქონდა, იმათ დახნეს, ღვინის იმედი ჰქონდათ, ღვინოც არ ეყიდებათ. ასე რომ წრეულ პური თუ არ შემოვიდა რუსეთიდან, აქაც სიმშილობა იქნება, სხვა ახლო-მახლო სოფლებში არ უთესიათ“ („სახალხო ფურცელი“, 1916, 3).

მართლაც დიდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დამდგარა მაშინდელი საქართველო. კახეთი „საქართველოს ბელელად“ იწოდებოდა იმთავითვე და როდესაც კახეთის გაჭირვებაზე საუბარი უკვე გასაგები ხდება რა მდგომარეობაში იქნებოდა მთლიანად ქვეყანა. მაგრამ აქ, საგულისხმოა ერთი გარემოება, „პური თუ არ შემოვიდა რუსეთიდან აქაც სიმშილობა იქნება.“ – იტყობინება გაზეთი და ჩვენთვის ნათელი ხდება არსებული იმედის შესახებ. საქართველო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხობა ბოლო იმედს დამპყრობელ ხელისუფლებაზე ამყარებდა. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება საარსებოდ მნიშვნელოვან პროდუქტს.

სიღნაღის მაზრის მძიმე მდგომარეობა ჩანს სოფ. კაჭრეთის მაგალითზეც. მაშინდელი ქართული პრესის ფურცლებზე მრავალი საგულისხმო წერილია გამოქვეყნებული, რაც გვაძლევს საშუალებას რეალურ ფერებში დავინახოთ საერთო გაჭირვების ფონი: „სდუმს სოფელი... კვნესის ცხოვრება, გაითიშა მეურნეობა და თანამედროვე სისხლის ხანამ, ომის გრიგალმა ყველაფერს სამეურნეო დარგს მოუშუშა სიცოცხლე და სოფელს სიკვდილის ფერი ადევს. იმედი სულ იმედი, იმედი, და როდის გამოიდარებს ვინ

იცის?!.... ჯერ სულ ტირილია და როს შეგვიშრება ცრემლი თვალზედ ვინ იცის?!....

ბუნებაზე რომ გვილაპტავა?!..

შემოდგომიდანვე დაწყებულმა სიმშრალემ საცოდავ ომის გრიგალს მონარჩუნებულ პატარა მუშა ხელისგან ცოტაოდენი საახალ-პურე ნახნავ-ნათესშიც შიგ ამოგვიხმო, ამ ბოლო დროს პატარა ავ-დრები იყო, გვეგონა გამოაკეთებდა, მაგრამ იმედი გავიცრუვდა, და ავი და კარგი კი გადასწყვიტა: ზოგს არაუშავსარა, ზოგი კი უნდა ხელმეორედ მოიხნას. ასე, ჯერ ისევ წყვდიადს ვგრძნობთ ჩვენთვის შუქი არსაიდან მოსჩანს და დიდი განსაცდელი სიმშოილი მოგველის. არანაკლებს გვამნარებს კიდევ გოგირდ-შაბიამნის უქონლობა ვენახებისათვის“ („სახალხო ფურცელი“, 1916,4).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პუბლიკაცია კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა არსებული დუხჭირი მდგომარეობის. გლამის სასონარკვეთილებამდე მისული მოსახლეობა ხმამაღლა გამოხატავს ნუხილს არა მხოლოდ მთავრობის არაეფექტურ ქმედებებზე, რაც თუნდაც შაბიამან-გოგირდის დაგვიანებით შემოტანამ გამოიწვია, არამედ ბუნებაზეც, რომელსაც გვალვის გამო არანაკლები ზიანი მიუყენებია მათთვის.

ზემოხსენებულმა გაჭირვებამ სხვა დამატებითი სირთულეებიც შექმნა. მეტად შემამფოთებელ სურათს ქმნიდა მაშინდელი კრიმინალური ქრონიკა. ასე მაგალითად: ქაზიყში სხვა ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად ყაჩაღობაც გავრცელებულა. დღე ან ღამე ის არ გავიდოდა, რომ „ავაზაკებს“ არავინ გაეძარცვათ ან სახლი არ აენიოკებინათ ვისმესთვის. „ამბობენ ყაჩაღები გამოქცეული ჯარისკაცები არიანო“ („სახალხო ფურცელი“, 1916,2).

ძნელია, როდესაც იძულების წესით საომრად მიჰყავთ მთავარი მწარმოებელი მასა. მითუმეტეს, იმ ომში, სადაც საქართველო როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა არ მონაწილეობდა, მაგრამ არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მომრავლებული კრიმინალიც, მართლაც, არ არის გამორიცხული, რომ კრიმინალის ჩამდენები ე.წ. დეზერტირები ყოფილიყვნენ. ჯერ ხომ ძნელი წარმოსადგენია შენი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სხვის ომში მონაწილეობა და ახლა იქიდან დაბრუნებულები, რასაკვირველია, საზოგადოებაში აშკარად გამოჩენას მოერიდებოდნენ. ისედაც არსებულ საერთო გაჭირვების ფონზე თავის გადარჩენის მიზნით რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ არ არის გამორიცხული რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი გზისთვისაც მიემართა. ცხადია, შასაბამისი სამართალდამცავი ორგანოები შეეცდებოდნენ გარკვეული ღონიძიებების გატარებას, მაგრამ მათი ქმედება ვერ იქნებოდა სათანადოდ ეფექტური, რისი მიზეზიც ისევ და ისევ არსებული გაჭირვება იყო.

აქვე გვინდა შევეხოთ კურორტ „ახტალის“ მაშინდელ მდგომარეობას:

... „სამკურნალო ტალახ „ახტალაზედ“ 300-მდე ავადმყოფია. თვით ახტალა 80-მდე მონაწილეს ეკუთვნის და ერთმანეთში დავა ჯერაც არ მოუთავებიათ, ამიტომ ახტალა სრულებით მოუნწყობელია. ბანაობისას ართმევენ თითოს 20კ.გასაბანი-10კ. ჩვენ არ გვესმის, რაში ან ვინ იღებს ამ 20კაპ.

შარშანაც იღებდნენ.რა იქნა ფული?!

ამ 300 ავადმყოფს პირდაპირ სძარცვენ.ოთახში თვეში 50-60 მ.(ცარიელი ქოხი)ქათამი-2 მ. კვერცხი წყვილი-15კ.პური (უვარგისი) 10კაპ. გირვანქა („სახალხო ფურცელი“ 1916,2).

როგორც ირკვევა, კურორტი „ახტალა“ როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამკურნალო დაწესებულება, იმ პერიოდისთვის გარკვეული დატვირთვით ფუნქციონირებდა, მაგრამ აქაც შეიმჩნევა უყურადღებობა მთავრობისაგან.

В последующих источниках, начиная XI века и позже, название «Баку» даётся в следующем виде:

(Бакух) — ал-Бируни (XI в.), Абу Хамид ал-Андалуси ал-Гарнати (XII в.).

(Баку) — Хагани Ширвани (XII в.), Рашид-ад-дин (XIV в.), Хасан-бек Румлу (XVI в.), Амин Ахмед ар-Рази (XVI- XVII вв.), Эвлия Челеби (XVII в.), Хаджи Халифа (XVII в.).

(Бакуйа) — Йакут (XIII в.), Насир ад-Дин Туси (XIII в.), Закарийа Казвини (XIII в.), Хамдуллах Казвини (XIV в.), Бакуви (XV в.), Абу-л-Фида (XIV в.), Ибн Ййас (XVI в.), Садик Исфакхани (XVII в.).

(Бадкубе) — Дербентнаме, Искендер Мунши (XVII в.)(3), Мирза Мухаммед Мехди-хан Астерабади (XVII в.), Мухаммед-Хасан-хан Этемад ас-Салтане (XIX в.).

Современное название города — Васу или Vachu (Баку) — встречается в сочинениях западно-европейских путешественников, начиная с XIII века. Встречающаяся у итальянского путешественника XVII века Пьетро Делла Валле форма Vahcüh (Вакух), по мнению Б. Дорна, происходит от мазендеранского (Ва-Бад), т.е. ветер и (Кух) — гора.

В русских источниках название Баку передается как «Бака». Сами азербайджанцы называют город Баки.

У европейских и русских географов и путешественников XIV - XVII вв. написание города Баку представляется в следующем виде:

Каталонская (1375 г.) – Васу
Фра Мауро (1459г.) – Bachu
Лезинская (XV в.) – Bachu
Вальдземюллер (XVI в.) –Васу
Джениксон (XVI в.) – Bakhov
Гарритс (XVII в.) – Васа
Федор Годунов (1613 г.) – Васа
Адам Олерий (XVII в.) – Bakuie
Ян Стрюйс (XVII в.) – Baku
Пальмквиста (XVII в.) – Baku(1)

Надписи, сохранившие название города Баку сохранились и на стенах мечетей, находящихся на территории старой крепости [Ичери-шехер](#). Так, надпись, высеченная на камне в стене у основания минарета [Джума мечети](#), передаёт содержание текста ярлыка [ильхана Олджейту](#). Упоминаемое в ней слово «Баку» представлено в виде *Бакуйа*. На монетах, чеканенных в Баку в XIV – XV веках ильханами, джелаиридами и ширваншахами, слово «Баку» также изображено как Бакуйа.

ЛИТЕРАТУРА

1. Алиев Ш. Исторический обзор и анализ карт Каспийского моря до начала XIX века (диссертационная работа, АГУ, 1948 г.).
2. *Ашурбейли С.А.* История города Баку. Азернешр, 1992 г., стр. 43- 45.
3. Искендер-бек Мунши. Тарих-и алам арай-и Аббаси. Литографическое издательство. Тегеран, 1314 г., стр. 515.
4. Т.М.Мусеви. Средневековые документы по истории Баку. Баку, 1967 г., стр. 63-64 (на азерб. яз.) UOT 9(4794)

Alieva F.B.

Etymology of the name of the city of Baku

Summary

Key words: *Baku, city, meaning, origin, name*

The article deals with an attempt to clarify the names of the forgotten ancient city of Baku, the establishment of its etymology, tracking and explaining its modifications, which occurred over a long historical period.

1004 - ისტორიის მეცნიერება

ნუნუ მიქელაძე
ალექსანდრე ოთარაშვილი

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ ბაგრატიონი

საქართველოს ისტორიას მრავალი ტკივილიანი ფურცელი ახლავს. განსაკუთრებულად გამორჩეულია XVIII-სკ-ს დასასრული და XIX სკ-ს პირველი ნახევარი. 1798 წელს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად დაიწყო საქართველოს დამშვიდობება დამოუკიდებლობასთან და მისი რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცევა.

ქართლ-კახეთის ანექსიის ფაქტის შემდეგ რუსეთის კოლონიური ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე უსამართლო, ყველაზე უზნეო და არაადამიანური, მეფის ოჯახის წევრთა სამშობლოდან გადასახლების ოპერაციის ჩატარება იყო. [რუსული კოლონიალიზმი საქართველოში 2008. 29] რადგან ბაგრატიონთა სახლის საქართველოში ყოფნა ყოველგვარი არეულობებისა და ბუნტების საფუძვლად იყო მიჩნეული. სამშობლოდან დაშორება და იძულებით გადასახლება უდიდესი ტკივილი იყო ქართველი ბაგრატიონებისათვის ამის გამო რუსეთის ხელისუფლება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა პავლე ციციანოვმა დედოფლებს, ბატონიშვილებს ყმა-მამულებიც ჩამოართვა და ხაზინას გადასცა, რათა ისინი ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩაეგდო და ამ გზით გადასახლების თანხმობა გამოეძალა.

არც ამ სასტიკმა ღონისძიებებმა გაჭრა. ამის შემდეგ რუსეთის სამეფო კარი ძალადობაზე გადავიდა და 1803 წლიდან დაიწყო ქართველ ბაგრატიონთა საშინელი დევნა და მათი რუსეთში იძულებით გადასახლება.

გიორგი XII-ის ქვრივის, საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის ბედი ტრაგიკული გამოდგა. საყვარელი სამშობლოს დაღუპვის ტკივილს, მალე მისი პირადი წამება და მარტვილობა დაერთო [ლ. სანიკიძე, დედა ისტორია 1986 წ.] მარიამმა, რომელმაც ხანგრძლივად ატარა საქართველოს დედოფლის სახელი, სინამდვილეში მხოლოდ ორწელიწადნახევარი იდედოფლა. ციციშვილის მშვენიერ ასულს 14 წლის ასაკში დასწერეს ჯვარი საქართველოს ტახტის მემკვიდრე გიორგიზე. მაგრამ მისი დედოფლობის წლები ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მარიამისათვის რთული იყო იმ ღირსეული ქალისა და დედოფლის შეცვლა, რომელიც მეფე ერეკლეს თავის სამეფო ოჯახის ბურჯად მიაჩნდა. ეს იყო ბატონიშვილი გიორგის პირველი მეუღლე - ქეთევანი, ქიზიყელი მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული. დედოფალი ქეთევანი უდიდესი პატრიოტი იყო. გამორჩეული თავისი სიჭკვიანითა და სიღარბისლით, რომელიც მეცხრე შვილის მშობიარობას გადაჰყვა. ასეთი შესანიშნავი რძლის ადგილი დაიჭირა მარიამმა. ერეკლეს რძალი მესამე დღეს მოუწაულებია და ღვთისმშობლის ხატი ძვირფასი თვლებით, მარგალიტითა და იაგუნდით მოჭედული - მიურთმევია. დარეჯანსაც ოქროს ძეძკით, ინდური შალით და ფარჩის საკაბით დაუსაჩუქრებია, მაგრამ 1798 წელს ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ მხიარული დღეებიც დასრულდა დ მდგომარეობაც შეიცვალა. ძლიერი დარეჯანი ძველებურად დედოფლობდა და საკმაოდ ბევრი მომხრეებიც ჰყავდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მას ხელთ ეპყრა ქვეყნის დიპლომატიური თუ პოლიტიკური სადავები. ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან. დედოფალი დარეჯანი ხედავდა, რომ რუსეთის კარზე სავსებით მინდობილ სუსტ გიორგის ერისა და სახელმწიფოს გადარჩენა არ შეეძლო. გიორგისაც ჰქონდა პრეტენზიები დედასთან. დედოფალი მისი მშვენიერი მეუღლე მარიამი უნდა გამხდარიყო. თავდაპირველად დარეჯანს არ ეამა, თუმცა უკან დაიხია და ბრძენმა დარეჯანმა მეფე-დედოფალი დალოცა. მაგრამ მისი ავტორიტეტი ბოლომდე ძლიერი დარჩა. გიორგი მეფემაც ვერ აღიარა ბოლომდე მარიამის დედოფლობა და გავლენა დარეჯანს ბოლომდე ვერ წაართვა. არ ჩამოართვა დედოფლის სახელი. დარეჯანი კი თავისას არ თმობდა და ბოლოს გიორგიმ დარეჯანს ჩამოართვა მამულები, მაგრამ ამ ამბებში მარიამს ბრალი არ მიუძღოდა. ყველაფერი სასახლისა და დიდი პოლიტიკის სახელით კეთდებოდა.

1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მეფე-დედოფალს წილად საშინელი მემკვიდრეობა ხვდა. დაუძლურებული სამეფოს მეფე გიორგის უკურნებელი სენიც დაერთო. რუსეთი კი ოკუპაციისათვის ემზადებოდა. დარეჯანის მომხრეები იულონის ან თავად დარეჯანის გამეფებას ცდი-

ლობდნენ. მარიამი ცდილობდა მომაკვდავი მეფისათვის ანდერძი ჩამოერთმია, რათა გარკვეულიყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სასახლისა და ქვეყნის პატრონი.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. რუსეთის იმპერატორმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება ტახტზე არავინ ასულიყო. მარიამ დედოფლის შიში გამართლდა, მას გვირგვინი ჩამოართვეს. გიორგის დაკრძალვის შემდეგ მისმა მემკვიდრემ სამეფო უფლებები თავის თავზე აიღო, თუმც იგი მეფედ არ ეკურთხა.

რუსეთის მთავრობამ სამეფო ოჯახებს მამულები ჩამოართვა, ასევე ჩამოართვეს მარიამს სასახლე. დედოფალი დედიტა და შვილებით წმინდა გიორგის სახელობის კარის ეკლესიაში ცხოვრობდა.

დედოფალმა მარიამმა ფშავლებთან და სხვა ქართველ მთიელებთან მოლაპარაკება გამართა, რომ მათი დახმარებით მთებში წასულიყო, იქნება რუსეთში გადასახლება თავიდან აეცილებინა. მაგრამ დედოფლის სასახლის ერთ-ერთმა ყველაზე მისანდობმა პირმა აზნაურმა კალატოზიშვილმა, რომელიც მმართველობის მიერ იყო მოსყიდული, გასცა დედოფალი და ყოველივე ციციანოვს აცნობა. ციციანოვმა გენერალ ლაზარევს მარიამის დაუყოვნებლივი გადასახლება უბრძანა. [ი. უთურაშვილი; 1991.17]

ჯერ კიდევ 1802 წლის 10 მარტს მარიამ დედოფალმა გრაფ ვ. კოჩუბეის მიმართა თხოვნით, რათა იგი და მისი მცირეწლოვანი შვილები არ გადაესახლებინათ საქართველოდან, ხოლო თუ მაინც ეს აუცილებელი იქნებოდა, ედროვებინათ სამი წელი, რათა „სწეულება და ძუძუს მწოვნელობა შვილთა ჩემთა დაადგეს ერთსა მტკიცესა ჰაზრსა ანუ სიკვდილსა და ანუ სიცოცხლესა ზედა და მაშინ იყავნ ნებისმიერ თქუენისა„. [მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II 1983, გვ. 89] მაგრამ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. დედოფლის მტრებმა ციციანოვს აცნობეს, რომ დედოფალი ბატონიშვილებსა და რუსეთის სხვა მოწინააღმდეგე პირებს აქეზებდა ახალი მმართველობის წინააღმდეგ და აჯანყებულებს უთანაგრძნობდა. რამაც ციციანოვი ძალიან აღაშფოთა და გადაწყდა მარიამის სასწრაფოდ რუსეთში გადასახლება.

მარიამს ოთახში შეუვარდა ციციანოვის მიერ გამოგზავნილი რუსი გენერალი ლაზარევი, რომელსაც თან ახლდა ორი ასეული, იგი პირადად შეეცადა ციციანოვის ბრძანების შესრულებას. დედოფლის სანოლ ოთახში შეიჭრა და მისი ძალით გამოყვანა სცადა, მაგრამ დედოფალმა იგი ხანჯლით განგმირა. [პ.ა სურგულაძეები. 1991. 13]

„ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც დაურთოთ, თარჯიმანმა დედოფალს მარცხენა ხელზე რამდენჯერმე დაჰკრა ხმალი.

ციციანოვის ბრძანებით დედოფალი მარიამი უნდა წაეყვანათ როგორც მკვლელი, პატიმარი, ყოველგვარი პატივის გარეშე. იმავე დღეს დედოფალი რუსეთის გზას გაუყენეს ბაგრატი ბატონიშვილისა და დიმიტრი ორბელიანის თანხლებით. მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. [მ. გონიკაშვილი 1986 წ. 167] თბილისიდან კავკასიის იქითა მხარემდე დედოფალს მიჰყვებოდა დიდძალი ჯარი და ცრემლის დენით უცხადებდნენ თავის მწუხარებას იმის გამო, რომ სამშობლოდან აძევებდნენ.

ბელგოროდში მისვლამდე მარიამმა თხოვნა გაუგზავნა ალექსანდრე I-ს, პავლე I-ის ქვრივს და სინოდს, სადაც აღწერდა თავსდატეხილ უბედურებას, იგი ხაზს უსვამდა თავის სიმართლეს, რომ მას არ მოუკლავს გენერალი ლაზარევი და დაუმსახურებელი სასჯელის პატიებას ითხოვდა.

დედოფალი მარიამი ბელგოროდის მონასტერში გამოკეტეს, სადაც რვა წელი გაატარა.

ბელგოროდში დედოფალი სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა. შეუძლებელი იყო მისი ბინიდან შორს გასვლა, მით უმეტეს, ქალაქიდან. იმპერატორი კურსკის გუბერნატორისადმი გაგზავნილ ბრძანებაში მიუთითებდა დედოფლის მიმართ ფარულ, მაგრამ ზრდილობიან ყურადღებაზე. მასთან სტუმრად მიმსვლელებზეც სპაციალური თვალთვალი დანესდა, რათა გაპარვის ყოველგვარი საშუალება აღკვეთილი ყოფილიყო. დედოფალს საქართველოსთან მიმონერაზე მკაცრი ცენზურა დაუწესდა. ხელისუფლებამ იმის ნებაც კი არ დართო, რომ საქართველოდან საეკლესიო წიგნები ჩამოეტანათ მისთვის.

ბატონიშვილები ოქროპირი, ილია, ჯიბრაელი კადეტთა კორპუსში მიაბარეს გენერალ-მაიორ კლანგერის მეთვალყურეობის ქვეშ. ვაჟიშვილებმა იმპერატორს მიმართეს თხოვნით დედოფალ მარიამის მდგომარეობისა და დედაქალაქში მისი საცხოვრებლად გადმოსვლის შესახებ. მარიამი მოსკოვში დაასახლეს, მაგრამ მას თავის შვილებთან სურდა და ბოლომდე ითხოვდა სანკ-პეტერბურგში გადაყვანას.

ოფიციალური ჩვენებით დედოფალი მარიამი მკვლელი იყო, თუმც იყო სხვა მოსაზრებებიც, რომ გენერალი სხვამ მოკლა, დედოფალი კი უსაფუძვლოდ გამოიყვანეს დამნაშავეს როლში. იმპერატორის კარსაც კი ეჭვი ეპარებოდა დედოფლის დამნაშავეობაში. მაგრამ მარიამს ბოლომდე არ ენდობოდნენ.

1850 წლის 30 მარტს გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული მრავალტანჯული, სამშობლოს მიწას მონატრებული დედოფალი მარიამი. ამ ამბავს მოსკოვისა და პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთი ნეკროლოგიტ გამოეხმაურა. [მ. გონიკაშვილი. 1986. 185]

დედოფალს ანდერძში ნათხოვნი ჰქონდა საქართველოში გადმოსვენება და მეუღლის გვერდით დაკრძალვა. მდიდრული ცერემონიის შემდეგ ქართველი თავად-აზნაურების ძალისხმევით იგი საქართველოში გადმოსვენეს და სვეტიცხოველში მეფეების ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის გვერდით დაკრძალეს. დასაფლავებას უამრავი ხალხი და დიდგვაროვნები დაესწრნენ. დედოფლის დაკრძალვა მართლაც ღირსეული იყო. ასე დასრულდა მშვენიერი მარიამის ტანჯული დედოფლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ. 2008 წ.
2. საქართველოს ისტორია, ტ. IV. თბ. 2012 წ.
3. ა. პ. სურგულაძეები; საქართველოს ისტორია, თბ. 1991 წ.
4. ლ. სანიკიძე, დედა ისტორია, თბ. 1986 წ.
5. მ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ. 1986.
6. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX სკ. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II თბ. 1983 წ.
7. ი. უთურაშვილი; თეკლა ბაგრატიონი, თბ. 1991 წ.

Nunu Mikeladze
Aleksandre Otashvili

The Last Queen of Georgia Mariam Bagrationi

The fate of the last queen of Georgia and the widow of Giorgi XII Mariam Bagrationi was tragic. The pain caused by dying the favourite homeland was enclosed by her personal torment. Mariam, who was the bearer of the name of the queen of Georgia, was the queen for just two and half years in reality.

1004 – ისტორიის მეცნიერებანი

დარეჯან მაისურაძე
ნათელა ბასილაშვილი

ქართულ – ოსური დაპირისპირების დინამიკა 2004-2008 წლებში

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის მიზნით. მას შემდეგ რაც, წარმატებით მოაგვარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული პრობლემები, მ. სააკაშვილმა მთელი ძალისხმევა ცხინვალის რეგიონის საკითხის გადაწყვეტისაკენ მიმართა. თუმცა, საქართველოს ახალი ხელისუფლების იმედები და მოლოდინები არ გამართლდა. 2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური დაპირისპირების ესკალაცია მოხდა, რამაც სამხედრო კონფრონტაციის სახე მიიღო. კონფლიქტის განახლების ძირითად მიზეზად ოფიციალური თბილისი ასახელებდა ერგნეთის ბაზრობის დახურვის ფაქტს, რასაც კონტრაბანდის ბრძოლის აუცილებლობით ხსნიდა. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ მოხდა ქართული მხარის იძულებითი ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში იმ გაგებით, რომ ოსების მიერ ცხინვალის გზის გადაკეტვამ დღის ნესრიგში დააყენა დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების (თამარაშენი, კეხვი, აჩაბეთი) უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სურსათით მომარაგების საკითხი. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ქართულმა მხარემ დაიწყო შემოვლითი გზის გაყვანა და შემდგომში მისი დაცვა, რასაც საომარი მოქმედებები მოჰყვა.

1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში თანდათანობით ძლიერდებოდა სეპარატისტული ხელისუფლების მმართველობის ორგანოები, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და უშიშროების სამსახური. სწორედ ამის შემდეგ იყო ის, რომ 2004 წლისა და განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს, რუსული სამხედრო შენაერთების მხარდამხარ, ოსური მხრიდან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებდნენ „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ქვედანაყოფები. ამასთან ერთად, მათ დასახმარებლად რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის ზონაში გადმოსროლილ იქნა დაქირავებულ ბოევითა რაზმები. კონფლიქტის ესკალაციაში დიდი როლი ითამაშა როკის გვირაბის ფაქტორმა, რომლის მეშვეობითაც სამხრეთელ ოსებს პირდაპირი კავშირები ჰქონდათ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანისთან. სწორედ ამ გვირაბის წყალობით, სეპარატისტები რეგულარულად იღებდნენ სამხედრო და სხვა სახის დახმარებას რუსეთისაგან, როგორც 1991-1992 წლების შეიარაღებული დაპირისპირების, ისე 2004 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს. ფაქტიურად „სამხრეთ ოსეთის“ მარიონეტული ხელისუფლებისთვის როკის გვირაბი წარმოადგენს ერთადერთიმედს, რუსეთთან სამომავლო მიერთების პერსპექტივის თვალსაზრისით.

2004 წლის 13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალში გაიმართა შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა, სადაც ხელი მოეწერა ოქმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხარეები მუდმივად ბრალს დებენ ერთმანეთს არსებული შეთანხმების დარღვევაში. **[თურმანიძე - სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი. თბ. 2001. გვ. 41].**

ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დღითიდღე გაუარესებათან ერთად საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო რწმუნდებოდა დარეგულირების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართვის აუცილებლობაში. ოფიციალური თბილისი დღესაც მიზანშეწონილად მიიჩნევს საერთაშორისო კომპონენტის, განსაკუთრებით კი ეუთოს-სა და ევროკავშირის როლის გაზრდას კონფლიქტის გადაწყვეტაში. კომუნიკაციას მიაღწია ანტიქართულმა ისტერიამ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც. სიტუაციის გამწვავებისა და ორივე მხრიდან მსხვერპლის რაოდენობის ზრდის გამო, 2004 წლის 13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალში გაიმართა შსკ-ის საგანგებო სხდომა, სადაც მიღებულ იქნა ოქმი ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. მხარეებს ასევე დაევალით, არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში გაეყვანათ კონფლიქტის ზონიდან ყველა შეიარაღებული შენაერთი, რომელიც იქ იმყოფებოდა შსკ-ის ან შერეული სამშვიდობო ძალების ნებართვის გარეშე. 2004 წლის 18 აგვისტოს გაიმართა შსკ-ის მორიგი სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალების დამატებითი პოსტების განთავსებისა და გადაწყვეტილების თაობაზე (მხარეთა დაშორი-

შორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მიზნით). თუმცა, მეორე დღესვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ქართული მხარე მიღწეული შეთანხმების დარღვევასა და პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულა.

შექმნილ რთულ ვითარებაში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო ფორსმაჟორული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2004 წლის 19 აგვისტოს ქ. ცხინვალის მახლობლად ქართული შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეების კონტროლი შერეულ სამშვიდობო ძალებს გადაეცა. გარდა ამისა, მშვიდობის დამყარებისა და საომარი მოქმედებების შემდგომ ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, ქართულმა მხარემ გადადგა ცალმხრივი ნაბიჯები რეგიონის სრული დემილიტარიზაციისაკენ და კონფლიქტის ზონიდან დაიწყო ყველა სამხედრო შენაერთის გაყვანა, სამშვიდობო ძალების მანდატით გათვალისწინებული 500 კაციანი კონტიგენტის გარდა. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, ცხინვალის მისადგომებთან არსებული სიმაღლეების დათმობა და ჯარების გამოყვანა წარმოადგენდა ქართული მხარის მარცხს, თუმცა მეორეს მხრივ ეს იყო ტაქტიკური უკანდახევა, რომლის წყალობითაც მოცემულ ეტაპზე თავიდან იქნა აცილებული ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა. შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობთ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე მიიღო. ქართულმა მხარემ ესნაბიჯი გადადგა იმისათვის, რათა არ მომხდარიყო ქვეყნის ჩათრევა გაცილებით უფრო მსხვილმასშტაბიან საომარ ოპერაციებში. ამ ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააკეთა იმის დემონტირება, რომ ოფიციალური თბილისი უპირატესობას მხოლოდ მშვიდობიან მოლაპარაკებებს ანიჭებდა. საქართველოს ხელისუფლების ამ სამშვიდობო ინიციატივამ და კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის დემილიტარიზაციის პროცესის ცალმხრივად დაწყებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის (ევროკავშირი, ეუთო, აშშ) დადებითი რეზონანსი გამოიწვია. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა ეუთო, რომლის მისიაც საქართველოში 1992 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებდა. 1994 წლიდან საქართველოში ეუთო-ს მისია აქტიურად მონაწილეობდა შსკ-ის სხდომებსა და ქართულ-ოსური უფლებამოსილი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრებში. 1997 წლიდან ცხინვალში ფუნქციონირებდა ეუთოს ადამიანისუფლებათა დაცვის ოფისი, რომლის მუშაობასაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა, ცხინვალში და მის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საერთო მდგომარეობის გამო.

ქართულ-ოსური ურთიერთობების განხილვა ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტის გარეშე ყოვლად წარმოაუდგენელია. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი არ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო პრობლემები ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

2004 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგების თანმიმდევრულ პროცესს.

2005 წლის ივლისის ბოლოს „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. პრეზიდენტი ე. კოკოითი იმყოფებოდა ქ. გარაში, სადაც ორდღიანი მოლაპარაკებები გამართა თავის აფხაზ „კოლეგასთან“ სერგეი ბაგაფშთან. შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში წერია, რომ მხარეები შეთანხმდნენ განავითარონ სტრატეგიული პარტნიორობა „ორი სახელმწიფოს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში“. უფრო მეტიც, ერთობლივ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აღნიშნა, რომ საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენების მუქარის შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თანამშრომლობამ შესაძლოა სამხედრო ურთიერთდახმარების სახეც მიიღოს. **[დავითაშვილი - კავკასიის კონფლიქტები, მიზეზები და შესაძლო შედეგები. თბ. 2001. გვ. 31].**

2005 წლის 5-6 დეკემბერს გაიმართა ეუთო-ს საგარეო მინისტრების სხდომა, რომელიც ქ. ლუბლიანაში (სლოვენია) გაიმართა. სხდომის დასასრულს მიღებულ იქნა სპეციალური განაცხადი საქართველოზე, რომელსაც ეუთოს სხვა წევრი ქვეყნების გარდა რუსეთმაც დაუჭირა მხარი. დოკუმენტის თანახმად, ეუთო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას (იგულისხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმა), ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისა და აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის გააქტიურებას.

2007 წლის მთელი პერიოდის მანძილზე ცხინვალის რეგიონში მუდმივად ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, შეიარაღებულ თავდასხმებსა და ტერორისტულ აქტებს რეგიონის ქართუ-

ლი სოფლებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ, აგრეთვე რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებს. 2008 წლის ივლისსა და აგვისტოს დასაწყისში ამ ყველაფერმა ბევრად უფრო საგანგაშო და მშვიდობისათვის ძალიან საშიში ხასიათი მიიღო.

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის 58-ე რეგულარული არმიის 150-მდე ერთეულმა ჯავშანტექნიკამ, როკის გვირაბის გავლით, გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და ქ. ცხინვალის მიმართულებით დაიძრა, რაც ფაქტიურად საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებას ნიშნავდა. კონფლიქტი აშკარად გასცდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებს, მოიცავდა ფაქტიურად მთელი საქართველო, რამაც საბოლოოჯამში მიიღო ფართომასშტაბიანი ქართულ-რუსული სამხედრო კონფრონტაციის სახე (სამხედრო ავიაციის გამოყენებით).

2008 წლის 12 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ევროკავშირის შუამავლობით რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დაიდო ექვსპუნქტიანი შეთანხმება, რომლის თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე და უნდა დაწყებულიყო საერთაშორისო დესკუსიები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ. 2008 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით მიღწეულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 8 სექტემბერს კი ევროკავშირის ინიციატივით, ქართულ და რუსულ მხარეებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, განისაზღვრა ე.წ. „სარკოზის შეთანხმების“ შესრულების პირველეტაპზე განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები.

ცხინვალის რეგიონზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომელიც რუსეთს აკავშირებს საქართველოსთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან და თურქეთთან. ამდენად, სავსებით გასაგები ხდება იგივე სომხეთის რესპუბლიკის შემფოთებაც იქიდან გამომდინარე, რომ სიტუაციის გამწვავება ცხინვალის რეგიონში საფრთხეს უქმნის სომხეთის სასიცოცხლო ინტერესებს (მით უფრო აფხაზეთის რკინიგზის ბლოკირების პირობებში), როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. მიტომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომპირველ რიგში რუსეთმა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ხოლო ამის შემდგომ, მოხდეს ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაცია და სატრანსპორტო კომუნიკაციების თავისუფლად ფუნქციონირება. ეს ერთი მხრივ ხელს შეუწყობდა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, ხოლო მეორეს მხრივ შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს სტრატეგიული პარტნიორობისათვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის, რომლის საფუძველშიც ჩაიდებოდა არა პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობა. როდესაც ჩნდება საერთო ეკონომიკური ინტერესი, სეპარატიზმი, მეორე პლანზე გადადის, რაც კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების სერიოზულ მოტივს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. დავითაშვილი ზ. - კავკასიის კონფლიქტები, მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატია, წელიწადული 8, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001;
2. თურმანიძე თ - „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი // ახალი აზრი (პოლიტიკური კვლევების ცენტრი ჟურნალი) №1 ივლისი-აგვისტო. თბ. 2001;
3. ბახტაძე რ. - გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოებში. ბოტკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბ. 2007;
4. ნადარეიშვილი თ. - შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბ. 2000;
5. უტიაშვილი შ. - პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველო უსაფრთხოების ძიებაში // პოლიტიკური კვლევების ცენტრი „ახალი აზრი“, №5(11), თბ. 2003;
6. www.mfa.gov.ge (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო);
7. www.mid.ru (რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო);
8. www.mfa.gov.az (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო);
9. www.cis.minsk.by (დსთ)

Darejan Maisurazde

Natela Basilashvili

Dynamics of Georgian-Ossetian Conflict in 2004-2008

Summary

Since 1992 till present, has gradually gained strength in the breakaway South Ossetia's separatist government agencies, including the Ministry of Internal affairs, Defense Ministry and National Security Service. After that, it was that in 2004 and especially during the incident in August 2008, Russian military support, the South Ossetian side took part in the fighting, South Ossetia, „the Defense Ministry, Ministry of Internal Affairs and National Security Service units. The highway passes through the region, the North - South”, which connects Russia with Georgia, Armenia, Azerbaijan, Iran and Turkey. Thus, it is quite understandable concerns of the Republic of Armenia since the aggravation of the situation in the region poses a threat to the vital interests of the Republic of Armenia (the more the railroad blocking conditions), both in economic and security terms. It is the refore fundamentally important that first of all Russia to reverse its decision to recognize the independence of Abkhazia and South Ossetia, and there after, the complete demilitarization of the region and transport communications operate freely.

1004 – ისტორიის მეცნიერებანი

დარეჯან მაისურაძე
ნათელა ბასილაშვილი

ქართულ-ოსური დაპირისპირების დინამიკა 1990 – 2003 წლებში

ქართულ-ოსური დაპირისპირება წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ტიპიურ მაგალიტს. კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები ის დესტრუქციული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) უმაღლესი ხელმძღვანელობა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში. სიტუაციის დაძაბვას ასევე დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელი პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებმა და შემდგომში მათ შორის წარმოქმნილმა დაპირისპირებამ. მას შემდეგ რაც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების სახ მიიღო, კონფლიქტი უკვე შეეხო უშუალოდ ქართველი და ოსი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს. „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურმა კონფლიქტმა ფაქტიურად „ქართულ ოსური“ კონფლიქტის სახე მიიღო, რომელსაც ეთნო-ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, იმის გამო, რომ კონფლიქტის თავდაპირველ პროვოცირებაში გაცილებით უფრო დიდი „ქვლილი მიუძღოდა“ მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკას, ვიდრე ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებულ ეთნოს შორის წინააღმდეგობებს, ქართულ-ოსური დაპირისპირება, ვფიქრობთ პოლიტიკური კონფლიქტი უფროა, ვიდრე ეთნიკური. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობა ყოველთვის იყო საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეთნიკური სტრუქტურის ინტეგრირებული ნაწილი.

კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას თავის ისტორიულ მიწა-წყლად განიხილავს და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობს. ამ თვალსაზრისით ქართულ-ოსური კონფლიქტი არსებითად ტერიტორიისათვის ბრძოლაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მხარე ოსების შიდა ქართლში ცხოვრების უფლებას არ უარყოფს, ისევე როგორც „სამხრეთ ოსეთის“ დე-ფაქტო ხელისუფლებაც აღიარებს ქართველების იქ ცხოვრების კანონიერ უფლებას, შეიძლება ითქვას, რომ ქართველებისა და ოსების დავის ძირითადი საგანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ამჟამინდელი პოლიტიკური სტატუსია **[დავითაშვილი - დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები, მიზეზები და შესაძლო შედეგები. თბ. 2001. გვ. 27].**

1991 წელს ქართველებსა და ოსებს შორის დაწყებული საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა 1992 წლის მანძილზეც მცირედი ინტერვალებით. 1992 წლის 21 მაისს ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საგანგებო სესიაზე მიიღო დადგენილება, სადაც ქართველების ქმედება შეაფასა, როგორც ოსი ხალხის გენოციდი. 1992 წლის ივნისის დასაწყისში საქართველოს სამთავრობო ჯარები ქ. ცხინვალს მიუახლოვდნენ და მისი აღება განიზრახეს. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის ხელმძღვანელობა ულტიმატური განცხადებებით გამოვიდა და მათ შორის გაისმა ქ. თბილისის დაბომბვის მუქარაც. ქართული მხარე იძულებული გახდა უარი ეთქვა ცხინვალში შესვლაზე. შეიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებიც ჩართულიყვნენ, რაც უდაოდ მოასწავებდა მთელი კავკასიის დესტაბილიზაციას. ეს საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახდა მას შემდეგ რაც, პოლიტიკურ ასპარეზზე კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია (შეიქმნა 1991 წლის 1-2 ნოემბერს) გამოვიდა. ყველა კონტაქტი თბილისსა და ცხინვალს შორის განწყვეტილ იქნა. 1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძესა და ა. გალაზოვს შორის ხელი მოეწერა შეხვედრის ოქმს. ოქმში ძირითადად საუბარი იყო ცეცხლის შეწყვეტასა და დამკვირვებელთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფის შექმნაზე. ამ დოკუმენტის მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ ხანგრძლივი სისხლისღვრის შემდეგ, პირველად ხდება საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფალთა შეხვედრა, ასევე მკვიდრდება ტერმინი „ქართულ-ოსური კონფლიქტი“.

1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში ხელი მოეწერა „შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“. სოჭის (დაგომისის) შეთანხმება გაფორმდა ორ სუბიექტს -

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. თუმცა, უშუალოდ დოკუმენტზე ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის ხელმოწერის გარდა, ასევე დაფიქსირებულია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მაშინდელი ლიდერების ა. გალაზოვისა და თ. კულუმბეკოვის ხელმოწერაც. ამით შეიქმნა საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია, სადაც ერთი სახელმწიფო წარმოდგენილი იყო ერთდროულად ორი სუბიექტით (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაც ხომ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია), რაც არ ჯდება არც ერთ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმაში. სოჭის (დაგომისის) შეთანხმების ძირითადი დებულებები მდგომარეობდა შემდეგში: დაპირისპირებული მხარეები იღებდნენ ვალდებულებებს შეეწყვიტათ ცეცხლი და გაეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები კონფლიქტის ზონიდან; რუსეთის ფედერაცია იღებდა ვალდებულებას გაეყვანა „სამხრეთ ოსეთში“ დისლოცირებული საინჟინრო-სანაღმო და სავერტმფრენო პოლკები; იქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩართული მხარეების შემადგენლობით, რომლის ძირითადი ფუნქციაც უნდა ყოფილიყო მიღწეული შეთანხმებების შესრულების კონტროლი; მხარეები იღებდნენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ დაეწყათ მოლაპარაკებები, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით; 1997 წლის 14 ნოემბერს ჯავაში გაიმართა ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის მორიგი შეხვედრა, რომლის დროსაც, ძირითადად განხილული იყო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. შეხვედრის დასრულების შემდგომ ხელმოწერილ განცხადებაში, მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ადგილი აქვს პოზიტიურ ძვრებს, რაც გამოიხარება მხარეთა შორის ნდობის აღდგენასა და მოლაპარაკებათა პროცესის ირგვლივ ზოგადი პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებად კვლევაც რჩება კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური დარეგულირება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება, რისი განცოვრციელებაც მხოლოდ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი. დადებითად იქნა შეფასებული ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების საქმიანობაც **[თურმანიძე - თურმანიძე თ. სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი // თბ. 2001. №1. გვ. 39].**

2001 წლის 19 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ძირითადად საუბარია დევნილების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. ამასთან, რეზოლუცია ახდენს იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ დე-ფაქტო აღმოჩნდნენ საქართველოს იურისდიქციის გარეთ. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია, იმით, რომ მასში პირველად არის დაფიქსირებული რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ (რუსეთის აგრესია, ფაქტობრივად ანექსიად არის შეფასებული). ეჭვქვეშ არის დაყენებული კონფლიქტის ზონებში რუსეთის მიუკერძოებლობა, საშუაშალო ფუნქციის განხორციელებისას.

სამწუხაროდ, ქართული მხარისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებმა, რომლებიც მიმართული იყო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისკენ („სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში), საბოლოო ჯამში, ვერ გამოიღეს სასურველი შედეგი.

ცხინვალის სეპარატისტი ლიდერები აცხადებენ, რომ სამხრეთელ ოსებს, ერთაშვით გამორკვევის პრინციპის შესაბამისად, უფლება აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადებები საერთაშორისო სამართლის სრულიად არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. სამხრეთელი ოსები წარმოადგენენ არა „თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს“, არამედ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას, რომელთა ისტორიული სამშობლოც ჩრდილოეთ კავკასიაშია. ამდენად, მათიმოთხოვნა, შექმნან ცალკე სახელმწიფო ან შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.

ლიტერატურა:

1. დავითაშვილი ზ. - კავკასიის კონფლიქტები, მიზეზები და შესაძლო შედეგები // ქართული დიპლომატია, წელიწდეული 8, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001;
2. თურმანიძე თ - „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი // ახალი აზრი (პოლიტიკური კვლევების ცენტრი ჟურნალი) №1 ივლისი-აგვისტო. თბ. 2001;
3. ბახტაძე რ. - გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოებში. ბოკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბ. 2007;

4. ნადარეიშვილი თ. - შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბ. 2000;
5. უტიაშვილი შ. - პატარა სახელმწიფო და დიდი მეზობელი: საქართველო უსაფრთხოების ძიებაში // პოლიტიკური კვლევების ცენტრი „ახალი აზრი“, №5(11), თბ. 2003;
6. www.mfa.gov.ge (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო);
7. www.mid.ru (რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო);
8. www.mfa.gov.az (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო);
9. www.cis.minsk.by (დსთ);
10. www.24hours.ge (გაზეთი „24 საათი“);
11. www.hrw.org (human right watch).

Darejan Maisurazde
Natela Basilashvili

Dynamics of Georgian-Ossetian Conflict in 1990-2003

Summary

Typical examples of ethno-political conflict between Georgia and Ossetia. Both sides of the conflict in the former South Ossetian autonomous region in its historical and consider running down with waters. In this regard, the Georgian-Ossetian conflict is essentially a struggle.

Georgian side and the international community's efforts were directed towards the full-scale settlement of the conflict, and ultimately failed to yield the desired result.

South Ossetian separatist leaders claim that the South Ossetians have the right to establish an independent state. South Ossetians are not fighting for the freedom of the nation, but the majority of people living in Georgia whose historical homeland in the North Caucasus. Their demand is to establish a separate state or to join Russian Federation, is a serious obstacle to come as the local law and the universally recognized principles and norms of international law.

1004 – ისტორიის მეცნიერება

07.00.01

Железко Роман Анатоліевич
Нежинский государственный университет
имени Николая Гоголя

Город Нежин и Нежинский казачий полк в системе поливассалитетных отношений Гетманщины (1648-1709 гг.)

Статья рассказывает о истории внешней политики города Нежина и Нежинского казачьего полка, ее эволюции и особенностях.

The article talks about the history of the foreign policy of the city Nizhyn and Nizhyn Cossack regiment, its evolution and characteristics.

Основой внешнеполитической деятельности Гетманщины начиная с 1648 г. и заканчивая началом XVIII века (хронологического отрезка, когда Украина выступала субъектом межгосударственных отношений, а не его объектом) была политика поливассалитета. Наиболее выразительным сторонником этой концепции есть современный украинский историк Т. Чухлиб. Термин „поливассалитет” предусматривает пребывание вассала под протекторатом сразу нескольких сюзеренов. По утверждению Т. Чухлиба, такая модель межгосударственных отношений была наиболее распространенной среди европейских стран XVII – XVIII вв., в том числе и Гетманщины [12, 15]. Политика поливассалитета позволяла новой, или политически и военно слабой стране сохранить собственную государственность за счет признания номинального протектората более сильных государств и играть на противоречиях между ними. Для проведения данной политики нужны специальные политические умения, знания политических интересов соседних государств, методов и средств их политики, осторожность в тайной переписке и переговорах одновременно с несколькими государствами, что в противоположном случае угрожало быстрой гибелью нового или слабого государства. Как показало историческое развитие украинской государственности во второй половине XVII – начале XVIII вв. перечисленные способности были свойственны украинской казачьей старшине и гетману Б. Хмельницкому, которого Т. Чухлиб считает творцом данной модели международной политики Украины. По мнению историка, гетман, опираясь на многолетние традиции международной деятельности украинского казачества, сумел не отказываясь от сюзеренитета польского короля, обеспечить вхождение казачьего государства к международному содружеству на условиях принятия номинального вассалитета от турецкого султана, московского царя и шведского короля [12, 115].

Приемники Б. Хмельницкого на гетманской должности также придерживались политики поливассалитета. Пребывая в номинальной зависимости от московского царя с 1654 г., украинские гетманы на протяжении второй половины XVII – начале XVIII вв. поддерживали тесные межгосударственные контакты и признавали своими сюзеренами правителей Речи Посполитой, Османской империи и Шведского королевства. В некоторой степени, поливассалитетная модель внешнеполитических отношений Гетманщины 1648 – 1709 гг. повторяла классический принцип, предложенный современным украинским историком и политологом А. Д. Бойком „У государства нет постоянных друзей и постоянных врагов, а есть постоянные интересы” [2, 93]. Анализ исторических источников и существующей историографии позволяет утверждать, что основным интересом было сохранение украинского государства, зажатого „треугольником смерти”: Речь Посполитая – Московское государство – Османская империя.

Деятельность поливассалитетных отношений во времена Б. Хмельницкого и одновременно неспособность его преемников к консолидации казачьей старшины вокруг гетманской булавы, способствовали проведению отдельными казачьими полками собственной политики поливассалитета по отношению к соседним государствам. Реализатором этой политики на региональном уровне выступала полковая казачья старшина, в которой сформировалась привычка при возникновении внутреннеполитических проблем каждый раз полагаться на поддержку со стороны правительств

иностранных государств [9, 130]. Исходя с важности Нежинского казачьего полка, как ведущего военно-политического центра Гетманщины, необходимым есть отдельно рассмотреть положение города Нежина и Нежинского полка в системе поливассалитетных отношений казачьего государства. Особенно стоит остановиться на парадигме смены полковым городом Нежином сюзерена.

Как и остальные полки Гетманщины, юридически признанные Зборовским договором 1649 г. с Речью Посполитой, Нежинский казачий полк на протяжении 1648 – 1654 гг. находился в номинальной зависимости от польского короля. Доказательством этого есть текст Реестра Войска Запорожского 1649 г., где казаки 16 полков, в том числе и в Нежинского, выступают как „Войско Его Королевской Милости” Яна II Казимира. Признание нежинской казачьей старшиной сюзеренитета польского короля прослеживается и в титулатуре изданных ею полковнических универсалов. Так, нежинский полковник Прокоп Шумейко в своем оборонительном универсале к населению Сиверщины от июля 1648 г. именуется как „Процьк Шумейко, полковник нежинский и черниговский Войска его королевской милости Запорожского” [8, 17].

Одновременно, состояние почти непрерывной войны с Речью Посполитой и вызвана этим невозможность дальнейшего пребывания в подданстве польского короля Яна II Казимира, способствовала поиску нежинской старшиной, как и Чигирином в частности, нового сюзерена уже в начале 1650-х гг., при этом, не разрывая формального подданства Варшавы. Пытаясь создать имидж равноправного участника международных отношений в Центрально-Восточной Европе, казачья старшина исключила со своего титула частицу, которая свидетельствовала о её вассальной зависимости от польской короны. Так, в своем указе к крестьянам Нежинского полка от 8 августа 1652 г. полковник Иван Золотаренко подписался как „Ивань Ничипоровичъ нежинский полковникъ Войска Запорожского и всего Севера” [10, 886]. Можно констатировать, что эти действия есть свидетельством многих векторов и самостоятельности Гетманщины в выборе внешнего протектора.

После подписания между Москвой и Чигирином Переяславских статей 1654 г. полковой город Нежин перешел под протекторат московского царя. Теперь нежинские полковники в официальном делопроизводстве и переписке именовались как подданные „Войска Его Царьского Величества Запорожского” [10, 888].

Номинальная зависимость Нежинского казачьего полка от Москвы длилась к 1658 г., когда между гетманом И. Выговским и Речью Посполитой было подписано Гадяцкий трактат. Сторонниками подписания трактата была часть нежинской старшины во главе с полковником Г. Гуляницким. Соответственно к статьям нового соглашения Нежин, как и вся Украина, возвращался под протекторат польского короля. В нежинский замок были введены польские жовниры. Мы считаем, что особого внимания заслуживает статья Гадяцкого соглашения о нобилитации казачьей старшины. От Нежинского полка шляхетство получили полковник Г. Гуляницкий и старшина Василий Золотаренко [1, 215], что только распространяло раскол среди казачества Гетманщины и толкало его к началу гражданской войны.

Внутренне старшинское противостояние, в совокупности с падением гетмана И. Выговского, стало причиной очередной смены протектора. Используя отъезд на Правобережье нежинского полковника Г. Гуляницкого, в конце августа 1659 г. полковой старшина В. Золотаренко и протопоп Максим Филимонович начали избиение поляков в Нежине, агитируя за возвращение в московское подданство. По данным „Летописи” Самовидца, местные казаки, за поддержки переяславского сотника М. Царенка, ворвались в Нежин и „...за годину всіх жолніров вибили, которых было корогвей пять, нікого не щадячи...” [5, 81]. Получив победу над польскими жовнирами и войском Юрия Немирича, которых послал против повстанцев И. Выговский, В. Золотаренко, не теряя времени, отправляет к московскому князю А. Трубецкому большую делегацию нежинцев во главе с протопопом М. Филимоновичем. К числу послов, вошли и бывшие сторонники И. Выговского – борзнянский сотник Петр Забила и бывший наказной полковник нежинский Григорий Кобилецкий. Ловкий нежинский протопоп и авантюрист не только сообщил московской власти о восстании против гетмана в Нежине, но и выпросил прощения для В. Золотаренко (поскольку в мае 1659 г. нынешний полковник защищал от московских войск город Борзну и был нобилирован за это к шляхетскому достоинству – Р.Ж.). Возвращение города Нежина под протекторат было подтверждено Переяславским соглашением 1659 г. Следует отметить, что в момент подписания Переяславского соглашения, бывший нежинский полковой писарь Захар Шийкевич до последнего уговаривал гетмана Ю. Хмельницкого не подписывать предложенный россиянами вариант Переяславских статей [4, 409].

Проведению политики поливассалитета Нежинским казачьим полком способствовало постоянное оружейное противостояние между Речью Посполитой и Московским царством. По очередности, определяя номинальную зависимость одного с государств, а в действительности выступая вассалом и Москвы, и Варшавы, казаки Нежинского полка воевали на стороне обоих государств. После Чудновского поражения

московских войск и казаков гетмана Ю. Хмельницкого Нежин в октябре 1660 г. признал власть Польши. При поддержке Варшавы Ю. Хмельницкий возобновил нежинского полковника Г. Гуляницкого, который от имени Нежинского полка подписал Слободищенский трактат 1660 г. [7, 126]. При этом, действующий в это время нежинский полковник В. Золотаренко, который не был с основными войсками Ю. Хмельницкого и Москвы под Чудновом, продолжал признавать покровительство московского царя. Известно, что на то время В. Золотаренко возглавлял казацкие войска в Литве и не знал, какую в действительности позицию занимал Нежин. Во время отсутствия в Нежине полковника В. Золотаренко нежинский воевода князь Симеон Шаховский начал приводить жителей Нежинского полка к присяге на верность царю. В городе началось недовольство. В описании дел Тайного приказа сохранился отчет С. Шаховского, в котором говорится, что наказной полковник нежинский Р. Ракушка-Романовский, ссылаясь на отсутствие В. Золотаренко, вместе с войтом, бургомистром и всей старшиной отказывается присягать московскому царю. Возникающий оружейный конфликт между С. Шаховским и нежинскими казаками пытался решить нежинский протопоп М. Филимонович. 29 октября 1660 г. в своем письме царю он указывал, что Р. Ракушка-Романовский и другая старшина Нежинского полка и дальше есть верными Москве [1, 248]. А их колебания объяснял попыткой вместе с отсутствующим полковником найти правильное решение. По возвращению в конце ноября 1660 г. в Нежин нежинского полковника В. Золотаренко недоразумения с воеводой С. Шаховским были решены. Нежин, в связи с размещением в его замке московских войск, остался верным московскому царю Алексею Михайловичу. Сложилась ситуация двоевластия на должности нежинского полковника: Г. Гуляницкий, пребывая на Правобережье, признавал сюзеренитет Варшавы, а В. Золотаренко, в связи с размещением московской залоги в Нежине, - Москвы.

Новые волнения нежинской старшины относительно выбора сюзерена возникли в начале 1664 г. и были вызваны походом польских войск короля Яна II Казимира на Левобережье. Обойдя крепко укрепленные Переяслав, Нежин и Батурин, где были большие казацкие формирования, армия Яна II Казимира 13 января 1664 г. взяла в осаду Глухов. Советская историография утверждала, что такое движение польской армии в направлении Глухова в обход Нежина объяснялся надеждами, что оказавшись в тылу войск союзников, население этих городов сдастся без боя. Со временем так и случилось, поскольку в первые числа января 1664 г., Нежин признал власть польского короля. Соответственно по воле польского короля Яна II Казимира, нежинским полковником снова был назначен Г. Гуляницкий [7, 107]. В итоге, через 10 лет после присяги в январе 1654 г. на верность московскому царю нежинцы поклялись служить Речи Посполитой.

В феврале 1664 г. гетману Ивану Брюховецкому помогли российские войска князя Г. Ромодановского, которых поддерживали казаки Черниговского, Стародубского и Нежинского полков. Польско-татарским войскам было нанесено поражение. Понимая неизбежность решительного разгрома, Ян II Казимир вернулся на правый берег Днепра, тем же сняв с нежинцев предыдущую присягу. Помимо этого, по свидетельствам Т. Чухлиба, польское правительство вообще было настроено отказаться от своих претензий на Нежин. В разгар польско-московских переговоров в Андрусово в 1666 г. польские дипломаты получили королевское указание, в котором говорилось, „чтобы Правобережную Украину с Киевом и Каневом ни при каких обстоятельствах не отдавать, а по поводу Левобережья, следует требовать, чтобы по Нежин, ибо по Переяслав наше осталось” [11, 14]. Как следствие, Нежинский полк с городом Нежином в очередной раз вернулся к сюзерену в лице Москвы. В этот раз длительность номинальной зависимости продержалась к январю – февралю 1668 года. В последний год гетманства Ивана Брюховецкого (1663 – 1668) разгорелась вторая украинско-московская война 1667 – 1668 гг., в ходе которой старшинский совет в Гадяче, при участии нежинского полковника Артема Мартиновича, принял решение о снятии присяги московскому царю и разрыве Московского соглашения 1665 года. Также совет постановил вместе с правобережным гетманом П. Дорошенко отправить посольство в Стамбул с просьбой султану взять Гетманщину под свой протекторат и прислать в помощь турецкие войска против московских залог в левобережных городах.

Одновременно, Гадяцкий совет 1668 г. – знаковое событие второй украинско-московской войны, дает основание говорить о политической независимости Гетманщины в определенный период. При участии нежинского полковника А. Мартиновича, вопреки политическим интересам Москвы, Варшавы и Стамбула, старшинский совет в Гадяче принял решение об объединении Украины, расколотой по р. Днепр. В связи с противоречиями между старшиной и возвращением войск гетмана П. Дорошенко на Правобережье, политическая инициатива Украинского государства потерпела крах, а полковой город Нежин, за 40 лет к батуринской трагедии 1708 г., был сожжен московскими войсками воеводы Григория Ромодановского [6, 30].

Благодаря географической близости и присутствия в городе своих сторонников, борьба Речи Посполитой, Османской империи и Московского государства за контроль над Нежинщиной завершилась

победой последней. Глуховские статьи 1669 г., под которыми подписались 19 старшин и 12 горожан Нежинского полка [3, 92-94], окончательно определили автономный статус украинского государства в пределах Московии. После 1669 г., не смотря на политическую нестабильность в Украине во время Северной войны 1700 – 1721 гг., Нежинский казацкий полк уже не мог реализовывать политику поливассалитета на региональном уровне. Нежинская казацкая старшина с началом гетманства Ивана Самойловича (1672 – 1687) стала удобным инструментом московской политики в Украине.

ჩეჩენბმა სიკვდილისაგან იხსნეს მათ წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის არმიის ახალგაზრდა უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონი. დაჭრილს უწამლეს და უდიდესი რისკის ფასად რუსებს გადასცეს. უფრო მეტიც, მათ უარი თქვეს გამოსასყიდზე, რომელიც რუსებმა ბაგრატიონის გადარჩენისათვის შესთავაზეს. „მაღალმა, ბეჭებში მოხრილმა ჩეჩენმა თავი ამაყად ასწია, ჯერ თავისიანებს გადახედა, მერე პოლკოვნიკის ადიუტანტს და ღიმილით სთქვა: – ყუონახჩუო ყუონახ ვუოხქურგ ვაც“ (ავალიანი ლ. 1973: 142). ჩეჩენთა პასუხი – „ვაჟკაცი ვაჟკაცით არ ვაჭრობს!“ – ერთობ ლამაზად ხშიანობს ქართულად. ესაა უძველესი სენტენცია – ფორმულა, რომელიც ქართველი კაცის სულის სამშვენიისად და მახასიათებლად ქცეულა.

მტრის ბანაკში ღირსეულის დანახვა და დაფასება რაინდული სულის თვისებაა და ამგვარ სულთა თანხვედრამ გადაარჩინა მომავალში საქვეყნოდ ცნობილი გენერალი. მართალია, ჩეჩნებს გულს სტკენდათ ივანე ბაგრატიონის ვაჟის რუსთა მხედრობის გვერდით ყოფნა, მაგრამ ამ წყენას აქარწყლებდა მათი პატივისცემა პეტრეს მხედრული ნიჭის, ვაჟკაცობისა და სამართლიანობისადმი. ბაგრატიონისათვის კაცისკვლა პრობლემის მოგვარების უკიდურესი და უსასტიკესი ფორმა იყო. დიდი მეომრის ეს ღირსება ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც ვლინდება. მაშინ, როდესაც პოლკოვნიკი პიერი საკუთარი მარცხით გამოწვეული ბოლმის ჩაკვლას ჩეჩენთა ანიოკებითა და განადგურებით ღამობდა, ბაგრატიონი განწირულთა ხსნაზე ფიქრობდა და თივის ზვინიდან მობლუჯულ ბალახს ყნოსავდა. აქ, უნებურად, გვახსენდება ვაჟა-ფშაველა. უდიდესმა ჰუმანისტმა სიკვდილის წინ მოთიბული ბალახი ინატრა. ამ ნატვრაში გამოიკვეთა მისი განვლილი ცხოვრების პროფილი, მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მხარე.

ლადო ავალიანის ამ პატარა თხზულების ღირსება ღრმა ჰუმანიზმის გამოვლენაა და ამიტომ გრძნობ ვაჟასათვის საყვარელი მოთიბული ბალახის სურნელს, თავიდან ბოლომდე რომ გასდევს ნოველისტის სათქმელს.

ლიტერატურა:

1. ავალიანი ლ. (1973): მუხის ჭია, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
2. თევზაძე დ. (1978): კრიტიკის ბუნება, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

Nino Giorgadze

Feeling the Odor of Mown Grass in LadoAvaliani's Novel

Russian-Chechen interrelations with its complicated peripeteias date back to centuries. In Policy opposite sites always have their truth. Chechen's truth stands in struggling for freedom and defending their dignity.

LadoAvaliani's novel „Mown Grass” represents the best evidence of Chechens' love and oral support. The novel was written during the soviet epoch and it's clear that the author couldn't express his own position in public, though his political vision and goodwill are quite obvious for readers.

The work deals with one dramatic episode of Caucasian fights, in view of which there was exposed Peter Bagrationi's personality, Chechens' obstinate and brave nature, great wish of forgiveness or mercy among humans and sense of protest against aggression.

Value of Lado Avaliani's small composition stands in depicting the greatest humanism. Odor of mown grass appears in writer's opinion altogether.

1005 - ფილოლოგიის მეცნიერება

ნინო გიორგაძე

სულხან-საბა ორბელიანი - ქართველთა ოქროპირი

საეკლესიო ლიტერატურა ჟანრობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანია და ყოვლისმომცველი. თითოეულ დარგს აქვს საკუთარი სპეციფიკა და მახასიათებლები: „ჰაგიოგრაფიას – წმინდანთა „წამება“ და „ცხოვრება“ ბიბლიოგრაფიას – წმინდა წერილის წიგნები, ეგზეგეტიკას – წმინდა წერილის წიგნების „თარგმანები“ ანუ განმარტება – კომენტარი, ლიტურგიკას – ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი წიგნები და თვით ღვთისმსახურების ჩატარების პროცესი, წმინდანთა და ლიტურგიკურ საგალობელთა კანონი, კანონიკას – საეკლესიო კანონმდებლობა, დოგმატიკას და პოლემიკას – არაქრისტიან რელიგიებთან და მწვალებლურ სექტებთან კამათი და პოლემიკა ქრისტოლოგიური დოგმების შეუაღლობის დასაცავად“ (გაბიძაშვილი ე., 2009, გვ. 7).

როგორც ვხედავთ, ყველა დარგს აქვს მკვეთრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული სათქმელი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჰომილეტიკაც, მაგრამ დასახელებულ ჟანრთაგან განსხვავებით იგი უფრო ტევადია და მრავლისმომცველი. შინაარსობრივად ქადაგება შეიძლება იყოს როგორც ეგზეგეტიკური, ასევე კანონიკური, ჰაგიოგრაფიული და სხვა. მაგალითად, ორიგინალური მქადაგებლობის ჩანასახი უკვე ჩანს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. აღნიშნულ ძეგლში „მოთავსებულია სამოძღვრო დარგის ერთი ეგზეგეტიკური ქმნილება, რომლის შინაარსი ბიბლიური მასალის თავისებურ თხრობასა და ინტერპრეტაციას წარმოადგენს. აქ ერთ-ერთი პერსონაჟი არქიდიაკონი სამოელი მოუთხრობს და უხსნის ევსტათის ძველი და ახალი აღთქმის შინაარსს“ (კანდელაკი ნ., 1961, გვ.108).

ორიგინალურ ჰომილეტიკურ ნაწარმოებს ვხვდებით იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „აბო თბილელის მარტვილობა“. ესაა თხზულების მეოთხე თავი „ქებაა წმიდისა მონამისა ჰაბოოსი“, რომელიც წარმოადგენს სახოტო მქადაგებლობის საუკეთესო ნიმუშს.

ჰომილეტიკა საჯარო ზეპირსიტყვი და მოძღვრის ხელოვნებაა და, ბუნებრივია, ის ყოველთვის იყო ქრისტიანული სარწმუნოების, მისი ღვთისმსახურების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. იგი სასულიერო პირის მიერ ამბიონიდან წარმოთქმულ ქადაგებებს შეიცავს, რომლებიც მქადაგებლის მიერ ან წინასწარ იწერებოდა, ან რომელიმე პირი ახდენდა მის სტენოგრაფიას.

ორიგინალური ჰომილეტიკის განვითარებამდე ქართული ეკლესიის ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა ნათარგმნი ჰომილიები. ჩვენთან ადრინდანვე იცნობდნენ მსოფლიო მჭევრმეტყველების სახელოვან მქადაგებლებს, რომელთა შორის, უპირველესად უნდა დავასახელოთ სამი უდიდესი კაბადოკიელი ღვთისმეტყველი—ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. აღნიშნული დარგის განვითარებაში გამორჩეულად დიდია იოანე ოქროპირის წვლილი. „შეიძლება ითქვას, რომ IV-V საუკუნეები იოანე ოქროპირის ეპოქაა ჰომილეტიკური მწერლობის დარგში. მისი ჰომილეტიკური მემკვიდრეობის მოცულობა აჭარბებს მანამდე ჰომილეტთა მემკვიდრეობას ერთად აღებული“ (გაბიძაშვილი ე., 2009, გვ.15).

როგორც შევნიშნეთ, ორიგინალური ჰომილეტიკის განვითარებამდე ქართული ეკლესია ნათარგმნი ჰომილიებს იყენებდა. ქართულ ენაზე უდიდესი პასუხისმგებლობითა და სურლყოფილებით ითარგმნებოდა ეფრემ ასურის, ბასილ კესარიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის ანუ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელის და სხვათა სამქადაგებლო მემკვიდრეობა.

მეათე საუკუნემდე ჰომილეტიკური ძეგლებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია უბრალო, მარტივი ენა. ხოლო მას შემდეგ, რაც ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში დაიწყო მეტაფრასული პერიოდი, ეს მიმართულება ჰომილეტიკასაც შეეხო და XI საუკუნის პირველი ნახევრიდან საფუძველი ჩაეყარა მეტაფრასულ ჰომილეტიკას. რაც შეეხება ქართულ ორიგინალურ ჰომილეტიკას, ის სათავეს იღებს დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში.

ადრეული ხანიდან ჩვენამდე მოღწეულია იოანე ბოლნელის (X ს.) ქადაგებები.

საქართველოში აღნიშნული დარგის განსაკუთრებით მაღალი დონე შეინიშნება XVII-XVIII საუკუნეებში. ამ დროის მოღვაწეთაგან გამოირჩევიან: ნიკოლოზ რუშთველი, გერმანე მონაზონი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი, სულხან-საბა ორბელიანი, იონა ხელაშვილი... ჩამოთვლილთაგან ყურადღებას შევაჩერებთ სულხან-საბა ორბელიანზე, რომლის სამქადაგებლო მემკვიდრეობა მიჩნეულია ქა-

რთული კლასიკური ჰომილეტიკის უმნიშვნელოვანეს შენაძენად. საბას ჰომილიები არ ჩამოუვარდება ცნობილ მქადაგებელთა თხზულებებს. არ გვეჩვენება გადაჭარბებულად, რომ სულხან-საბას ზოგჯერ ქართველ ოქროპირადაც იხსენიებენ. – „აზრთა სიღრმე და სიცხადე, – წერს კ.კეკელიძე – მდიდარი მხატვრული ხერხი მათი გამოთქმისა, ცხოვრების ზედმინევენით ცოდნა და განჭვრეტა, შეუდარებელი ორატორული ნიჭი, – აი დამახასიათებელი თვისებები საბასი, როგორც მქადაგებლისა. ამ მხრივ მას ვერ შეედრება ვერც ერთი მქადაგებელი არამართო საქართველოში, არამედ შეგვიძლია ვთქვათ იმ დროის მთელი მართმადიდებელი აღმოსავლეთისა. თუ ბერძნებს ოდესღაც ჰყავდათ თავისი ოქროპირი, საბას სახით ჩვენ, ქართველებსაც გვყავს ჩვენი ნამდვილი „ოქროპირი“ (კეკელიძე კ., 1962, გვ.344).

სულხან-საბა ორბელიანს მკითხველი კარგად იცნობს საერო შინაარსის თხზულებებით, მაგრამ როგორც შემოქმედი, დიდაქტიკოსი, მენტორი, მოძღვარ-მორალისტი არანაკლები სრულყოფილებით გამოვლინდა სასულიერო მწერლობაში. ამ კუთხით უმნიშვნელოვანია „სწავლანი“. მასში საინტერესო მასალაა მეცნიერების სხვადასხვა სფეროსათვის. ეს იქნება ისტორია, ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ფოლკლორისტიკა თუ სხვა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სწავლანი“ საინტერესო ძეგლია სულხან-საბას არა მხოლოდ რელიგიური ხედვის, საეკლესიო-სამწერლობო საქმიანობის შესასწავლად, არამედ ზოგადად, ავტორის მსოფლმხედველობის გასაცნობად.

თხზულების ხელნაწერი 1899 წელს თბილისში ჩამოიტანა ზ.დავითაშვილმა და ამ დროიდან არ განელებულა ინტერესი სულხან-საბას ჰომილიებისადმი. „სწავლანი“ განეკუთვნება მწერლის დავით გარეჯაში მოღვაწეობის პერიოდს. იგი შედგება 46 ჰომილისაგან, რომლებიც განკუთვნილი იყო, უმეტესწილად, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბერ-მონაზონთათვის. კ.კეკელიძის თვალსაზრისით „ქადაგებანი არაა ექსპრომტად წარმოთქმულნი: ისინი აგებულია გარკვეული ჰომილეტიკური გეგმით, შემკულია მეტად მოხდენილი ბიბლიური ციტატებით, რომელნიც მოყვანილია თავებისა და მუხლების ჩვენებით, და წმიდა მამათა თხზულებებიდან მოტანილი ექსცერპტებით; ასეთი არიან იოანე სინელი, იოანე ოქროპირი, ათანასე ალექსანდრიელი და კლიმი ანკვირელი“. (კეკელიძე კ., 1962, გვ. 330).

„სწავლანი“, ერთგვარ გავრცობას წარმოადგენს სულხან-საბას ზნეისწავლეულობის საუკეთესო ნიგნისა – „სიბრძნე-სიცრუისა“. იგავ-არაკებიცა და ჰომილიებიც საზოგადოების დამოძღვრასა და გაჯანსაღებას ისახავს მიზნად. ერთიცა და მეორეც ზნეობრივ-სარწმუნოებრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს ეხება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „სიბრძნე-სიცრუისაში“ მხილება, გაკიცხვა, გმობა ნაკლისა, ადამიანური ზადისა იგავური ფორმით ხდება. ხოლო ქადაგებებში ღიად, ყოველგვარი შენიღბვისა და შეფარვის გარეშე.

ქრისტიანულ მქადაგებლობაში ხუთ ძირითადი ქვედარგი გამოიყოფა: სამოძღვრო, საღმრთედლო, სახობო, საზიგო და საგოდებელი. ორბელიანის „სწავლანი“ ძირითადად სამოციქულო, საღმრთედლო და სადღესასწაულო ხასიათის ქადაგებების შემცველია.

სულხან-საბას, როგორც მოძღვარს, მქადაგებელს თავის უპირველეს მოვალეობად ეკლესიის როლისა და ფუნქციის განსაზღვრა მიაჩნდა. ეკლესიაა სულზე ზრუნვისა და სულის ხსნის საუკეთესო ადგილი. მის წიაღში ეძიებდა და ეძიებს ადამიანი სიმშვიდეს, „ცოდვათა შესუბუქებას“; სიყვარულთან, სიკეთესთან, სათნოებასთან თანაზიარობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „სწავლა ეკლესიისათვის თუ რა არს შეკრება მუნ“.

ეკლესიის მიღმა დარჩენილ ადამიანს მოძღვარი იმ პირუტყვს ადარებს, რომელიც „მარადის ზრუნავს ორცთა და მუცელთასა, და, ოდეს შევალს ეკლესიად, მაშინლა იქმნების კაც და სცნობს სულსა თვისსა და სოფლისა ამის სიციუდესა. ეკლესიისა გარეგან ტყვე არს სული და დაბმულ, ხოლო, რა ეკლესიად შემოვალს, განთავისუფლდების სოფლისა შფოთვისაგან და მოეგების თავსსა თვისსა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.25).

ეკლესიაში მყოფი მლოცველი სულიერად მღვიძარებს, ხოლო „ეკლესიისა გარე მკვდარ არსს სული ჴორციელთა დევნისათვის“. ეკლესიაში მუდამ სუფევს უფალი და ამიტომაც, იქ „შეკრებილნი კაცნი ერთითა მითა და ერთითა პირითა რასაცა სთხოვენ ღმერთსა, მიიღებენ, რამეთუ თვით თავად ღმერთი ბრძანებს: „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი/შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ შორის მათსა“, და სხვაგან იტყვის: „რაცა სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მიიღოთ“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.25).

უფლის სახლში მყოფობა ადამიანს ბევრს ავალებს. ამ ვალდებულებების ახსნა – განმარტებას ისახავს მიზნად მომდევნო ჰომილია — „სწავლა ეკლესიასა შინა ღუმილისათვის“.

ღუმელი და ლოცვა აღმსარებლისათვის უპირველესი მოთხოვნაა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება სრული მობილიზება სულიერი ძალებისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მყარდება კავშირი

უფალსა და კაცს შორის.

ღვთისმსახურებისას ლაპარაკი, სიცილი ცოდვაცაა და დანაშაულიც. ასეთი „მლოცველი“, მტერია საკუთარი თავის და მტრობს სხვასაც. ამ დიდი ცოდვის სიმძიმის არსს კარგად ხსნის სულხან საბა: „რომელიცა კაცი ლოცვასა ზედა მოყვასსა ეზრახების, სამსახურისაგან ღმრთისა თვითონ განვარდნილ არსს და სხვათცა ნებაეს, რათა არა უტეოს სამსახურად ღმრთისა. ამისთვის იტყვის წმიდა მახარებელი მათე: „ვაა, თქვენდა, რომელთა დააშენით კარნი სასუფეველისანი. თქვენ არა შეხვალთ და შემავალთცა არა უტევეთ შესვლად“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.28).

„ლოცვასა ზედა უბნობა და ლოცვათა ყურთა მიუპყრობლობა“ ადამიანს აშორებს ყველა იმ მადლსა და სიკეთეს, რაც ლოცვით მიეცემა, ლოცვის მადლი კი უსაზღვროდ დიდია; დიდია, განსაკუთრებით, მადლი დუმილით ლოცვისა.

„დუმილით ლოცვითა მოსე უფლისაგან მღალადებლად იწოდა. დუმილით ლოცვითა ანნა წინასწარმეტყველი შვილიერ/იქმნა. ლოცვითა მდუმრადითა იპოება სოფელი ესე. დუმილისა ლოცვითა და ვედრებითა აღგებატების დღენი. დუმილისა ლოცვითა მოგეცემისთ სიმდიდრე, დუმილის ლოცვა მმურვალე აღგიზრდისთ შვილთა. დუმილით ლოცვა მმურვალე მოგაშორებსთ მტერთა უხილავთა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.29).

ღვთისმსახურებისას იმდენად მნიშვნელოვანია მრევლისაგან გარკვეული ეტიკეტის დაცვა, მდუმარება, რომ სულხან-საბა ამ თემას უბრუნდება ქადაგებაში „სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის, მეორე“.

სულხან-საბამ ორბელიანმა კარგად იცის დუმილის ფასი, მოყოლებული ერისკაცობიდან, ვიდრე ბერობამდე. გაცნობიერებული აქვს ცუდადმეტყველებისა და ცრუმეტყველების შედეგები. ამიტომ უქადაგებს მრევლს: „ორნი კარნი აბიეს პირ/თა თქვენთა: კბილნი და ბაგენი. უკეთუ ესენი დააშნე, ვერლარა განმოვიდეს სიტყვანი პირისაგან თქვენისა“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.33).

ცოდვას მხოლოდ ეკლესიაში სიარული ვერ განარიდებს ადამიანს. ამისათვის მნიშვნელოვანია ცოდვათა გაცნობიერება და შენდობის გამოთხოვა უფლისაგან. „რომელი ჰფარვიდეს უსჯოლოებასა თთსსა, არა წარემართოს, ხოლო რომელი მიუთხრობდეს და იმხილებოდეს, საყუარელ იყოს“ – იგავსა შინა იტყვის სოლომონ. ამისთვის ეკლესიასა შინა შემავალთა კაცთა თანა-აძს, რათა ზედასა ზედა განიწმედდენ თავთა თვისთა აღსარებითა მიერ მოძღვრისა სულიერისა თანა, რამეთუ აღსარება არს გან/მწმენდელი სულთა და წარმღმენელი ცოდვათა“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.36).

როგორც ყველა ქადაგება, ასევე „სწავლა აღსარებისათვის“ საოცარი ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ დიდია სულხან-საბას სამქადაგებლო ძალმოსილება, მისი უნარი ხელთიპყრას მსმენელის სული და გონება.

ორბელიანი, როგორც დიდაქტიკოს-მორალისტი, მქადაგებელი მთელი სრულყოფილებით გამოვლინდა ჰომილიებში: – „სწავლა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, სიმდაბლისათვის“, „სწავლა უდროოდ და ურგებლად სინანულისათვის“, „სწავლა სიყვარულისათვის“, „სწავლა ვერცხლის-მოყვარებისათვის“, „სწავლა უთმინოებისათვის“, „სწავლა მრისხანებისათვის“, „სწავლა მაგინებელთათვის“, „სწავლა სიმთვრალისათვის“... თუმცა, ძნელია ამ ჩამონათვალს ორმოცდაექვსი ქადაგებიდან დააცილო თუნდაც ერთი. გინდა ყველა ქადაგება ზეპირად იცოდე, გინდა არასოდეს დაივიწყო სულხან-საბასეული ახსნა – განმარტება, თუნდაც სიმდაბლის მადლისა: – „სიმდაბლე მსგავს არს ღმრთისა სიტყვისა სრულყოფასა/და, უდიდესიცა ვთქვა, მსგავს ღმრთისა დამდაბლებასა.

ჰოი, დიდი და საკვირველი სიმდაბლე, პატიოსანი და საქებელი, სიმდაბლე ძნელად მოსავაჭრებელი და ადვილად საპოვნელი!

ვინაათგან ქრისტე სიმდაბლით იშვა და განგვიპატიოსნა შეურაცხი სიმდაბლე, ნეტარ ხართ ჰოი მდაბალნი!

რა არს სიმდაბლე? და იგიცა ვიძიოთ:

– სიმდაბლე არს სიმდიდრისაგან სიმცირისა ნდომა, რომელ არს სიმაღლისაგან დაბლა ჩამოსვლა და არა უდიდესისა და უდიდესისა წადილი. სიმდაბლე არს ამპარტავნებისა მოკვეთა, აღუზევებლობა“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.54).

უდიდესი სიბრძნით, უფლისა და კაცთა სიყვარულითაა აღბეჭდილი მეთოთხმეტე ჰომილია, რომელიც წარმოადგენს, ერთგვარ, მოძღვრებას სიყვარულზე.

ყოველგვარი საფუძველი სიკეთისა ამქვეყნად სიყვარულია. სიკეთეცა და სიყვარულიც თვითონ ღმერთია. „რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგიეს და, რომელმან ჰპოოთ სიყვარული ღმერთი გიპოვნის“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.92).

სიყვარულის უდიდესი გაკვეთილი უფალმა გვიჩვენა თავად. იესო ქრისტე „დამდაბლდა და მსგავს ჩვენდა იქმნა“. ვინაიდან ღმერთი სიყვარულია, ამიტომაც, სადაც იგია „მუნ ეშმაკისა მანქანება

უუმარ იქნების; სადა წმიდა სიყვარული არს, მუნ სატანას საცდური განქარდების; სადა პატიოსანი/სიყვარულიარს, მუნ ბელიერისა მზაკვარება ვერა დაადგრების; სადა სრული სიყვარულიარს, მუნ ჯოჯოხეთისა სახელი აღიიოცების“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.93).

ყოველ ქადაგებაში ჩანს სულხან-საბას მწერლური ნიჭი, მჭევრი სიტყვის ძალმოსილება. იმდენად გატყვევებს აზრის, ნათქვამის სიღრმე, მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნება, მოხდენილი პოეტური აქსესუარები, რომ გიჭირს კომენტარი, გენანება მწერლისეულის შენეულად „თარგმანება“; გინდა, მხოლოდ, ყველაფერი ლოცვასავით დუმილით ჩაიკითხო და ღრმად ჩაიბეჭდო გონებაში. ამგვარი განცდა გეუფლება მაშინაც კი, როდესაც ქადაგება ნაკლის მხილებადა და გმობას ისახავს მიზნად. ერთ-ერთი ასეთია „სწავლა მრისხანებისათვის“. აღნიშნული ჰომილია მათე მახარებლის შეგონებით იწყება – ხოლო მე გეტყვ თქუენ: რომელი განურისხნეს ძმათა თთსთა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა“.

მრისხანება ყოველ ცოდვაზე უპირატესად მიაჩნია სულხან-საბასაც. იგი ამგვარი კაცის მეგობრობას „ასპიტისა ელთა ჭირვას“ ადარებს, „რომელსა მარადის აქვს გესლი მაკვდინებელი“. სულხან-საბას აზრით, „მრისხანისა კაცისა მოყვრობასა უმჯობეს არს უბეთა შინა ჯდომა ღრიანკალისა, რომელი უკბენს თავითა უცემს კუდითა. მრისხანისა კაცისა საუბარსა უტკბოოს არს კოცნა ჭინჭრისა მსხუნავისა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.117).

მრისხანე კაცს მტერი არ უნდა, იგი თვითონაა საკუთარი თავის მტერი და მტერზე უფრო აღმატებული, რადგან „მტერი უმტერებს ერთჯერ, ანუ /ორჯერ და იგი დაუცადებელ არს თავისათვის მტერ“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.118).

ძნელია მრისხანე კაცის წვრთნა და შეგონება, მას ვერც ვერას მოაწონებ და ვერც ვერაფრით მოულობო გულს. „უკეთუ წვეთი მარადის სიპთა ქვათა დასდიოდეს, ლბილი წყალი მას განწვრეტს და შევალს, ხოლო მრისხანისა კაცისა გულთა კეთილი სწავლა არა შევალს“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.118).

ცოდვათა სიმძიმით მრისხანების ტოლფარდია გინებაც. უფალმა ადამიანი თავის სადიდებლად შექმნა. მაგინებელი ვერ მიიღებს კურთხევას უფლისას, რამეთუ „ვერ გამოვიდეს ერთისა წყაროოს-გან თბილი და გრილი, ვერ იტვირთოს ჭურჭელმან ერთმან ტკბილი და მწარე, ანუ პირმან ერთმან გინება და კურთხევა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.120).

მაგინებელი საკუთარ თავს ვნებს, „თვარა მას კაცსა არარა ევნო, ვისიცა ენება გინება, ესრეთ სახეთ: ვითარცა კაცმან ვინმე მრისხანემან აღიღოს სკორე ახალი ელითა თვისითა და შესტყორცნოს ჰაერსა და ჰგონებდეს განსვრასა და შებილნებასა ჰაერისასა, არა პირველად შეისვარა და შეიბილნა ელი თვისი? და ჰაერს არარა ევნო და ვერცა მიეახლა. ეგრეთვე მაგინებელი ჰგონებს სხვათა შებილნებასა და თვისთა პირთა და ენათა განისვრის სიბილნითა. ჰოი, სიცოფე მაგინებელთა! რაასთვის განეშორებთან მადლისაგან საღმრთოოსა?“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.122).

მაგინებელი მიჩნეულია თანაზიარად ამპარტავანთა, მემრუშეთა და მპარავთა. ამიტომაც, „მოციქული განაყენებს სასუფეველისაგან და უცხო-ჰყოფს პირისაგან ღმრთისა.“

ასევე უმძიმეს ცოდვადაა მიჩნეული სიმთვრალე. იგი „არს სიბილნე“, და ცოდვათა შორის ერთ-ერთი უმძიმესი და მიუტევებელი. ის შეიძლება გახდეს საფუძველი სხვა მრავალ ცოდვათა. სიმთვრალეს თან სდევს ყოველგვარი ბოროტება და უკეთურობა – „უნესური სმა, შეუგვანო წარსაგებელი, ამოო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვინო ალერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა.“

ღვინო კაცთათვის არის შექმნილი, მაგრამ საკურნებლად და არა „სამთვრალოდ“, არა „გასაშმაგებლად“, „სასნეულოდ“, და „სასიკვდილოდ.“

სულხან-საბა იხსენებს უფლისაგან მიტევებულ ცოდვილთ და ამგვართა შორის ვერ ასახელებს შეწყალებულ „მემთვრალეს.“

„იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, ცოდვილთათვის ვნებულმან ყოველი ცოდვილი შეინყალა, მეძავნი და მემრუშენი აცხოვნა. თვითუნყით, მარიამ მაგდალინელი ვითარი იყო; უარისმყოფელი პეტრე თავ მოციქულად დაადგინა, ეკლესიისა მღევარი პავლე სამ ცადმდე აღამაღლა, ანგარი მათე მეზვერე მახარებელიყო, გრძნების მოქმედნი მოგვნი ბეთლემს მოსვლითა სასუფეველისა ღირს ყვნა, ავაზაკი უბრალო სისხლით შეღებილი ზეცისა სამოთხისა ზიარ ყო/, და ყოველნი ცოდვილნი აცხოვნა. არამედ არა სადა აღმოგვიკითხავს და არცა გვასმიეს მემთვრალე შეწყალებული, ანუ შეწყნარებული, ანუ ცოდვისა მიტევებული“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, გვ.219).

როცა სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებებზე საუბრობ ძნელია შეწყვიტო ფიქრი, დაასრულო მსჯელობა, დასვა წერტილი. ყოველი ქადაგება მკითხველის სულს მშვიდრით აპურებს, მწყურვალეობით უკლავს წყურვილს. ბერის სამოსში გამოწყობილი მქადაგებელი ამბიონზეც დიდ მწერლად

დარჩა. მისი თითოეული ჰომილია მხატვრული სიტყვის უბადლო ნიმუშია. ამიტომაცაა, რომ თუ არ იცნობ სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის ამ სფეროს ძნელია მისი ნაღვანის ბოლომდე გაცნობიერება და შეფასება.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ე. (2009) : ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. თბილისი;
2. კანდელაკი ნ. (1961) : ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. გამომცემლობა „ხელოვნება“. თბილისი;
3. კეკელიძე კ. (1962) : ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თსუ გამომცემლობა. თბილისი;
4. სულხან-საბა ორბელიანი. (1963) : თხზულებანი. ტ. III. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

Nino Giorgadze

Sulkhan-Saba Orbeliani – „Okropiri” of Georgians

Abstract

Georgian Orthodox Church used translated versions before developing the original homeletics in Georgia. Numerous homiletical works by Ephrem the Syrian, Basil of Caesaria, Gregory the Theologian (Gregory of Nazianzus), Gregory of Nyssa, John Chrysostom, John of Damascus were translated with accuracy.

Sulkhan-Saba Orbeliani contributed much in the development process of homeletics. His works are equal to other prominent theologians. That's why Sulkhan-Saban Orbeliani is known as the Georgian Chrysostom after John Chrysostom. His homeletical works haven't lost public attention since their discovery in Davit Gareja Monastery.

The collection of homiletic works is an amplification of Sulkhan-Saba Orbeliani's fables which aim for edification of the society.

1005 – ფილოლოგიის მეცნიერება

თინათინ თუშაბრამიშვილი

შოი არაგვისპირელის ტკივილიანი ისტორიის კვლევა

შოი არაგვისპირელის პირადი ცხოვრება იყო მძაფრი და დრამატული. მან გამოსცა პატიმრობა, სიყვარულში იმედგაცრუება, გამოსცა ის, რომ მის გამო ქალმა მოიკლა თავი, გამოსცა საზოგადოებისგან გაკიცხვა.

შოის ქალიშვილის, ნათელა დედაბრძოლის გადმოცემით, არაგვისპირელი „ლამაზი კაცი იყო, საშუალო ტანისა, შავგვრემანი, ცოტა ამონეული თვალებით, პატარა წვერი ჰქონდა, პატარა უღვაშები, თმა ძალიან შავი ჰქონდა სიკვდილამდე, უკან გადავარცხნილი, ჯანსაღი კბილები“... (მჭედლური 1993: 184). შოი არაგვისპირელის მეგობრის, კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავას თქმით კი, „შოი თავისი გარეგნობით ისეთი იყო, რომ შეუძლებელი იყო მისთვის გამახვილებული ყურადღება არ მიექციათ... სახე ჰქონდა დიდად სანდომიანი, მიმზიდველი, თავისებური და ორიგინალური... შოის ჰქონდა სუსტი ხმა, ლაპარაკობდა ნელა, აუღელვებლად, დინჯად, არავითარ შემთხვევაში არ უყვარდა თავის გამოჩენა, თავის თავზე ყურადღების მიქცევა“ (ვართაგავა 1956: 55). ამიტომაც, მწერალი, ახალგაზრდობში ქალთა ყურადღებას იქცევდა.

შოი არაგვისპირელის პირადი ცხოვრება წინააღმდეგობებით აღსავსეა. მწერალი, სიყვარულში ბედნიერი არ ყოფილა და არც ვეტექიმის პროფესია იყო მისთვის შესაფერისი. ამ ყველაფერმა, განაპირობა მისი პესიმიზმი. შესამჩნევი იყო მისი მდუმარება, სიტყვაძუნობა. როგორც მისი ქალიშვილი აღნიშნავს, შოი „...ძალიან გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი კაცი იყო, ზედმეტს არაფერს იტყოდა, არაფერს, სულ ჩუმად იყო... ძალიან თავშეკავებული ადამიანი იყო. თუ გაბრაზდებოდა, სულ არ ამოიღებდა ხმას“ (მჭედლური 1993: 185).

ასეთ გულჩათხრობილ ადამიანს თავდავიწყებით შეუყვარდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შვილის, ნიკოლოზის ასული ელისაბედ (ვეტა) ყიფიანი. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში შოი არაგვისპირელის ვეტა ყიფიანისადმი მიწერილი სამი ბარათია დაცული, რომელიც მუზეუმისათვის გადაუცია შოი არაგვისპირელის მეგობარს – თედო სახოკიას 1948 წელს. (ლალი თიბილაშვილი)

ელისაბედ ყიფიანისადმი მიწერილი წერილები გვაცნობენ შოი არაგვისპირელის დიდ სიყვარულს, სულიერ ტანჯვას, შელახული თავმოყვარეობის განცდას და იმედის გაცრუებას.

ბარათებში, მწერალი ელისაბედ ყიფიანს უტყუდება სიყვარულში და სთხოვს თავისი პასუხი მალევე შეატყობინოს. „გეფიცები ყოველივე წმინდას, თუ კი წმინდათ მიგაჩნიათ რამ, არ შემობრალეთ და პირდაპირ მიპასუხოთ სინამდვილეს. დრო არის, მგონი, თქვენც დამეთანხმეთ, რომ ოცნებას ფრთები შევაკვეცო და სინამდვილეს დაეუბრუნდე“ (არაგვისპირელი შოი, პირველი წერილი ელისაბედ ყიფიანისადმი, საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 16040-ბ.). მწერალს პირველი და მეორე წერილი უპასუხოდ დარჩა, მესამე წერილის შემდეგ კი ელისაბედმა მას საკმაოდ მკაცრი ტონით უპასუხა: „თქვენთან ვგრძნობ ისეთ სიმპატიას, როგორც ყველა ჩემს ნაცნობთან და ეს მე ვფიქრობ ცოტა არ არის, როგორც თქვენ ბრძანეთ, არ ვარგა, რომ ერთი და იგივე გრძნობა არ სუფევდეს იმათში, ვისაც უნდათ ერთად გასწიონ სიცოცხლის უღელი და არა მეტ-ნაკლები, თქვენ ჩემთვის ბრძანდებით და იქნებით პატივსაცემი და სიმპატიური ნაცნობი“ (ვეტა ყიფიანის წერილი შ. არაგვისპირელისადმი, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, 16040-ბ.).

ელისაბედ ყიფიანის პასუხი შოი არაგვისპირელისათვის იყო დიდი შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია მასში სულიერი აღელვება. ალბათ, ამიტომაც გაისმოდა სიყვარულის უარყოფა მის ნოველებში. სოსო სიგუა წერს: „ქართულ მწერლობაში არავის უწერია ამდენი და ესოდენი გზებით სიყვარულის უარსაყოფად. თითქოს აღდგა თეოლოგიური შეგონება ქალის მაცდუნებელ ბუნებაზე. ამ ღვთის მსახურის შვილის არსებაში, რომელსაც სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული“ (სიგუა 2008: 31).

შოი არაგვისპირელს მთლიანად დაეკარგა წარმოდგენა ქართველ ქალზე, მის ღირსებაზე. მწერალი უფრო გულჩათხრობილი გახდა და ცდილობდა, სიყვარულისთვის მოეშორებინა სიდიადე.

შოი არაგვისპირელისათვის ქალის ბუნება სრულიად ამოუხსნელი გახდა. იგი წერს: „ქალი კი, რომელიც მე უნდა მეკუთვნოდეს მხოლოდ პირსახეს მიჩვენებს და სულს... ბადე, მერე საშინელ

სქელ ბადით ნაბურულს ისეთსავე სქელით, როგორც მთელი სხეულია გახვეული... ვიდრე ასეთ გარემოებაშია, შეუძლებელია ნამდვილი, თავისუფალი სიყვარული..." (შოი არაგვისპირელის ფონდი, საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 16073-ბ.).

თითოეული მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა და შესწავლა აუცილებელია მკვლევარისთვის. ვინაიდან, შემოქმედის პიროვნული ნიშნები და ცხოვრებისეული მოვლენა ხშირად გადადის მისი პერსონაჟების მოქმედებასა და ნაწარმოების სიუჟეტში. შოი არაგვისპირელს და მის პერსონაჟებსაც აქვთ აშკარა მსგავსება და საერთო ხვედრი. მწერლის მსგავსად, მათაც გადაიტანეს სიყვარულში იმედგაცრუება, მათაც იგემეს ქალის გულცივობა, ისინიც გახდნენ მოწმენი ქალის თვალთმაქცური ბუნებისა.

შოი არაგვისპირელის ნოველის „...მძულხართ,“ პერსონაჟმა – ლეგამ, მწერლის მსგავსად იმედგაცრუება იგემა. ლეგა, როდესაც სიყვარულში გამოუტყდა თავის სატრფოს, პასუხად დაცინვა მიიღო. შეურაცხყოფილმა ლეგამ თითქოს გონება დაკარგა. მას შეულახეს წმიდათა-წმიდა, დასცინეს და გათელეს. ამიტომ შებლავლა ლეგამ: „საზიზღარი!... არ მეგონა, რომ ის.... ის ასე უზრდელად მომექცეოდა და პირში დაცინვით მომხარხარებდა... ოხ, რა თვალების ამხვევი ყოფილა გარეგნობა!.. ნავიდა... განქრა ჩემი ოცნება... რა ნაზად, სათუთად ვკვებავდი და ის-კი რა სასტიკად მომექცა?!..... როგორ, როგორ?! თუ უარის თქმა უნდოდა, განა ზრდილობიანად ვერ მეტყოდა? განა არ შეეძლო, სხვანაირად უარი ეთქვა და მაგრე მასხარად არ აეგდო ჩემი გრძნობა?!“

ერთ ნოველაში კი შოი არაგვისპირელი გულდანყვევით წერს ქალზე, რომელიც უბინოდ და ციურ ვარსკვლავად აჩენს თავს. მწერლის აზრით, იმისი თვალთმაქცი სიმშვენიერე „წუმპის ფსკაა“. („ი...ყუ...ჩე“).

ნოველა „სისულელეში“ კი, მწერლის თვალსაზრისით, ხშირად ქალებზე ღირსეული დამოკიდებულება კარგად არ მოქმედებს და დასძენს: „...შენ ხომ ქალი ხარ, ადამიანის შთამომავალი!.. მაშ ნუთუ შენზე გრძნობა, გულწრფელობა არ მოქმედებს?!“

შოი არაგვისპირელი, მოთხრობაში „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“, ამაღლებს კაცის დიდბუნოვან სულს და მწარედ აკრიტიკებს ქალის ამოუცნობ სამყაროს. მწერლის რწმენით, მამაკაცები ქალში გარეგნობაზე მეტად სულს აფასებენ. ამ ნოველის პერსონაჟმა ქალმაც თავისი სულით მიიზიდა კაცი, რომელმაც ალერსს უფრო უმატა, მაგრამ მისი ელისაბედი, „ეს კრავი, წყნარი და მშვიდი ზღარბად გადაიქცა“... და უფრო სიცივესა და „ეკალს უშვებდა“ მის მიმართ.

შოი არაგვისპირელის მსგავსად, მისმა პერსონაჟმაც არ იცოდა, რომ „ალერსი და სიყვარული სიძულვილს დაბადებდა...“

ამ მოთხრობაში, მწერალი აყალიბებს სუბიექტურ აზრს ქალის ბუნებაზე. იგი მას „ხორცშესხმულ ტარტაროზს“ უწოდებს და დასძენს, რომ გასათხოვარი ქალის ხასიათს ვერავინ გაიგებს. მწერლის რწმენით, ქალის ხასიათის გაგება მხოლოდ ქმარს შეუძლია. არაგვისპირელის თვალსაზრისით, ყველა კაცმა რომ გულახდილად ისაუბროს, „იქნება ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავის მეუღლისა“.

შოი არაგვისპირელს დაეკარგა რწმენა ქართველი ქალის სულიერი სიმაღლის შესახებ და ამის მიზეზი გახლავთ ელისაბედ ყიფიანის ამაყი ხასიათი. იგი ერთ ბარათში გულისტკივილით წერს: „იცი, ვეტა, რა ტკბილი, ნეტარი ოცნება შემერყა, შემემუსრა თქვენი სიამაყის წყალობით? ვის შეეძლო ჩემთვის ეთქვა: ჩვენ უცხო ტომის ქალს მეგობრად ვირჩევთ იმისათვის, რომ ქართველებს სამეგობრო ქალები არა გვყავსო. თქვენით ვამაყოფდი. მაგრამ ეხლა თქვენი სიამაყის წყალობით უიარაღო ლამის არის შევიქმნე. ლამის არის ვამართლო ის ყმანვილები, ვინც ზემომოყვანილ სიტყვებს გაიძახის. ჩემი პირველი წერილი იმას კი არ ნიშნავს უეჭველად ჩემი ცხოვრების თანაზიარად ჰყოფილიყავით. რასაკვირველია, ეს ჩემთვის სანეტარო არის და იქნება, მაგრამ ძალად ვინ გაკისრებინებთ, ვინ? ეგ თქვენ ხელთაა. ჩემთვის იქნებოდით, თუ სხვას აირჩევდით, მაინც სათაყვანებელი იქნებოდით, მაინც თითით საჩვენებელი, რომ მაგრე კადნიერად, მაგრე მასხარად არ გაგეხადათ ის, რაც არ არის მასხრობის ღირსი, რაც ყოველ ადამიანში საპატივცემულოა. თქვენ წინ მოიტანეს წმინდა მსხვერპლი სამსხვერპლოთი. ეგ თქვენ ხელთაა, შეინირავთ, თუ არა. მაგის უფლებას ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ სამასხაროდ, სანაგვედ არავინ არავის გაახდევინებს. ყველას მოსთხოვენ, პატივისცემით მოეპყრას ამ წმინდა გრძნობას. ყველას მოეთხოვება, ვისაც კი ადამიანის სახე აქვს, ვისაც კი ადამიანის გონება აქვს. მხოლოდ ერთს გისურვებდით: ოდესმე თქვენც ჩამდგარიყავით ჩემს გარემოებაში და მაშინ, მხოლოდ მაშინ მიხვდებოდით, რა საზიზღრობასაც ეხლა თქვენ სჩადით ჩემს შესახებ“... (არაგვისპირელი შოი, წერილი ვეტა ყიფიანისადმი, საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 16025-ბ.)

შოი არაგვისპირელის მსგავსად, ქართველ ქალზე წარმოდგენა დაეკარგა მწერლის ნოველის „ჩემი სამშობლო ჩემი გულიას“ პერსონაჟს – გაბროს. მას ქალი გაიდევალებული ჰყავდა და ყველასათვის მისაბაძი ეგონა მისი დიდბუნოვანი სულიერი სამყარო, მაგრამ შეცდა. პოლონელ პშივალსკიზე

შეყვარებულმა მარომ, უმაღლესი დავისი ქვეყანა და აღზნებით წამოიძახა: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება!“

მკვლევარი ლალი თიბილაშვილი წერს: „ნოველა „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ 1909 წელს დაიწერა. როგორც ჩანს, მწერალი ვეტა ყიფიანთან „დამარცხებას“ ამ ნაწარმოებით გამოეხმაურა“ (შოი არაგვისპირელის სულიერი ბიოგრაფიიდან, ლალი თიბილაშვილი, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

1902 წელს შოი არაგვისპირელმა ცოლად შეირთო მარიამ ბაქრაძე, რომელთანაც იდეალური ოჯახი ჰქონდა. სიყვარულზე იმედგაცრუებული მწერალი მომავალ მეუღლეს წერდა: „ჯერ არ მახსოვს, ისე დამეწყოს ცხოვრება, როგორც მე მინდა. არა. ყოველთვის გარემოებანი წინამიდგებიან. თუ არ გეშინიან, ამგვარ დევნილ კაცთან კავშირი დაიჭირო, მოდი და, ვიმეორებ, ერთად ვჭიმოთ ჭაპანი. ეს კი უნდა გაზომილი გქონდეს, რომ უკანასკნელ ტანჯვას არ მაკმარებს, იქნება ბევრი უარესი დაგვემართოს“ (არაგვისპირელი შოი, წერილი მომავალი მეუღლისადმი, საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 15958-ხ.). პირადი ბარათებიდან ირკვევა, რომ შოი არაგვისპირელს დიდი სიტუბო და პატივისცემა ჰქონდა მეუღლის მიმართ, თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი, რომ ახლა მაინც დაედგა სიყვარულისთვის და ქალისთვის შარავანდედი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შოი არაგვისპირელის ცხოვრებასა და შინაგან სამყაროზე ამ სიყვარულის ტკივილიანმა ისტორიამ დიდი კვალი დააჩნია. მწერალმა სიყვარულისა და ქალის გმობაში განვლო სიცოცხლე. მისთვის ტრაგიკული იყო ცალმხრივი სიყვარული და დიდხანს ატარებდა კიდეც ამ მძიმე ტვირთს. მწერლის მსგავსად, ცალმხრივი სიყვარული სტანჯავთ მისი მოთხრობების პერსონაჟებსაც. ერთ-ერთი ასეთი გმირი გახლავთ ერასტი („ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“). ვფიქრობთ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ მოთხრობის პერსონაჟი ქალისთვის მწერლის მიერ დარქმეული სახელი – ელისაბედი. მისი სიყვარულიც ტვირთი აღმოჩნდა ერასტისათვის, სტანჯავდა ქალის გულცივობა, დამცინავი მზერა, გესლიანი პასუხები... და მან შვება მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც ქალი მისგან უჩუმრად წავიდა. ერასტი როდესაც ელისაბედს გაუგზავნის თავის ნივთებს, მაშინლა მოიხსნის ტვირთს და ამბობს: „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“.

ამგვარად, შოი არაგვისპირელმა, თავისი შემოქმედებით დაგვიტოვა მძაფრი კრიტიკა ქალების მიმართ. მწერლის პერსონაჟი მამაკაცების დამოკიდებულების ახსნა ქალების მიმართ რომ გაადვილებულიყო, საჭიროდ ჩავთვალეთ იმ მოტივის შესწავლა, რამაც სტიმული მისცა მწერალს ეგმო ქალის სახე თავის ნაწარმოებებში. შოი არაგვისპირელმა თავის შემოქმედებაში განაზოგადა თავისი ლირიკული მეს ტკივილიანი ცხოვრება.

ლიტერატურა:

1. არაგვისპირელი 1947 - შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I-II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1947.
2. ვართაგავა 1956 - ი. ვართაგავა, ქართული მწერლობის სილუეტები, I, თბ., 1956.
3. თიბილაშვილი ლ., შოი არაგვისპირელის სულიერი ბიოგრაფიიდან, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>.
4. მჭედლური 1993 - ზ. მჭედლური, ნათელა დედაბრიშვილის მოგონება შოი არაგვისპირელზე, ჟურნ. „მნათობი“, 7-8, თბ., 1993.
5. სიგუა 2002 - ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, „მწერლის გაზეთი“, თბ., 2008.

Tinatin Tushabramishvili

The Sign of Painful History of Shio Aragvispireli

Shio Aragvispireli left the hard critics towards women in his creative work. In order to make easier the attitude by men characters towards women, we considered it essential to study the motive, which stimulated the writer to denounce the mode of a woman in his works. Shio Aragvispireli generalized the hard life of his own lyrical person in his creative work.

1005 – ფილოლოგიის მეცნიერება

თინათინ თუშაბრამიშვილი

ევროპელი ქალი გრიგოლ ორბელიანის თვალთახედვით (ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით)

გამოჩენილი ადამიანების გამოქვეყნებული წერილებით ვეცნობით განვლილ ეპოქას, რომლისგანაც წლები, ზოგჯერ კი საუკუნეებიც გვაშორებს. დიდია ამ წერილების მნიშვნელობა, რომლებიც დიდმა ადამიანებმა დაგვიტოვეს. მათში აისახება არა მხოლოდ ამ ადამიანთა ყოფისა და სულიერი ცხოვრების კათაკლიზმები, შემეცნება-შეცნობის ურთულესი გზა, წარმოდგენები აზრისა და მომავალზე, ზნეობრივი თუ საზოგადოებრივი პოზიცია, მათი ენა, არამედ მათში ცოცხლდება თვით ეპოქა. ეს წერილები გარდასულ დღეთა უშუალო მოწმენია – მათი მატანია. ეპოქის შეგრძნება გასდევს თითოეულ მათგანს მუდმივ ფონად – თვითმ ავტორის მცდელობისგან დამოუკიდებლად. ამა თუ იმ მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობა სანდო წყაროა მისი ბიოგრაფიული დეტალების, შემოქმედებითი ისტორიის, ფსიქოლოგიური პორტრეტისა და ეპოქის ისტორიულ-საზოგადოებრივი სურათის დასანახად.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველ მოღვაწეებს მიეცათ შესაძლებლობა დაახლოებოდნენ და გასცნობოდნენ ევროპულ კულტურასა და ღირებულებებს. ჩგრიგოლ ორბელიანმა თავისი ცხოვრების გარკვეული წლები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის სხვადასხვა მხარეში გაატარა. ესენია: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი. იგი ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც თავისი დამოკიდებულება ევროპული ფასეულობებისადმი ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გამოხატა.

პოეტი პირად წერილებში ხატოვნად აღწერს ევროპის ქალაქებსა და მათ კულტურულ ცხოვრებას. გრიგოლ ორბელიანი აღტაცებულია ევროპული ხელოვნებით – მათი თეატრებით, ბალეტითა და ისტორიული ძეგლებით. მწერალი ახასიათებს საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლების მიერ გამართულ წვეულებებს. იგი თავის ადრესატებს ესაუბრება ევროპელების განათლებულობის, სიფაქიზის, წესრიგისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ. ამიტომაც, რომ პოეტი, ევროპული ღირებულებების გავლენით, თავის ადრესატებს მოუწოდებს ევროპული განათლებისაკენ, რამდენადაც იგი აღიარებს მის უპირატესობას.

გრიგოლ ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ევროპელი ქალისადმი მისი დამოკიდებულება, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანია.

პოეტს თავისი შეხედულება აქვს ევროპელ ქალებზე. სალომე ჭავჭავაძისადმი 1835 წლის 23 მარტს ბირჟიდან მიწერილ წერილში გრიგოლ ორბელიანი გვიხასიათებს ლიფლანდიაში მაცხოვრებელ გერმანელ ქალებს. პოეტი სწერს ადრესატს: „... აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩუშნს ქალებს; მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხ რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუშნს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მათ რიგებში“ (XIX-XX საუკუნეების... II, 2012, 64). რა თქმა უნდა, სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძეების ასულები სწავლა-განათლებით გამოირჩეოდნენ სხვა ქართველი ქალებისაგან. ჩგერმანელ ქალებს უხასიათებს პოეტი ასევე 1834 წელს თავის მკურნალ ექიმს, დიმიტრი აზბუშინს: „... მშვენიერი ქალიშვილები ჰყავთ! მართალია, ისინი ლამაზნი არ არიან, როგორც ქართველნი; მარამა თქუენ, ექიმო! მათის ბუღბუღისებრი გალობის ჯადოსნურ ხმათაგან დადნებოდით, ვითარცა თოვლი მზის სხივთაგან კავკასიონის მიუვალ მწვერვალებზედ. მე თავად არაერთხელ ვმდგარვარ თავდავინწყებული მათს სიახლოვეს რაღაცნაირს აღტაცებაში და კიდევ დიდხანს მიყურადებია, როს სინამდვილეში უკვე დიდი ხნის წინ შეუწყვეტიათ მღერა! ასეთია მუსიკის ძალა! ასეთია ძალა სიმღერისა, მარამა მუსიკაზე და სიმღერაზე კიდევ უფრო ძლიერი გახლავთ მშვენიერი ქალი“ (იქვე, 49).

გრიგოლ ორბელიანი თავისებურად ახასიათებს ასევე პოლონელ ქალებს. 1835 წლის 23 მარტს იგი სწერს სალომე ჭავჭავაძეს: „ან გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი პოლიაკებში, რომელნიცა არიან ჩვენებურად მოლხინენი და პურადნი. მათი ქალები არიან ძალიან თამამნი ყოფაქცევაში, არმიყოფის მოყუარენი და კოკეტები“ (იქვე, 64). მართალია, პოეტს არ მოსწონს პოლონელი ქალების ზედმეტი სითამამე, მაგრამ იმასაც ამჩნევს, რომ, მათ ცუდი განზრახვა არა აქვთ. 1834 წელს მანანა

ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი სწერს ადრესატს: „უნდა იცოდე, თუ პოლშის ქალები რა თამამნი არიან ყოფაცქევამი, რა ოხუ[ნ]ჯნი, მოლაპარაკენი და არშიყობის მოყუარენი, მარამა თვინიერ ცუდისა განზრახვისა“ (იქვე, 42). ამავე წელს კი გრ. ორბელიანი სწერს დიმიტრი აზბუშინს: „საყუარელნი გახლავან საზოგადოებაში მშვენიერი მომხიბვლელი პოლიაჩკები; მომწონს მათი თავაზიანი სიმსუბუქე, საყუარელი კეკლუცობა და სწრაფვა მათი სასიყუარულო ინტრიგებისადმი; მარამა არ მომწონს მათი ჭარბი სითამამე მამრებთან, რაიცა ბუნების მიერ მანდილოსანთათვის დადგენილს წრეს გადადის“ (იქვე, 50). პოლონელ ქალებს ახასიათებს პოეტი 1834 წელს კვეტიკიდან თეოდორე გელშერტისადმი გაგზავნილ წერილში. იგი სწერს მეგობარს: „ამბობენ, პოლიაჩკები საყუარელნი არიანო ურთიერთობაში. არ ვკამათობ; მარამა არ ძალმედვა არ აღმენიშნა. მათი მერყეობა, ვგონებ, ქარაფშუტობამდე აღწევს; და საოცრად თავისუფალნი ბრძანდებიან მამრებთან ურთიერთობისას, ისე რომ ყველაზე მშვენიერი რამ ღირსებას ჰკარგავს ჩემს თუალში; შესაძლოა, ის აზიური წესი აზროვნებისა, რომლის თანახმადაც, თავმდაბლობა უპირველესი სამკაულია მშვენიერი სქესისა, მაიძულებდეს, უსამართლი ვიყო უბრალო, საყუარელ პოლიაჩკებზე მსჯელობისას“ (იქვე, 60).

გრიგოლ ორბელიანი პოლონელი ქალების სითამამეს და მათ ღირსებებსაც სხვა წერილებშიც ეხება. მაგალითად, 1835 წლის 11 აპრილს ბირჟიდან თავად გიორგი არაგვის ერისთავის მეუღლის, ნინო ანდრონიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი სწერს ადრესატს: „აქაურნი ქალნი, თუმცა არ არიან, ჩუან ქალებსავით, ძალიან ლამაზნი, მაგრამ არიან ძალიან გაზდილნი, და მსწავლულნი და ამასთანა დიან თამამნი ყოფაცქევამი და არშიყობის მოყუარენი თვინიერ ცუდისა განზრახვისა. – დავიარები მათთან და დროცა მიდის მხიარულად ქორტოპიანოს დაკვრაში, ტანციობაში, სიმღერაში, სეირნობაში და მრავალგუარ შექცევამი“ (იქვე, 66).

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილებიდან ჩანს, რომ პოეტს პოლონელი ქალების მიმართ თბილი, უშუალო დამოკიდებულება ჰქონია, რაც კარგად არის გამოხატული მის მიერ 1837 წლის 14 იანვარს ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან. იგი სწერს თავის ძმას: „...ხომ იცი პოლშის ქალები, რა რომანტისკები არიან. – ერთი ქალი საკურვლად ჰგავს ელენას (სავარაუდოდ იგულისხმება მათი ნათესავი, ელენე ორბელიანი, რომელიც ცოლად გაჰყვა ზაქარია ერისთავს, იქვე, 296), მარჯუნა ლოყაზედ ხალი აქუს, азиатский вкус. მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დავარქვი პრესტოლ любви“ (იქვე, 97). „პოლონეთში სამი წელი დაჰყო პოეტმა. „ეს ქვეყანა იმას დიდად მოსწონდა. „პოლშა საქართველოს ჰგავდა“. „პოლშელები ქართველებსავით სტუმრის და ლხინის მოყვარენი იყვნენ“. „პოლშის ქალნი – ჩვენებსავით, ლამაზნი“ (მეუნარგია, 1954, 53). როგორც გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ჩანს, იგი გაეცნო და დაუმეგობრდა იქაურ მეზობლებს. „იმათ სახლებში, იმათი ლამაზი ქალების აღერსში ჰპოებდა იგი სიამოვნებას სამსახურის ჯაფისაგან დაქანცული და თვისთა გულის საყვარელთა მოშორებული“ (იქვე). „მისი აზრით, სიცოცხლეს ლაზათი არა აქვს, თუ ეს სიცოცხლე არ არის გამთბარი არშიყობით, ეშხით, კურკურით“ (იქვე, 135). 1834 წელს ვილნოდან თავისი ბიძაშვილისა და უახლოესი მეგობრის – ანტონ (ტატო) ორბელიანისადმი მიძღვნილ პირად ბარათში პოეტი ადრესატს ესაუბრება ქალაქ ვალკის უცნობ წარჩინებულ მანდილოსნებზე. იგი სწერს მეგობარს: „ამ დღეებში მოველით პასკევიჩს პეტრებურლითგან და გაგვმინჯავს აქა და გვექნება მანევრებიცა. – ეს არის ჩემი ცხოვრების ისტორია, თუ არშიყობას აქა იქ კინკლაობასაც მიუმატებ. – ცუდია უემყოფ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა. – ვალკის ქალაქში სოფიო კრუზე და აქ პეტრონელლა, ამ უკანასკნელისა, რადგანაც ვარ აზიატეცი, მომწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარიან ესრეთი ქება; ამიტომ რომ ხომ იცი ევროპაში ხალის ქება არ იციან, გემო არა აქუსთ“ (XIX-XX საუკუნეების... II, 2012, 36). უპოლონელ ქალზე გრიგოლ ორბელიანი ხუმრობს ასევე 1834 წლის 22 მაისს ვალკიდან ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. პოეტი სწერს თავის უფროს ძმას: „კინალამ დამავიწყდა. – ვენდენში კვარტირა მქონდა ბარონ შტორხის სახლში. – ჩემს გვერდით იდგა იმათი ნათესავი ერთი ლამაზი ქალი. – ახ! ზაქარიავ, იმისი ქორტოპიანოს დაკურვა და სიმღერა გამაგიჟებდა აქამდის, თუ ცოტა ბებერი არ ვყოფილიყავ. – მოკლედ გავიცან. ერთი დაკეტილი კარები იყო ჩუანშუა, მაგრამ [.....]“ (იქვე, 30). დავით ყორღანაშვილისადმი მიძღვნილ წერილშიც პოეტი ხუმრობს ერთ პოლონელ ქალბატონზე. გრ. ორბელიანი სწერს მეგობარს: „ჩემი ლუბოსტი Панна Александра დიდი ხანია აღარ მინახავს ავანტიურებისაგამო. – ამასწინათ გამოეგზავნა ჩემთვის სპალნის ბაშმაკები ფერადებით მოქსოვილი“ (იქვე, 70). პოეტს შეუმჩნეველი არც სხვების ლამაზი ცოლები დარჩენია. M1834 წლის 22 მაისს პოეტი სწერს ზაქარია ორბელიანს პოლონეთის ულანის პოლკის მეთაურ კარლ ვრანგელზე: „თვითონ პატივცემული კაცია და ერთი ლამაზი ქალიცა ჰყავს“ (იქვე, 31).

გრიგოლ ორბელიანი პოლონელ ქალებს ამკობს გარეგნობისა და ხასიათის გამომხატველი მხატ-

ვრული ხერხებით და მათი დანახვით გამოწვეულ თავის ემოციებსაც ხატოვნად გადმოგვცემს. 1834 წელს მანანა ორბელიანისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში სახლის პატრონის ქალზე პოეტი სწერს ადრესატს: „...სახლში დამიმშვიდდა გული, ვიხილე რა ჩვიდმეტის წლის სახლის პატრონის ქალი, ლამაზი, როგორც ვაშლი (აქაურს ქალებს ნუ შეადარებთ ნუცა ვარდსა და ნუცა ზამბახს), მყისვე ბოროტნი ჰაზრნი, ვ-ა ემშაკსა ბელზებელსა, აღმიჩნდნენ ჩემს თავში. – ნაზად, წყნარად, თავის დაკვრით მომიტანა რძე; მითომ უცებრ მივსწვდი მის ხელსა ცოფიანურად, მოუთმენელად და საბრალოცა შეკრთა. – დაღალულობა დამავიწყდა. ანთებული თვალებით ქორსავით უყურებდი კუთხეში მიმჯდარს და ხანდახან სიტყვებით ვეხუმრებოდი“ (იქვე, 42).

პოეტის აზრით, ევროპელი ქალების მიერ ცეკვა და ფორტეპიანოზე დაკვრა მაჩვენებელია მათი განათლებულობისა და მაღალი წრის წარმომადგენლობისა. იგი თეოდორე გელშერტს სწერს: „მე ვიდექ ყასაბის ბინაზედ, რომლის მეუღლე და შვილები უკრავდნენ ქორტეპიანოზედ და ცეკვავდნენ ფრანგულს კადრილასა. აქედამ შეგიძლია დაასკვნა ამ ხალხის განათლებულობისა და მაღალი წრის შესახებ. სინანულით დავტოვე ბარონების ვრანგელისა და კელერის სახლები, ვისგანაც იმდენად კარგად ვიქენ მიღებული, მეტი არ შეიძლება, და ვინც, შესაძლოა, ველაროდეს ვიხილო“ (იქვე, 60). ევროპული ღირებულებები გრ. ორბელიანის შეხედულებებზე დიდ გავლენას ახდენდა. პოეტის აზრით, პოლონელები, ქართველებისაგან განსხვავებით, „კაცურად ცხოვრობენ“. იგი სინანულით სწერს მანანა ორბელიანს: „როდის იქნება ჩუანც ასე ვიცხოვროთ კაცურადო“. აქ პოეტს მხედველობაში აქვს საქართველოში განათლების უქონლობა. ამიტომაც, რომ მწერალი ურჩევს მანანა ორბელიანს: „მანანა! მამა გიცხონდა, შენს ქალს კარგი ზრდილობა მიეც. – ვიცი ბევრნი დაგძრახავენ, რომ შენმა ქალმა სიმღერა ისწავლოს, მარამ ნურას დასდევ. ნავიდა ის დრო, როდესაც ჩუმად ყოფნა და კნავილით ლაპარაკი დიდ ზრდილობათ მიაჩნდათ“ (იქვე, 42).

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას თავისი თანამედროვე ევროპელი ქალების მიმართ და გვიქმნის მათზე წარმოდგენას. რაც უპირველესია კი, მწერალი აფასებდა ევროპულ ღირებულებებს და აღიარებდა მათ უპირატესობებს განათლებისა და კულტურის, მათ შორის ქალების სწავლა-აღზრდის სფეროში. ამიტომ პოეტი მი-ისწრაფოდა იქითკენ, რომ თავისი თანამემამულენი ევროპული განათლებისა და კულტურისათვის ეზიარებინა.

ლიტერატურა:

1. მეუნარგია, 1954 – იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, წიგნში: ქართველი მწერლები, I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1954.
2. XIX-XX საუკუნეების... II, 2012 – XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.

Tinatin Tushabramishvili

European Woman according to Grigol Orbeliani's Viewpoint (according to the epistolary legacy)

Grigol Orbeliani in his epistolary legacy shows his own attitude towards his contemporary European women and creates an imagination about them. The major fact is that the writer appreciated European values and recognized their advantages in education and culture, amongst in the field of growing up the women. That's why the poet had aspiration to make his compatriots familiar with European education and culture.

1005 – ფილოლოგიის მეცნიერებანი

მანანა კუპატაძე

გაგიჟვლავილი ტკივილი

„ძნელია კაცად ყოფნა, ძალიან ძნელი, გაცილებით ძნელი, ვიდრე ღმერთობა“, – ნოდარ დუმბაძის ეს სიტყვები გვარწმუნებს, რომ მწერალმა ზედმინევნით იცის, რა ადგილი უკავია ადამიანს სამყაროში, რა არის ადამიანის სიცოცხლის საზრისი, რა არის სიცოცხლე, სიკვდილი, ჭეშმარიტება და სხვა. იცის, ადამიანი მთლიანობის მონაწილე, მთელის შემადგენელი ნაწილია, დიდი სულიერებისაა, დროსა და სივრცეში გაბნეული, მაგრამ მაინც ერთიანობის მატარებელი ფრაგმენტებით.

არ არის ძნელი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ღვთაებრივის შეგრძნება. მას სწამს ადამიანის ამქვეყნად მოსვლის აზრი და ეთაყვანება იმ ტრადიციებს, რომელიც იცავს სარწმუნოებას, პატიოსნებას, სიყვარულს, თავმდაბლობას. ეს წარმოჩენა, ხდება არა ყველა, არამედ მხოლოდ განსაზღვრულ იდეასთან მიმართებაში. განსაზღვრავს როგორც ნიშნის კომუნიკაციაში ჩართვის პრინციპს, ისე მისი ინტერპრეტაციის მიმართულებასაც.

ქრისტიანობა, სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, შეიცავს ადამიანის ღმერთთან მსგავსების იდეას. ამ მსგავსების „ხატად თვისად“ შექმნის გამო ადამიანის დანიშნულება მარადიული სწრაფვაა შინაგანი სრულყოფისაკენ. ადამიანის პრინციპული მიმსგავსება ღმერთთან მისი სრულყოფილების აღიარებაა. ნოდარ დუმბაძე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ნაწერებში, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მაღალდაკეთილშობილურ ადამიანურ იდეალებს ამკვიდრებს – სიკეთეს, სათნოებას, მეგობრობას, სიყვარულს, მაღალ ზნეობას.

„მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დგეს ჩემთანა მე მისთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემ არარათ ძალვიც ყოფად არცა ერთი,“ – გვმოძღვრავს უფალი. სახარებისეული სიბრძნით დამუხტული შემოქმედი ზნემაღალი ადამიანის ჩამოსაყალიბებლად იღწვის. მწერლის დანიშნულებას კი ასე გვიყალიბებს: „მწერლობა სიმინდის ყანა არაა, შიგ თოხით რომ შევიდეთ, გლახა მოვჭრათ და მხოლოდ კარგი დავტოვოთ. იმ მიწაზე, რომელზეც ცუდი ბალახი არ ამოდის, კარგიც არ იხარებს. მწერლობა უფრო მსხმოიარე ხესა ჰგავს, რომელზედაც მეზაღე მკვახე ნაყოფს დამნიფებს აცლის, მნიფეს ჰკრეფს. დამპალი კი ცვივა და ნეშომპალად იქცევა“.

ადამიანის დანიშნულება, ზნეობრიობის მწერლისეული ინტერპრეტაცია ქრისტიანულ მორალს ეფუძნება. ქრისტიანული ეთიკის საფუძველს მწერლისათვის სიყვარული წარმოადგენს. სამყაროს მამოძრავებელი ძალა სიყვარულია. იგი თავადაა ღმერთი და რწმენა სიყვარულში ვლინდება. ქრისტიანული სწავლებით არავის შეუძლია უყვარდეს ზეციერი მამა, რომელიც არასოდეს უზილავს. ადამიანების სიძულვილი – ღმერთის გმობაა, მათი სიყვარული – ღვთაებრივი არსისადმი თაყვანისცემა. მწერალი არც კოდექსებით, არც ქადაგებებით არ ცდილობს თავისი პერსონაჟების აღზრდას. მან გადაგვიშალა ზნეობის პირველი წიგნი - ცხოვრება. გაგვაცნო ცხოვრების მაყურებელი, ნებიერი სტუმარი კი არა, მისი ავ-კარგის მიმღებ-გამცემი გმირი. ეს კი სხვათაგან თანაგრძნობით მიიღწევა. ცხოვრების უშუალოდ განცდა სიბრძნის, სიკეთის უშრეტი წყაროა. ეს წიგნი სხვანაირად იკითხება. ესაა ხასიათის წარმართვა სიტუაციების შექმნით“. „ბაჩანამ უბეში ჩაიყო ხელი, ცხვირსახოცში გახვეული რალაც ამოიღო და კალთაში ჩაუდო თამარას... მაგი ჩემს შრომადღებზე მიღებული ავანსია, ექვსასი მანეთი, ცოტა ხანს გეყოფა... ბაჩანას ხმა უთრთოდა. თამარამ ცხვირსახოცი გახსნა, ფულს დახედა, ისევ შეკრა და უბეში ჩაუდო ბაჩანას. მერე საკუთარ კალთაში ჩარგო თავი და გულამოსკვნილი ტირილი დაიწყო...“

შენ არაფერი არ უნდა გეწყინოს, უსაშველოდ ლამაზი ხარ, გოგო, და რა ხალხის ბრალია...ერთმანეთის ჯიბრზე დაჭამა სოფელში კაცებმა ერთმანეთი... ძაღლებმა იციან ასე... სამი თვეა თვალი არ მომიხუჭავს... ნამეტანი ლამაზი ხარ, გოგო და ნამეტანი ალერსიანი თვალები გაქვს... ვინც გიყურებს, ყველას გონია, მე მიცინის და მეალერსება სხვაზე უფრო... მეც ასე მომივიდა ალბათ... ვიცი მე, რომ ტყუილი ამაგი... ტყუილია, მაგრამ ნამეტანი მიყვარხარ, სხვისთვისაც არ მემეტები და რა ვქნა... მოვკვდები მე... გამომართვი ეს ფული, არ მომიპარავს მაგი მე. ლომკაცამ მომცა, ბაბუაჩემმა... შენთვის მომცა, დიდი კაცია ბაბუაჩემი, ნამეტანი დიდი, იმან გამომაგზავნა შენთან და მასწავლა, როგორ მოვქცეულიყავი, იმან მითხრა ნაიყვანე სოფლიდანო... არ გათხოვდე, გოგო, მე მალე გავიზრდები... ამაზე მეტი რალა უნდა გაიზარდო, ბიჭო?...“ (მარადისობისკანონი, გვ. 555). ბაჩანა ერთი შეხედვით,

ჩვეულებრივი ადამიანია. გამორჩეულობას ქმნის არა თავგადასავალი, არამედ – სამყაროს აღქმის უნარი. გმირის ინდივიდუალიზებული სახე კი თავისთავში მთელ კაცობრიობას მოიაზრებს.

ნუგეშისცემა ღვთაებრივი მადლია და არა ადამიანური. იმედი და ნუგეში ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში რელიგიურ ხასიათს ინარჩუნებს. პესიმისტურ განცდათა გვერდით შვების, რწმენის ცნებათა არსებობა იმიტომაცა ძალდაუტანებელი, რომ ქრისტიანული აზროვნებიდან მომდინარეობს. მწერალი თავის გმირს არ წირავს მარადიული ტანჯვისათვის. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ადამიანის ღირსება იმაშიც მოიაზრება, თუ რამდენად ძალუძს სამყაროს სილამაზის, სიცოცხლის მშვენიერების აღქმა.

გულის სინრფელე, გრძნობათა და მოქმედებათა ურთიერთშეპირობებულობა იმის გამომწვევი, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ცენტრს ემოციებით სავსე, სიყვარულით აღვსილი ადამიანი წარმოადგენს. ჭეშმარიტი სიყვარული, როგორც არ უნდა იყოს მისი ობიექტი, განწმენდს ადამიანს. იგი ზნეობრიობის განმსაზღვრელია. ნ. დუმბაძე ის მწერალია, რომელშიც ასე შეერთდა განცდილი და ბრძენთაგან თქმული აზრები. მისი გმირები ცხოვრობენ, ცდებიან, იტანჯებიან, უყვართ, ბედნიერებისთვის იღწვიან. ცხოვრების დიალექტიკაში იკვეთება მათი მორალური და ზნეობრივი სახე.

The crystallisation process is to be viewed on two levels: 1) between the fictitious author (i.e. the narrator) and the fictitious reader (i.e. the narratee) since they represent the internal plane of crystallisation (i.e. within the narrative); 2) between the implied author and implied reader since they represent the external plane and may possess knowledge from outside the narrative.

As concept is a unit of cultural code based on a system of fixed and flexible identifiers, the former are definite in their reference to a certain sphere of the world; the latter rely on individual experience and are referentially indefinite, assuming interpretation ambiguity (Капацик 2010:19–20, 121–222).

Concepts embedded into narrative fiction are subject to interpretation through allegorical and symbolic modes. The first one presumes interpreting a concept through a narrative conjured up in a parable form characterised by applying a method of guessing riddles with only one answer. The second one is conditioned by numerous ways of interpreting the same concept (Капацик 2010:47–62). Thus, the internal plane of crystallising REVENGE is based on an allegory (parable) illustrating a certain ethical point (i.e. do not violate laws of hospitality, or else gods will revenge on you) and inducing the reader to make a correct choice (laws are not to be violated). As parables may often be reduced to proverbs (Капацик 2010:80), the story about the Rat Cook may acquire the following form: *revenge on your guests brings gods' revenge on you*. Such an allegorical interpretation on the internal level of crystallisation is possible due to analysing the narrator's and narratee's indices that show their being involved in exactly allegorical, not some other, mode. The *narrator's* indices are: the choice of essential elements (objects, settings, characters including their words, moods, thoughts, etc.) to make up a solid story; composition of those elements in a certain order; linguistic (lexical, syntactical) presentation of those elements; comments and reflections. As the narratee is an object of narrative *appellation* and *orientation*, it presumes an implicit narrator's presetting that makes the narratee treat the narrator and his story in a certain way (appellation index) and be ready for interpreting the story (orientation index) (Шмид 2003:63–102).

Crystallisation of REVENGE on the part of narrator is accomplished through choosing essential elements that make a desirable impact on the narratee, composing them in a certain order, presenting linguistically, and com-

menting on them. These elements are *an ominous castle, an old grudge of its owner against his guests, infanticide, cannibalism, innocent victims, vigilant fair gods*. They make the narrative scary and are organised so accurately that disclose actions of the Rat Cook as well-considered and thus deserving deific revenge. Linguistically the elements are represented the way to show: 1) that the Cook was a nasty villain: his old grudge made him scheme *a prince-and-bacon pie* (even this compound can make the narratee shudder); 2) the king and his son were innocent victims to be sympathised with: the scene of infanticide and cannibalism is meticulously described by means of various nouns and adjectives denoting the Andal prince as a tasty dish that makes the situation more horrible (*a big pie with onions, carrots, mushrooms, a rasher of bacon, and a dark red Dornish wine*) and the Andal king who did not imagine what he was eating – more ruthless; otherwise he would not *have praised the taste and had a second slice*); 3) gods' revenge was just: the Rat Cook was a monster, hence he was transformed into a *monstrous white rat*, The Nightfort started figuring in the *scariest* stories, and fair gods *cannot forgive* those who violate their rules.

Narrator's reflections justify the deific revenge (*he slew a guest, and that the gods cannot forgive*), but leave without comment (only mentioning that *a man has a right to vengeance*) why child-slaying was left unnoticed.

Narrator's indices are fixed identifiers in crystallisation process and are for the narratee to be recognised. The narratee, in his turn, should identify the narrative as a parable appealed to him so as he may understand that *revenge on your guests brings gods' revenge on you*. To see this proverb in the parable, the narratee uses his knowledge, comprehension skills, and capability of interpreting the narrator's code. His knowledge is limited by two orientation points: 1) a man has a right to vengeance, but 2) gods' rules should never be violated. A narratee who is supposed to be satisfied by these rigid appellation limits, is sure to have *superficial knowledge* (Карасик 2010:225–237). Comprehension skills to which the narrator orients are narratee's abilities of treating the story as a parable. Recognising the narrative content as a parable signals *cognitive comprehension* (Ibid.) of the narratee. The type of interpretation expected by the narrator is sufficiency of correlating the narrative with narratee's knowledge which may be squeezed into the following formulation: if you do no revenge on your guests, the gods will not unleash their revenge on you. Such interpretation associated with superficial knowledge is known as *compressed* (Ibid.). Narratee's indices are also fixed crystallisation identifiers, for they stipulate the understanding mode.

Revenge on the internal plane is crystallised as *a natural right of a man limited by gods' rules*. On the external plane the indices of the implied author and reader³⁸ prove that their communication acquires the symbolic mode, and thus the concept REVENGE undergoes crystallisation in symbolic dimension. Since symbol differs from allegory by the plurality of treatments, interpretation is crucial in reconstructing the author's symbolism.

The main index whereby the implied author may be recognised is the way of representing the whole conception of this short narrative: he exposes the situation of cannibalism as normal, i.e. the fact of eating a child always stays in the backdrop, never entering the foreground, though it looms from there as an element of the pall. But the things in the foreground, meant to strike more dread into readers than murder and cannibalism, are the details of transforming the Cook into a rat and his keen, never sated hunger. Why does the act of deific revenge take the shape of the Cook's and is also realised as eating children if the Cook is punished not for the murder, but for transgressing hospitality laws?

Even if the hypothesised addressee (presupposed only to speak English, be able to read and have some superficial knowledge) recognises only the allegorical dimension in this story, just the same as the narratee, there is also the ideal recipient whose instruments of understanding are daintier and identifiers he looks for are more flexible. Thus, in contrast to the hypothesised addressee, he will see that the described revenge type is not an atrocity (though a way to fulfil one's natural right), but a positive act. This mode of comprehension is *semantic* (individual, situational) and is based on *amplifying interpretation* which may be employed only in case of having deep knowledge (Карасик 2010:229–237).

The symbolic interpretation of revenge via infanticide and cannibalism in this narrative is that *any man is equal to gods, and they grant him whatever unless he infringes upon their interests* (in the described case *honouring guests*). Mutual interests suggest equality of parties, including, strange as it may seem, divine connivance in child-slaying cases. Revenge as a symbol of human rights equal to gods is a cultural universal, realisation of metapsychological substratum of human cognition reflected in literature (Дешарне 2007:119). It amplifies revenge as an archetype (inflicting harm for the harm received) with cannibalistic details that have stayed time stable since antiquity.

Though repulsive at first sight, barbarous exercise of making parents unsuspectingly feed on the flesh of their unfortunate progeny is galore reflected in European myths and even in „The Histories” by Herodotus as a habitual

38 As the implied author is a mental picture of the author constructed by a reader on the basis of the narrative, his indices are revealed through the way of conceiving events and are *unintentional, unconscious*. The narrator's, in contrast, are *intentional* as they fulfil the message of a certain author and any narrator is an object of depiction. The implied reader is viewed as the *hypothesised addressee* (whom a narrative is directed to) and the *ideal recipient* (an image of a reader comprehending a narrative ideally) (Шмид 2003:41–63).

way of improving fathers' manners. This fact permits to assume that the concept REVENGE (by making an enemy eat his child) is typical of European culture, for it is realised in various Greek myths (e.g. Atreus and Thyestes, Tereus and Procne (Graves 1988:46, 166)), „The Histories”(Herodotus 2005:48–49), „The Poetic (Elder) Edda” (Elder Edda 2008:296) and is preserved as an inspiration source in modern fiction. It appears contrary to the suggestion that revenge is an element of aberrant behaviour. Rather, in „The Histories”, „The Edda” or separate myths (as well as in „A Storm of Swords”) it proves a time-tested mode of action performed in cold blood for demonstrating doubtless supremacy over the rival since a good parent is very unlikely to survive the pain and shame afterwards.

As it appears, to make an enemy eat the flesh of his kin was thought not only an acceptable, but a valorous, heroic act of vengeance (Хойслер 1960:413) and not an aberration despite all gruesome details. For this reason the Andal prince, slain by the Rat Cook, remained not revenged for, since Rat Cook (though cursed) was not punished for the murder itself. The Cook fed one of his guests to the other one, and the gods punished him. But the situational factor important for understanding this act of divine revenge is the Nightfort, since if it had not been for the place, the Cook, having fed the king (father) on the prince (son), would not have been punished. Hospitality laws are thus more rigorous than those forbidding to murder people in the world of „A Song of Ice and Fire”, and any atrocity may be justified if it does not violate these laws.

To explain this rigorousness, the implicit question asked above should be recalled. Why is the act of deific revenge realised as eating children if the Cook is punished not for the murder, but for having transgressed hospitality laws? An adequate answer may also confirm the fact that the divine act was not a mere punishment, but revenge *sensu stricto* (inflicting harm for harm received).

Gods in the philosophy of antiquity were treated as a source of sublime symbols, called *synthemes* (Петров 1995:15–21), embedded into ordinary, well-known things. Such is, for example, light – thereby gods expose beings (created by them) and it becomes a unifying image of gods and men; they are thus reflected in men and world. A name is also a *synthème* if it corresponds to a thing it denotes. Though this interpretation may seem close to *icon*, the really ideal correspondence, however, emanates only from the deific mind, whereof human mind is a vague reflection. Communication between gods and men is accomplished via *synthemes*, images of human-divine confluence. Fair divine punishment is a *synthème* of gods being dissatisfied by the Cook's violation of their laws. As they can make absolute correspondences, their punishment becomes a reproduction of what the Cook has done to his victims and by this act offended them. His cruel revenge is refracted through deific mind to become his punishment. Thus, symbolic interpretation may be verbalised in a sentence – *revenge* (of gods and men) *is a reflection* (of somebody's previous activity), *the god's reflection being absolute and ideal, while human – aberrant and defective*.

The pairs – narrator-narratee and implied author-reader – represent two types of trajectory: the intra-chronotopic (1) and the extra-chronotopic (2). The first one actualises information available in the whole chronotop of a narrative, while the second one may import extra information.

Possible perspectives of developing the suggested methodology are seen by the author in making up the typology of trajectories, in employing other aspects of the study of the imaginary (myth criticism and myth analysis) to reveal yet unsolved problems of relation between mind and language.

References

- Botting F.** 1996. *Gothic*. New York.: Routledge.
- Graves R.** 1988. *The Greek Myths*. Kingston: Moyer Bell.
- Herodotus.** 2005. *The Histories*. Whitefish: Kessinger Publishing.
- Martin G. R. R.** 2003. *A Storm of Swords*. New York: Bantam Books.
- Poetic (Elder) Edda. 2008. Charleston SC USA: Forgotten Books.
- Smith J.** Narrative: Sociolinguistic research [in:] Keith Brown (ed.) *Encyclopaedia of language and linguistics*. Oxford: Elsevier. 473–476.
- Snodgrass M. E.** 2005. *Encyclopaedia of Gothic Literature*. New York: Facts On File.
- Бахтин М. М. 1997. К «роману воспитания» [in:] Собрание сочинений. Том 3. 218–337.
- Дешарне Б. и Нефонтен Л. 2007. Символ. М: АСТ: Астрель.
- Дугин А. Г. 2010. Социология воображения. М: АП; Трикста.
- Карасик В. И. 2010. Языковая кристаллизация смысла. М: Гнозис.
- Петров А. В. 1995. К истории религиозно-философской мысли поздней античности [in:] Вестник СПбГУ. 4. 15–21.
- Хойслер А. 1960. Германский героический эпос и сказание о Нибелунгах. М: Изд-во Иностранной литературы.
- Шмид В. 2003. Нарратология. М: Языки славянской культуры.

1006 – ფილოსოფიის მეცნიერებანი

ირმა შიოშვილი

ჰეგელი: სამართალი და სახელმწიფო, როგორც ობიექტური გონის ფორმები

ჰეგელის ფილოსოფია გონის განვითარების ფილოსოფიაა. გონი თავის განვითარებაში სამ საფეხურს გაივლის: სუბიექტური გონი, ობიექტური გონი და აბსოლუტური გონი. დასაწყისში იგი თავს იჩენს უშუალო ფორმით, როგორც ბუნებრივი ქმნილება – სული, ინდივიდუალური გონი. შემდეგ სულში ვითარდება ცნობიერება, ანუ სუბიექტი თავის თავს უპირისპირებს გარეგან სამყაროს. იგი შემდეგნაირად ვლინდება როგორც თვითღმრთელობა, ხოლო მისწრაფებათა სისტემაში – როგორც პრაქტიკული ანუ თავისუფალი გონი. მას საფუძვლად უდევს გონიერი ნება, რომელიც თავად განსაზღვრავს თავის თავს. თავისუფალი ნება სუბიექტური გონის არსებითი განსაზღვრულობაა. ამ საფეხურს რომ მივალთ, სუბიექტური გონი გადადის გარეგან მოღვაწეობაში და თავის თავიდან აგებს ობიექტურ სამყაროს, სადაც ძირითადი საწყისი არის თავისუფლება. თავისუფლების ანუ ობიექტური გონის განვითარების საფეხურები არის სამართალი, მორალი და ზნეობა. ზნეობის ცნებაში ჰეგელი მოიხილავს საზოგადოებრივ საწყისს, რომელიც წარმოადგენს სამართლისა და მორალის შერწყმას და გამოიხატება ადამიანთა კავშირების განვითარებაში. ამ კავშირების უმაღლესი გამოვლენა არის სახელმწიფო, როგორც მსოფლიო გონის კერძო გამოხატულება. ჰეგელის მიხედვით, ყოველგვარი განსაზღვრულობა მხოლოდ ბოლოს გამოაჩენს თავის ჭეშმარიტ არსს. ასევე ნებაც თავის უმაღლეს საფეხურზე გამოვლინდება როგორც სრულიად თავისუფალი ნება. თავის დაბალ ფორმებში იგი ჯერ კიდევ ბუნებრივი საწყისების გავლენის ქვეშ იმყოფება. აქ იგი შინაარსს იღებს გარედან, ანუ მისწრაფებებისა და მიდრეკილებებისაგან; თავისუფალი ნება კი, რაკი იგი განყენებულ, ზოგად საწყისად რჩება, წარმოადგება როგორც უხანძრ, რომელიც ახდენს არჩევანს სხვადასხვა მისწრაფებებს შორის. ამისათვის საჭიროა, გავარჩიოთ არსებითი მისწრაფებები არაარსებითისაგან. არსებით მისწრაფებებზე უნდა მივიჩნიოთ ისეთები, რომლებიც არ წარმოადგენენ მხოლოდ გარედან მიღებულ შინაარსს, არამედ თავად ნების არსს შეესაბამებიან. ეს არის სწორედ ჭეშმარიტად ზოგადი საწყისი; განყენებული ზოგადი და კერძო მხოლოდ მომენტებს წარმოადგენენ. თავის თავის განმსაზღვრელი ნება არის თავისუფალი ნება ნამდვილი მნიშვნელობით. მისი მიზანია თავისი თავისუფლების განხორციელება გარეგან სამყაროში. „ეს არის თავისუფალი ნება, რომელსაც სურს თავისუფალი ნება“.³⁹ ამ თავისუფლების განხორციელება არის სამართალი ზოგადი აზრით. სამართალი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულს ცალ-ცალკე სხვა თვლიდეს და ეპყრობოდეს როგორც თავისუფალ არსებას. ადამიანის ბუნების ძირითადი განსაზღვრულობა, ჰეგელის მტკიცებით, არის ის, რომ იგი თავისუფალი არსებაა.

სამართალი, როგორც ჰეგელი ფიქრობს, ვითარდება სამ საფეხურად: 1) როგორც განყენებული ანუ ფორმალური სამართალი, რომელიც გამოხატავს თავის თვითგანსაზღვრულობას გარეგან სამყაროში; 2) როგორც მორალი, ანუ ნების შინაგანი თვითგანსაზღვრულობა; 3) როგორც ზნეობა, როგორც სამართლისა და მორალის სინთეზი, რომელშიც იგულისხმება შემდეგი: მორალის ზოგადი მოთხოვნები, გარეგან სამყაროში რომ ხორციელდება, იქცევა იურიდიული ინსტიტუტების სისტემად, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოებრივ კავშირებში. განყენებული სამართალი არის პიროვნული თავისუფლების გამოვლინება. ამ სფეროში განხილულია ადამიანები, როგორც ცალკეული პიროვნებანი და მათი ურთიერთობანი. ინდივიდი, როგორც თავისუფალი არსება წარმოადგენს პირს, რაკი მას ცნობენ, როგორც თავისუფალ არსებას. ამის მეშვეობით იგი სამართალუნარიანი ხდება. სამართლის კანონი ამბობს: „იყავი პირი და პატივი ეცი სხვებს, როგორც პირებს“.⁴⁰ თუ აქედან გამოვალთ, ქმედება, რომელიც ზღუდავს სხვა ადამიანის თავისუფლებას, ანუ არ ცნობს მასში თავისუფალ ნებას, წარმოადგენს ქმედებას სამართლის წინააღმდეგ. ნებადართულია და ამიტომ არც განიხილება სამართლის მიერ ყველაფერი ის, რაც არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას, ანუ ყველაფერი, რაც არ აბრკოლებს მათ აქტებს. სამართალი შეიცავს მხოლოდ აკრძალვებს და არა მითითებებს, „ხოლო რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია.“⁴¹ მაგრამ სამართლებრივი აკრძალვები შეიძლება გამოითქვას პოზიტიურად, მაგალითად, „შენ უნდა

39 Гегель. Философия права. М., 1990, гл. 9.

40 Гегель. Философия права. М., 1990, гл. 37.

41 Гегель. Работы разных лет. М., 1971. гл. 38.

დაიცვა ხელშეკრულება. ჰეგელის აზრით, საყოველთაო სამართლებრივი პრინციპი, რომლის განსაკუთრებულ გამოყენებას ყველა სხვა პრინციპი წარმოადგენს, ამბობს: შენ პატივი უნდა სცე სხვის საკუთრებას! ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში ძირითად პრინციპად მიჩნეულია საკუთრების ცნება. საკუთრების ცნებაში ჰეგელი მოიაზრებს ინდივიდუალურ ანუ კერძო საკუთრებას. სამართლის სახელით თავისუფალი ინდივიდი (პირი) ხელს დაადებს ბუნებას, და ამ უფლებას პატივი უნდა სცეს ყველამ და ამაშია საკუთრების, როგორც ადამიანის პიროვნული თავისუფლების პირველი გამოვლინება, ნება, თავის საქმიანობაში ნივთს რომ იმორჩილებს, მას თავისად ხდის. ფლობა არის სწორედ ნივთის დამორჩილებულობა ჩემი ნებისადმი. ადამიანის მიერ ნივთის დამორჩილებისათვის ორი პირობაა საჭირო: 1) ის არავისი არ უნდა იყოს, ანუ არ უნდა იყოს ისეთი ნივთი, რომელიც უკვე სხვა ნებას ემორჩილება არა იმიტომ, რომ იგი ნივთია, არამედ იმიტომ, რომ იგი მისი ნივთია; 2) საჭიროა მფლობელობაში შესვლა, ე. ი. საჭიროა ან საგნის ფიზიკური დაუფლების, ან ფორმირების, ან უბრალო აღნიშვნის გზით სხვებისათვის ნათელი გახდეს, რომ პირმა ეს საგანი დაუქვემდებარა თავის ნებას. გარეგან დაუფლებას წინ უნდა უსწრებდეს შინაგანი ნებითი აქტი, რომელიც გამოხატავს იმას, რომ ნივთი ჩემი იქნება.⁴² დაუფლება იქცევა კანონიერად ე. ი. საკუთრებად, თუ ყველა სხვა აღიარებს, რომ ნივთი, რომელიც ჩემად ვაღიარე, ჩემია. ჰეგელი ცდილობს ერთმანეთისაგან განასხვავოს ფლობა და საკუთრება. ერთი და მეორეც, მისი განსაზღვრებით, შედის იმ ცნებაში, რასაც ეწოდება რაიმეზე ბატონობა. საკუთრება წარმოადგენს ამ ბატონობის სამართლებრივ მხარეს, ფლობა კი არის გარეგნული მხარე, რომ რაიმე ჩემს ძალაუფლებაშია. მას მიაჩნია, რომ სამართლებრივი არის მისი აბსოლუტური თავისუფალი ნების მხარე, რომელიც რაიმეს აცხადებს თავისად. საკუთრებას, როგორც იგი აღნიშნავს, აქვს შინაგანი და გარეგანი მხარე: 1) ეს არის ნების აქტი, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს, როგორც ასეთი; 2) რომელიც თავისთავად წარმოადგენს მფლობელობაში შესვლას. აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ ზოგადი დასკვნა: „რადგან ჰეგელი არასოდეს არ უარყოფს საკუთრების კერძო ხასიათს, იგი არასოდეს არ უარყოფს ინდივიდს როგორც დამოუკიდებელ ფაქტორს. ამრიგად, ჰეგელი არასოდეს არ „აუქმებს“ ინდივიდს“⁴³.

კანონიერი მითვისებისათვის აუცილებელია, ნება გამოიხატოს ნივთში, პირიქით, როცა ნება შეწყვეტს გამოვლენას ნივთში, იგი შეიძლება მითვისებულ იქნეს სხვების მიერ. მითვისებული ნივთი ამის შემდეგ მესაკუთრის სრულ განკარგულებაშია. მას შეუძლია მოიხმაროს იგი და გაანადგუროს კიდევ თავისი მოთხოვნილებებისათვის. მას შეუძლია შესთავაზოს მისი საკუთრების ნაწილი სხვას მოხმარებისათვის. და ბოლოს მას შეუძლია თავისი საკუთრების უფლება გადასცეს სხვას, რადგან ნივთი, თავისი ბუნების თანახმად, შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში, მითვისებული იქნეს ამა თუ იმ პირის მიერ. გარეგანი ბუნება შეადგენს საერთო გარემოს, რომლის მეშვეობით ცალკეული პირები შედიან ერთანეთთან იურიდიულ ურთიერთობებში. ეს ურთიერთობანი გამოიხატება ხელშეკრულების გზით. ხელშეკრულება, ჰეგელის აზრით, პიროვნული თავისუფლების მეორე გამოვლენაა. არსებით მომენტად შეთანხმებაში იგი თვლის შეთანხმებას (დათქმას) ანუ ნებათა გამოხატვას. რაც შეეხება აღსრულებას, იგი მხოლოდ ამ აქტის შედეგი შეიძლება იყოს, რადგან შეთანხმების მეშვეობით საგანი უკვე აღარაა ერთის საკუთრება და უკვე გადაიქცა მეორის საკუთრებად. ამის შედეგად ხელშეკრულების შეუსრულებლობა წარმოადგენს სხვისი საკუთრების ხელყოფას.

ის, რა შეიძლება მოვთხოვოთ ადამიანს სამართლის საფუძველზე, წარმოადგენს გარკვეულ ვალდებულებას. მოვალეობას კი რაიმე წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც იგი სრულდება მორალური მოსაზრებებით. სამართლებრივი ვალდებულება, როგორც ასეთი, გულისხმობს მხოლოდ გარეგან აუცილებლობას, რომლის დროს სათანადო განწყობა შეიძლება არც იყოს, მაგალითად, სამართლებრივი ვალდებულების შემსრულებელს შეიძლება ჰქონდეს არაკეთილი მიზანი, მორალი კი შეიცავდეს თავისი შინაარსით ჯეროვან ქცევას და ფორმით სუბიექტურ შინაგან განწყობას. მორალურობა უპირატესად ეხება შინაგან განწყობას და მოითხოვს, რომ მოქმედება სრულდებოდეს მოვალეობისადმი პატივისცემით. ამავე დროს სამართლისადმი შესაბამის მოქმედებათა ნესიც მორალური შეიძლება იყოს, თუ მის მოტივს წარმოადგენს სამართლისადმი პატივისცემა. ამის მეშვეობით გარეგანი სამართალი გადადის სხვა სფეროში, კერძოდ, შინაგანი თვითგანსაზღვრულობის, ანუ მორალის სფეროში. სამართალი და მორალი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არსებობს აზრი, თითქოს მორალი წყვეტს ბევრ რაიმეს, რასაც ვერ გადანყვეტს სამართალი, მაგრამ მორალი მოითხოვს, რომ, პირველ ყოვლისა, დაცული იქნეს სამართალი და მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც კი იგი ამოიწურება, მოქმედებაში ჩაერთოს მორალური განსაზღვრებები. მორალში, ჰეგელის კონცეფციით, ნება თავის თავს აცნობიერებს, როგორც „შიგნიდან განსაზღვრულს“, ყოველგვარი იძულებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ მასში არსებული ზოგადი სანყისის საფუძველზე. ამ სანყისის შინაარსს კი იმთავითვე

42 იქვე, გვ. 39.

43 Гуннар Скирбекк, Нильс Гилье. История философии, М., 2000, гл. 519–520.

მორალი არ იძლევა. აქ კანონი ფორმალური რჩება: იგი არ განსაზღვრავს ნებას მის კონკრეტულ გამოვლინებებში. იგი ნების მიმართ რჩება როგორც განყენებული მოთხოვნა, რომელიც ვლინდება ჯვარასის სახით. აქ ნება თავს იჩენს, როგორც განყენებული, ზოგადი მომენტი. ეს არის წმინდა სუბიექტური საწყისი, რომელიც ამის გამო მოკლებულია ცოცხალ შინაარსს, კონკრეტობას. ამ ნაკლის შევსება შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტური საწყისის გადასვლით ობიექტურ საწყისში: შინაგანი თვითგანსაზღვრულობა უნდა შეუერთდეს გარეგნულს – ზოგადმა უნდა განმსჭვალოს კერძო. სამართლისა და მორალის უმაღლეს ერთობას ჰეგელი ზნეობრიობას უწოდებს.

ზნეობის სფეროში ინდივიდები (პირები) ერთმანეთს უკავშირდებიან „თავიანთი ზოგადი ზნეობრივი არსით“, რომელიც აქ უკვე წარმოადგენს არა როგორც „სუბიექტურ, ფორმალურ იდეას, არამედ როგორც კანონებისა და ინსტიტუტების ობიექტურ სისტემას, რომელშიც, ჰეგელის მიხედვით, სიკეთის იდეა ხორციელდება. კანონი მას ესმის, როგორც საყოველთაო, თავისთავად და თავის თავში არსებული ნება. კანონში საყოველთაო ნება მოცემულია იმდენად, რამდენადაც ეს ნება წარმოადგენს ამ კანონს „გონების თვალსაზრისით.“ კანონი თავის თავში შეიცავს ადამიანთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების აუცილებლობას. „სამართალი – ეს არის ადამიანთა ურთიერთობა, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ აბსტრაქტულ პირებს.“⁴⁴ კანონმდებლები, როგორც ჰეგელს აქვს წარმოდგენილი, არ გამოსცემენ თვითნებურ დადგენილებებს. მათი დადგენილებები არ არის მათი კერძო ნება-სურვილი. კანონმდებლობა „მათ ღრმა გონების წყალობით შეიმეცნეს, რასაც წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ჭეშმარიტება და არსი.“ რეალურად, ანუ ნამდვილ ისტორიაში არ ყოფილა ისე, თითქოს რომელიმე ხალხის ცალკეულ მოქალაქეს წარმოედგინოს კანონი, შემდეგ კი საჯარო განხილვის გზით შეთანხმებოდეს სხვებს ამ კანონის თაობაზე.

სამართალი, ჰეგელის ინტერპრეტაციით, არის ბუნებრივი მდგომარეობის უარყოფა. წინააღმდეგ ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ რომანტიკული წარმოდგენებისა (რუსო და სხვები), ჰეგელს ეს მდგომარეობა გააზრებული აქვს, როგორც უკულტურობის, ძალადობისა და უსამართლობის მდგომარეობა. რომანტიკული წარმოდგენების მიხედვით, ბუნებრივი მდგომარეობა ხშირად გამოსახულია, როგორც ადამიანის სრულყოფილი მდგომარეობა, რომელშიც იგულისხმება როგორც მისი კეთილდღეობა, ისე მისი ზნეობრივი სიკეთე (გულკეთილობა). ჰეგელი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ უმანკოებას, როგორც ასეთს, არ აქვს არავითარი მორალური ღირებულება, რამდენადაც იგი წარმოადგენს ბოროტების უცოდინარობას და ემყარება არარსებობას იმ მოთხოვნილებებისა, რომლის პირობებში ბოროტება შეიძლება მოხდეს. ამავე დროს „ეს მდგომარეობა უფრო ძალადობისა და უსამართლობის მდგომარეობას წარმოადგენს სწორედ იმიტომ, რომ მასში ადამიანები თავის თავს აფასებენ ბუნების თანახმად“.⁴⁵ ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნების თანახმად ადამიანები არ არიან თანასწორნი როგორც ფიზიკური ძალების, ისე გონითი უნარების მხრივ. მართალია, გონება არსებობს ბუნებრივ მდგომარეობაშიც, მაგრამ ბუნებრივი წარმოადგენს გაბატონებულს. აქედან ჰეგელი ასკვნის, რომ ეს მდგომარეობა დაძლეული უნდა იქნეს და ადამიანები უნდა გადავიდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც გონიერი ნება ბატონობს. ასეთად მას მიაჩნია სამოქალაქო საზოგადოება, რადგან მასში „სამართლებრივი მდგომარეობა ფლობს სინამდვილეს“.⁴⁶

სამართლებრივი მდგომარეობა ნიშნავს, რომ პირები ასრულებენ კანონებს. კანონების შესრულება არის მათი მოვალეობა. აქ უკვე კანონები განსაზღვრულია. მეორე მხრივ, კანონებში გამოხატულია ნების გონიერი არსება, ანუ ზნეობრივი თავისუფლების შინაარსი, რაც ნიშნავს იმას, რომ მათში განხორციელებულია სამართლისა და საყოველთაო სიკეთის საწყისები. ამიტომ კანონების შესრულება ამავე დროს არის პირის უფლება. კანონებში იგი თავის პიროვნულ დაკმაყოფილებას პოულობს. ზნეობის სფეროში, ჰეგელის მოსაზრებით, უფლებები და მოვალეობანი ერთმანეთთან შინაგან კავშირშია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს იმდენი უფლებები აქვს, რამდენიც მოვალეობანი და პირიქით. ამის შედეგად, თვლის ჰეგელი, კანონების შესრულება პირებისათვის იქცევა მეორე, მათ უმაღლეს ბუნებად, რასაც იგი ზნე-ჩვეულებებს და ადათ-წესებს უწოდებს. თუ პირის თვისებები შეესატყვისება ზნეობის მოთხოვნებს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ პირი თავის თავში ახორციელებს სათნოებას. რაკი სინამდვილეში ზნე-ჩვეულებანი ერთნაირი აქვს მრავალ ადამიანს, წარმოიქმნება ადამიანთა ერთობა, ანუ ადამიანთა გონი, რომლებიც საერთო კანონებით ცხოვრობენ. ამგვარ ერთობას ჰეგელი ხალხის გონს უწოდებს. ხალხის გონი, ამბობს იგი, შეადგენს თითოეული ცალკეული მოქალაქის სუბსტანციას. ხალხის გონს ჰეგელი „ცოცხალ მთელს“ უწოდებს, რომლის შენარჩუნებას იგი უკავშირებს ცალკეული ადამიანის არსებობას. ეს მთელი წარმოადგენს აგრეთვე საყოველთაო გონით ბუნებას, ანუ თითოეულის არსს, წინააღმდეგ მისი ერთეულებისა. საერთო ზნეობრივი არსი

44 Гегель. Работы разных лет. М., 1971. გვ. 199.

45 Гегель. Работы разных лет. М., 1971. გვ. 50.

46 იქვე.

წარმოადგენს ზოგადი მიზნით განსულიერებული ზნეობრივ-იურიდიული კავშირის ცოცხალ გონს. პირები ამ კავშირის წევრები არიან და ამ კავშირში პოულობენ თავიანთ კმაყოფილებას, ასე ყალიბდება სინამდვილე, რომელშიც მიიღწევა სუბიექტური სანყისის შეთანხმება ობიექტურ სანყისთან, ე. ი. ყალიბდება ადამიანთა კავშირები ანუ ერთობები, რომლებიც განსაზღვრულ მიზნებს ახორციელებენ და რომელთა მიმართ ადამიანებს განსაკუთრებული მოვალეობები აკისრიათ.

ჰეგელი გამოყოფს ადამიანის შემდეგ თვისებებს და მდგომარეობებს: 1) ადამიანს აქვს არსებითი განსაზღვრულობა – იგი არის ცალკეული ადამიანი; 2) იგი ეკუთვნის ერთგვარ ბუნებრივ მთელს – ოჯახს; 3). იგი არის სახელმწიფოს წევრი; 4) იგი ურთიერთობაშია სხვა ადამიანებთან საერთოდ. ამის მიხედვით ჰეგელი გამოყოფს ადამიანთა ოთხი ტიპის მოვალეობას: 1) მოვალეობანი საკუთარი თავის წინაშე; 2) მოვალეობანი ოჯახის წინაშე; 3) მოვალეობანი სახელმწიფოს წინაშე; 4) მოვალეობანი სხვა ადამიანების წინაშე. ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო წარმოადგენენ ზნეობრივი სანყისის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს.

ადამიანთა კავშირის პირველი ფორმა – ოჯახი, ჰეგელის მიხედვით, – ეს არის ადამიანთა ერთობა, რომელიც ეფუძნება ბუნებით მოცემულ ურთიერთობებს. ამ კავშირს ქმნის ბუნებრივი გრძნობა – სიყვარული. ჰეგელს მიაჩნია, რომ ოჯახი არსებითად ერთ სუბსტანციას შეადგენს, მხოლოდ ერთი პირია. ოჯახის წევრები არ წარმოადგენენ პირებს ერთმანეთის მიმართ. ისინი ამგვარ ურთიერთობაში შედიან მხოლოდ მაშინ, როცა მორალური კავშირი უბედურების გამო შეწყდა. ადამიანი, განათლებას რომ მიიღებს, იძენს მოქმედების უნარს. თუ ის ნამდვილად მოქმედებს, აღნიშნავს ჰეგელი, იგი აუცილებლობით იმყოფება ურთიერთობაში სხვა ადამიანებთან. პირველი აუცილებელი ურთიერთობანი, რომლებშიც ადამიანები შედიან სხვებთან, ეს არის ოჯახური ურთიერთობანი. ამ ურთიერთობებს, მართალია, სამართლებრივი მხარეც აქვთ, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან მორალურ მხარეს, სიყვარულისა და ნდობის პრინციპს. ასეთი შინაგანი განწყობა იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახის თითოეული წევრის არსი არ არის მისი პირი (იურიდიული აზრით), არამედ მხოლოდ ოჯახი, როგორც მთელი, წარმოადგენს პიროვნებას. ორი სხვადასხვა სქესის პირთა კავშირი, რომელსაც ქორწინება ჰქვია, ჰეგელის მტკიცებით, ეს უბრალოდ ბუნებრივი, ცხოველური კავშირი კი არაა და არც უბრალოდ სამოქალაქო ხელშეკრულება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი კავშირია, რომელიც აღმოცენდება სიყვარულისა და ნდობის საფუძველზე და მეუღლეებს ერთ პირად აქცევს. ცნობილია, რომ ქორწინებას, როგორც ხელშეკრულების პოზიციას ასაბუთებდა ლოკი თავის ნაშრომში „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“. ამას იზიარებდა კანტიც, რომელიც ქორწინებას უყურებდა, როგორც ხელშეკრულებას სასქესო ორგანოების ურთიერთგამოყენებისათვის და სქესობრივი გრძნობების დაკმაყოფილებისათვის. ამ შეხედულებას, შეიძლება ითქვას, სასტიკად აკრიტიკებს ჰეგელი. „არ შეიძლება ქორწინების შეყვანა ხელშეკრულების ცნების ქვეშ; ასეთი, უნდა ითქვას, სამარცხვინო შეყვანა მოცემულია კანტის მიერ მის „ზნეობათა მეტაფიზიკაში“.⁴⁷ სიყვარულს, როგორც ქორწინების საფუძველს, ზნეობრივ-იურიდიული მხარე სქესთა ბუნებრივ შეერთებას გადააქცევს გონით, ერთ ზნეობრივ პირად წარმომქმნელ კავშირად. ეს ერთიანობა ხილული, გარეგანი ხდება ბავშვებში, რომლებიც კავშირის მიზანს წარმოადგენენ. მიზნის მიღწევის შემდეგ, ბავშვების აღზრდით ოჯახი იშლება, რამდენადაც ბავშვები დამოუკიდებელნი ხდებიან და თითოეული ქმნის საკუთარ ოჯახს.

ოჯახი, ჰეგელის აზრით, წარმოადგენს ბუნებრივ საზოგადოებას იმიტომ, რომ 1) ოჯახის წევრად წარმოდგებიან არა თავიანთი ნებით, არამედ თავიანთი ბუნების ძალით;

2) ურთიერთობანი ოჯახის წევრებს შორის დაფუძნებულია არა იმდენად განსჯაზე და გადანყვებილებზე, რამდენადაც გრძნობაზე და სურვილზე. ეს ურთიერთობანი, ჰეგელის გააზრებით, არის აუცილებელი და გონიერი, მაგრამ ამავე დროს არ არსებობს ცნობიერი განხილვის ფორმა. ეს, მისი აზრით, უფრო ინსტინქტია. ოჯახის წევრების სიყვარული ერთმანეთის მიმართ იმას ემყარება, რომ ერთი მე შეადგენს სხვა ცალკეულ მე-სთან ერთგვარ ერთიანობას. ოჯახი ჰეგელს ესმის, როგორც ორგანული მთელი. მისი ნაწილები არიან არა ნაწილები, არამედ წევრები, რომელთაც თავისი სუბსტანცია მხოლოდ ამ მთელში აქვთ. ნდობა ოჯახის წევრებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული დაინტერესებულია არა თავისი გონებით, არამედ გულით. ბუნებრივი მორჩილება ოჯახის შიგნით ემყარება იმას, რომ ამ მთელში არსებობს მხოლოდ ერთი ნება, რომელიც ოჯახის მეთაურს ეკუთვნის. რაც შეეხება ოჯახის წევრთა მოვალეობას, მშობლების მხრივ იგი გამოიხატება ბავშვების გამოკვებაში და აღზრდაში, რომელშიც, უნდა ვიფიქროთ, ჰეგელი გულისხმობს მათ სოციალიზაციას; ბავშვების მოვალეობაში შედის მორჩილება, სანამ ისინი დამოუკიდებელნი არ გახდებიან, აგრეთვე მშობელთა პატივისცემა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე; დებისა და ძმების მოვალეობა საერთოდ ის არის, რომ ერთმანეთს მოეპყრონ სიყვარულით და უაღრესად სამართლიანად.⁴⁸ აქ ჰეგელი ხაზს უსვამს

47 Гегель. Философия права. М., 1990, гл.129.

48 Гегель. Работы разных лет. М., 1971. гл. 69.

ოჯახის ეთიკას, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც ზნეობრივი პრინციპების ერთიანობა, ოჯახის როგორც კავშირის შინაგანი საფუძველი. ოჯახის გაზრდის შემდეგ ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება. ჰეგელის ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, ეყრდნობა არისტოტელეს კონცეფციას, რომლის მიხედვით ადამიანთა ერთიანობის თავდაპირველი ფორმა არის ოჯახი; ოჯახი შემდეგ ერთიანდება თემად, თემების გაერთიანება კი არის სახელმწიფო, პოლისი.

სამოქალაქო საზოგადოება, ჰეგელის გაგებით, არის ადამიანთა, როგორც დამოუკიდებელ ერთეულთა კავშირი. მისი ძირითადი ელემენტია ცალკეული პიროვნება თავისი მოთხოვნილებებით და ინტერესებით. საერთო საწყისი აქ წარმოადგენს პიროვნული მიზნების განხორციელების საშუალებას. იქმნება კერძო ურთიერთობათა რთული ქსელი, რომელიც სამოქალაქო კავშირის არსს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ჰეგელი აქ იყენებს ცნებას „მოთხოვნილებათა საერთო სისტემა“, რომელსაც, მისი აზრით, მიყვავართ შრომის დანაწილებამდე, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს მდგომარეობათა განსხვავებას. იქმნება სხვადასხვა წოდებები. „ეს არის კონკრეტული განსხვავებები, რომელთა შესაბამისად ინდივიდები იყოფიან კლასებად. კლასები უპირატესად ეყრდნობიან სიმდიდრის, შემოსავლებისა და განათლების უთანასწორობას.“ ეს უთანასწორობა თავის მხრივ, ნაწილობრივ განპირობებულია წარმოშობის უთანასწორობით. უთანასწორობა განსაზღვრავს მათი საქმიანობის სფეროს,⁴⁹ პირველნი არიან მინათმოქმედნი, რომლებიც მოიპოვებენ ბუნების ნაყოფებს; მეორენი არიან მაფორმირებლები, ანუ მწარმოებლები: ხელოსნები, ფაბრიკანტები, ვაჭრები; მესამე, მისი განსაზღვრებით, არის საერო წოდება, რომელიც საზოგადოებრივ მიზნებს ახორციელებს. საერო წოდება, რომელიც ამ სისტემაზე ბატონობს, არის სამართალი, რომელიც იცავს თითოეულის შრომას და საკუთრებას. სამოქალაქო საზოგადოებაში სამართალი უკვე წარმოადგენს დადებით კანონს, რომლითაც დადგინდება ყველას მიერ აღიარებული ნორმები. ამის საფუძველზე პიროვნება და საკუთრება ღებულობს კანონიერ აღიარებას. სამოქალაქო საზოგადოებაში იქმნება კერძო გაერთიანებები ანუ კორპორაციები. თითოეული პირი ემხრობა წოდებას, თემს, ამქარს. პირი მათში პოულობს თავისი კერძო მიზნების უზრუნველყოფას და დახმარებას. კორპორაცია, ჰეგელის მიხედვით, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ზნეობრივ ელემენტს; ოჯახის შემდეგ იგი საზოგადოების მეორე საფუძველია. მაგრამ მისი ბუნება ისეთია, რომ იგი იზღუდება კავშირის კერძო ინტერესებით. ჰეგელი კორპორაციებს უწოდებს წვრილ ერთეულებს, რომელთაც ახასიათებს განკერძოებისაკენ მიდრეკილება და საკუთარ ვიწრო ჩარჩოში ჩაკეცვა. იმისათვის, რომ მათ შორის საერთო კავშირი შეიქმნას, ჰეგელი აუცილებლად თვლის მათზე უმაღლეს ზედამხედველობას, რომლის შედეგი იქნება ერთიანი საზოგადოებრივი მიზნის ჩამოყალიბება. ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს ყველა კერძო მიზანი. ეს ზედამხედველობა უნდა განახორციელოს, როგორც ჰეგელს აქვს წარმოდგენილი, ახალმა კავშირმა – სახელმწიფომ. სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო არის საზოგადოებრივი ერთიანობის და უპირობო საერთო მიზნის საფუძველი და წარმომადგენელი.

აქ ჩვენ არ შევხებით ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფოს სტრუქტურა, მმართველობის ფორმები, მთავრობა და მრავალი სხვა, რომელთაც ჰეგელი ვრცლად განიხილავს „სამართლის ფილოსოფიაში.“ მხედველობაში გვქენება მხოლოდ სახელმწიფოს არსისა და და დანიშნულების ჰეგელისეული გაგება, აგრეთვე სახელმწიფოსა და ინდივიდის ურთიერთობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში ყველაზე მეტ კრიტიკას იწვევს.

ბუნებრივი მთელი, რომელშიც ჰეგელი ოჯახს გულისხმობს, თანდათან გადაიქცევა ისეთ მთელად, როგორიცაა ხალხი და სახელმწიფო. სახელმწიფო ცალკეული ინდივიდისათვის წარმოადგენს რაღაც დამოუკიდებელ ნებას. ჰეგელის წარმოდგენით სახელმწიფო მიისწრაფის, ერთის მხრივ, იქითკენ, რომ ანგარიში არ გაუწიოს მოქალაქეთა ინდივიდუალურ განწყობას, რაკი მას სჭირდება დამოუკიდებელი გახდეს ცალკეული ადამიანების ნებისაგან. ამიტომ იგი ზუსტად მიუთითებს ცალკეულ ადამიანებს თავიანთ მოვალეობებზე, ე. ი. განსაზღვრავს თითოეულის მოვალეობას მთელის წინაშე. სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ ინდივიდუალურ განწყობილებას, რადგან ეს უკანასკნელი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს ინტერესებს. ამ გზაზე, აღიარებს ჰეგელი, სახელმწიფო გადაიქცევა მანქანად – გარეგან დამოკიდებულებათა სისტემად. სახელმწიფო არა მარტო კრავს საზოგადოებას სამართლებრივი ურთიერთობებით, არამედ იგი როგორც მორალური მხრივ ნამდვილად უფრო მაღალი არსება, ხელს უწყობს ზნე-ჩვეულებების, განათლების, აზროვნების და მოქმედებების ერთიანობას.⁵⁰ სახელმწიფო სრულიადაც არ ეყრდნობა პირდაპირ ხელშეკრულებას ცალკეულ ადამიანსა და მთავრობას შორის. მთელის საყოველთაო ნება არ გამოხატავს ცალკეული

49 იქვე, გვ. 204.

50 Гегель. Работы разных лет. М., 1971, гв. 69.

ადამიანის ნებას, არამედ იგი არის აბსოლუტური ნება, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის. ჰეგელისათვის სახელმწიფო, როგორც რაღაც საყოველთაო, წარმოადგენს ინდივიდის მიმართ დაპირისპირებას. იგი მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო შეესაბამება გონებას და რაც უფრო მეტად ეთანხმებიან ინდივიდები მთელის გონს. მოქალაქეების აზრთა და მოქმედებათა აუცილებელი წყობა სახელმწიფოს მიმართ მდგომარეობს არა მთავრობის ბრძანებებისადმი ბრმა მორჩილებაში და არა მოთხოვნაში, რომ თითოეულმა მისცეს თავისი ინდივიდუალური თანხმობა სახელმწიფოს სტრუქტურებზე და ღონისძიებებზე, არამედ სახელმწიფოს მიმართ ნდობაში და კეთილგონიერ მორჩილებაში მისადმი.⁵¹ მართალია, სახელმწიფო იცავს ცალკეული ინდივიდის საკუთრებას და ქონებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაცვალებების მდგომარეობაშია სახელმწიფოს მიმართ, როცა ინდივიდი მას ბრძოლით იცავს. „პატრიოტიზმი ემყარება არა ამ ანგარიშს, არამედ სახელმწიფოს აბსოლუტურობის ცნობიერებას“.⁵² ჰეგელის რწმენით, ასეთი სულიერი განწყობა, ანუ მზად ყოფნა, მოქალაქემ შენიროს თავისი ქონება და განიროს თავი მთელის გულისთვის, ხალხში უფრო მეტადაა, რაც უფრო მეტად შეუძლია ცალკეულ ადამიანს იმოქმედოს საკუთარი ნებით და დამოუკიდებლად, და რაც უფრო მეტ ნდობას განიცდის იგი სახელმწიფოსადმი. ამის მაგალითად ჰეგელს მოჰყავს „ბერძნების მშვენიერი პატრიოტიზმი.“ ჰეგელი აქ ერთმანეთს უპირისპირებს ბურჟუაზიას და მოქალაქეს. ყოველი მოწესრიგებული სახელმწიფოს მოქალაქის სათნოებად მას მიაჩნია მთავრობის განკარგულებისადმი მორჩილება, ერთგულება მეფის პიროვნებისადმი და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი, აგრეთვე ეროვნული ღირსების გრძნობა.

ოჯახის ბუნებრივი საზოგადოება, ამბობს ჰეგელი, ფართოვდება „საყოველთაო სახელმწიფოებრივ საზოგადოებად“, რომელიც წარმოადგენს კავშირს, აღმოცენებულს როგორც ბუნების, ისე თავისუფალი ნების წყალობით, და იმდენადვე ემყარება სამართალს, რამდენადაც მორალს, მაგრამ გამოდის ზოგადად და მთლიანად არა იმდენად როგორც ინდივიდებისაგან შემდგარი საზოგადოება, რამდენადაც თავის შიგნით ერთიანი, ინდივიდუალური „ხალხის გონი“, ⁵³ რომელსაც ზოგჯერ ჰეგელი ეროვნულ გონად თვლის. ზნე-ჩვეულებებს, კანონებსა და კონსტიტუციას ჰეგელი ხალხის გონის „შინაგან ორგანიზაციულ ცხოვრებას“ უწოდებს, რადგან მათში ხედავს მის არსს – მის ხასიათსა და დანიშნულებას.

ბოლოს, ჰეგელისათვის სახელმწიფო არის ზნეობრივი იდეის სრული განხორციელება, ზნეობრივი გონის ანუ ობიექტური გონების სინამდვილე. იგი უკვე აღარ წარმოადგენს სხვა მიზნების განხორციელების საშუალებას – იგი თავად არის აბსოლუტური მიზანი. ამიტომ მას აქვს უზენაესი უფლება ადამიანის მიმართ, რომელიც სახელმწიფოში აღწევს თავის უმაღლეს დანიშნულებას: ადამიანის უმაღლესი მოვალეობაა სახელმწიფოს წევრად ყოფნა. ამავე დროს სახელმწიფოში ადამიანი პოულობს თავისი თავისუფლებისა და თავისი უფლების უმაღლეს განხორციელებას. ჰეგელი სახელმწიფოში ხედავს ობიექტური და სუბიექტური საწყისების სრულ თანხმობას. მისი აზრით, ობიექტური საწყისი თავად გამომდინარეობს სუბიექტურისაგან, ანუ ნებისაგან, მაგრამ არა პიროვნული და შემთხვევითი ნებისაგან, როგორიცაა ხელშეკრულება. ჰეგელი აქ გულისხმობს კავშირის წევრების არსებით ნებას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს საფუძვლად ჰეგელი ხალხის გონს თვლის, რომელიც მოქალაქეებში ცოცხლობს და სახელმწიფოში უმაღლეს თვითცნობიერებას აღწევს.⁵⁴ სახელმწიფო აქ წარმოდგენილია როგორც შინაგანი ორგანიზმი, რომელშიც სახელმწიფოს იდეა განხორციელებულია. რაც შეეხება სახელმწიფოს იდეის იმმხარეებს, როგორიცაა: გარეგანი ურთიერთობები სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის და, ჰეგელის ტერმინოლოგიით, სახელმწიფოთა განვითარების ერთობლივ პროცესზე გაბატონებული საერთო გონი, ჩვენი აზრით, ეს მხარეები, როგორც პრობლემები, ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიას უფრო მიეკუთვნება, ვიდრე სამართლის ფილოსოფიას, ამიტომ, თემის ფარგლებიდან გამომდინარე, ამ საკითხების განხილვა ამჟამად აუცილებლად არ მიგვაჩნია.

კრიტიკის ობიექტი, ამ შემთხვევაში, იქნება არა მთლიანად ჰეგელის ფილოსოფია, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სამართალსა და სახელმწიფოს ეხება. ამასთან კრიტიკა არ უნდა გავიგოთ, როგორც აბსოლუტური მიუღებლობა და უარყოფა, არამედ კონცეფციაში დადებითი მომენტების ძიება. პირველი – ეს ეხება თავად სახელმწიფოს გაგებას. სახელმწიფოს ცნებას სხვადასხვა აზრით იყენებენ. სახელმწიფო ხშირად გაგებულია როგორც ინსტიტუტების ერთობლიობა; როგორც გეოგრაფიული ერთეული; როგორც იძულებისა და ჩაგვრის ინსტიტუტების ერთობლიობა; და როგორც ფილოსოფიური იდეა. რაც შეეხება თვალსაზრისებს, გამოყოფენ სამ ძირითად მიდგომას: 1) ფუნქციონალური მიდგომა, რომელშიც ძირითადი ყურადღება გადატანილია სახელმწიფოს როლსა

51 იქვე, გვ. 203.

52 იქვე.

53 იქვე, გვ. 70.

54 Гегель. Работы разных лет. М., 1971, гв. 203.

და მიზანზე. კერძოდ, სახელმწიფოს ძირითად ფუნქციად მიჩნეულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. თავად სახელმწიფო კი გაგებულია, როგორც ინსტიტუტების კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგსა და სტაბილურობას საზოგადოებაში; 2) ორგანიზაციული მიდგომა, რომლის თანახმად, სახელმწიფო არის მართვის აპარატი, ე. ი. ინსტიტუტების კომპლექსი, რომელსაც აქვს გამოსატყუი საჯარო ბუნება იმ აზრით, რომ ისინი პასუხს აგებენ საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზაციაზე და ფინანსდება სახელმწიფოს ხარჯზე. 3). იდეალისტური მიდგომა, რომლის ტიპიურ წარმომადგენლად მიაჩნიათ სწორედ ჰეგელის სამართლის ფილოსოფია, რომელშიც იგი მსჯელობს სახელმწიფოს შესახებ. ადამიანთა კავშირის იმ სქემაში (ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო), რომელიც ჰეგელმა წარმოადგინა, სახელმწიფო გაგებულია, როგორც ეთიკური გაერთიანება, რომელიც განმსჭვალულია საყოველთაო სიმპათიით. ამგვარი გაგების ნაკლად მიჩნეულია ორი რამ: 1). ჰეგელი, როცა სახელმწიფოს განსაზღვრავს ეთიკური კატეგორიებით, ნათლად ვერ გვიჩვენებს საზღვარს იმ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც სახელმწიფოს მიეკუთვნება და იმათ შორის, რაც მის ფარგლებს იქეთაა; 2). სახელმწიფოსადმი ამგვარი მიდგომა (იდეალიზმი) წარმოშობს არაკრიტიკულ დამოკიდებულებას, ანუ სახელმწიფოს გადმერთებას, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ეტატიზმში და სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობისა და ყოვლისუფლებიანობის რწმენაში. სწორედ ამის გამო აკრიტიკებენ ჰეგელს სხვადასხვა ფილოსოფიის წარმომადგენლები. ფიქრობენ, რომ სახელმწიფოსა და ინდივიდის ამგვარი დამოკიდებულება გამორიცხავს ადამიანის თავისუფლებას. „ჰეგელისათვის თავისუფლება არის შეგნებული მიღება და დამორჩილება აუცილებლობისადმი. თავისუფალი გაცხდებით, რამდენადაც ვცნობთ და მივყვებით ჩვენი საკუთარი ყოფიერების არსს: ობიექტური ნება და სუბიექტური ნება ურთიერთშერიგებადია და ქმნიან ერთიან უცვლელს“. ⁵⁵ ამ წინადადებების ავტორი ფიქრობს, რომ „კონტრა და ჰეგელმა შექმნეს კოლექტივიზმისა და გლობალიზმის ჰიბრიდი, რათა საზოგადოების მთელი ძალები წარმართონ ერთი, შეგნებულად არჩეული მიმართულებით“. იგი, კონტრთან ერთად, ჰეგელს მიიჩნევს „ლიბერტიციდის ისტორიკოსად“ და მათ იდეებს მიიჩნევს მომაკვდინებლად თავისუფლებისათვის. ⁵⁶ („ლიბერტიციდი“ ჯონ სტიუარტ მილის გამოთქმაა და ნიშნავს „მოკვდინებას“). ჰეგელის იდეალიზმი პოლიტიკური აზროვნების სფეროში პრინციპულად განსხვავდება კანტის იდეალიზმისაგან: კანტს, როდესაც სამართალზე და სახელმწიფოზე მსჯელობს, მხედველობაში არ აქვს ემპირიულად არსებული სამართალი ან სახელმწიფო, არამედ მათი იდეები, ანუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო და სამართალი ამ იდეების თანახმად. ჰეგელი კი მსჯელობს სამართლისა და სახელმწიფოს არსზე – იმაზე, როგორიც ის არის; კანტი გამოდის ჯერარსიდან, ჰეგელი – არსიდან.

ჰეგელი, კონტი და მარქსი ისტორიულ პროცესზე მსჯელობისას გულისხმობენ არა იმას, რომ ისტორიულ მოვლენებში არის რაღაც წესრიგი, არამედ იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია წინასწარ ვიცოდეთ და მიმართულება მივცეთ ამ მოვლენებს. ეს არის სწორედ სციენტიზმი, რომელსაც, ჰაიეკის აზრით, აუცილებლად ფატალიზმამდე მივყევართ. როგორც იგი ფიქრობს არის ორი ჯგუფი მოაზროვნეებისა, რომელთა იდეებმა პოლიტიკის ფილოსოფიაში ორი, ურთიერთდაპირისპირებული მიმართულება წარმოშვა. „იუმის, ვოლტერის, ადამ სმიტისა და კანტის იდეებმა წარმოშვეს ლიბერალიზმი XIX საუკუნეში, ხოლო ჰეგელის, კონტის, ფოიერბახისა და მარქსის იდეებმა წარმოშვეს XX საუკუნის ტოტალიტარიზმი“. ⁵⁷ ჰეგელის სახელს იგი უკავშირებს გვიანდელი ისტორიზმის წარმოშობას, ანუ რწმენას, რომ სოციალური პროცესი ხორციელდება გარდაუვალი სტადიების ფორმით.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიას ზოგჯერ უწოდებენ ტოტალიტარისტულ ფილოსოფიას. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ცენზურის გამო სამართლის ფილოსოფიაში გადმოცემული იდეები სრულად არ ემთხვევა ჰეგელის საკუთარ აზრებს. მოაზროვნეებისა და ახლობლების ვიწრო წრეში ჰეგელი გამოთქვამდა ლიბერალურ იდეებს. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ტოტალიტარიზმის მიმართ, ანუ მის ტოტალიტარიზმს, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება არ არის მთლად კორექტული. ჰეგელი მხარს უჭერს მის თანამადროვე გერმანულ სახელმწიფოს და მის გაძლიერებას ორი მიზეზის გამო: 1) ამას ხელს უწყობდა ისტორიული ფონი – მაშინ გერმანია დაქსაქსული იყო მრავალ სახელმწიფოდ, მისი იდეალი კი იყო გერმანიის ჩამოყალიბება ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ, რომელსაც იგი საკაცობრიო მიზანს უკავშირებდა; 2) მას აწუხებდა ნაპოლეონის ომების შემდეგ განადგურებული პრუსიის ბედი. გამოსავალს იგი გერმანიის მტკიცე პოლიტიკურ გაერთიანებაში ხედავდა. ჰეგელის დროს პოლიტიკურად შეგნებული გერმანელი მოქალაქეებისათვის მისაღები და არსებითად გონიერი იყო სახელმწიფოს გაძლიერების მიზანი. ჰეგელი იყო უდიდესი მოაზროვნე, მაგრამ იგი არ ყოფილა ყოვლის მცოდნე, ე. ი. მას არ შეეძლო განეჭვრიტა გერმანიის შემდგომი

55 Фридрих А. фон Хайек. Познание, Конкуренция и свобода. Пневма, 1999. გვ. 139.

56 იქვე, გვ. 140.

57 იქვე, გვ. 142.

განვითარების პროცესი და წინასწარ სცოდნოდა ის შედეგები, რომლებიც გერმანულმა ფაშიზმმა მოუტანა კაცობრიობას. ეს იდეალი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ავტორიტარული, მაგრამ არ შეიძლება ჩავთვალოთ იგი როგორც ტოტალიტარული და ფაშისტური, რასაც ზოგიერთები ბრალად უყენებენ ჰეგელს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ იგი მხარს უჭერს ძლიერ კონსტიტუციურ სახელმწიფოს და კატეგორიულად უარყოფს თვალსაზრისს, რომლის მიხედვით დიქტატორი უნდა მართავდეს ქვეყანას თავისი ახირების მიხედვით. მისი აზრით, კონსტიტუციურ მონარქს სრულიად არ სჭირდება ყველაფერში ჩარევა და ყველა საქმის წარმართვა. მან უნდა თქვას მხოლოდ „ჰო“ და დასვას წერტილი. აქ თავად მონარქის მდგომარეობა აქცევს მას სახელმწიფოს ჭეშმარიტ ორგანოდ. აქ, ჩვენი აზრით, ნათლადაა ჩამოყალიბებული კონსტიტუციური მონარქიის არსი. ჰეგელი არის ისეთი სახელმწიფოს მომხრე, რომელიც იმართება კანონისა და სამართლის მიხედვით, ფაშიზმი კი კატეგორიულად უარყოფს სახელმწიფოს მართვის კონსტიტუციურ ფორმას.

ჰეგელის ზოგიერთი კრიტიკოსი თვლის, რომ იგი არის „კონსერვატორი,“ რომელშიც უარყოფითი შინაარსი მოიაზრება. თუ კონსერვატორის ცნებაში მოვიაზრებთ არსებული მდგომარეობის (status quo-ს) შენარჩუნების მომხრეს, შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელი სრულიადაც არაა კონსერვატორი. შეფასებისათვის უნდა დავეყრდნოთ არა მის ცალკეულ გამოთქმებს, არამედ მისი ფილოსოფიის არსს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის განვითარების ფილოსოფია, განვითარება კი, ამ ფილოსოფიის თანახმად, მიმდინარეობს თვისობრივი ნახტომების გზით. ჩვენ, ასე ფიქრობს ჰეგელი, ყოველთვის არ შეგვიძლია შევინარჩუნოთ მმართველობის არსებული ფორმები, რადგან ყოველი არსებული ისტორიულ ცვლილებებს ექვემდებარება. ცვლილებები გარდუვალია, მაგრამ იგი არ არის ძველის აბსოლუტური უარყოფა. ყოველი არსებული მოხსნილი და შენახული სახით შენარჩუნდება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. თუ ჰეგელს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება იგი ჩავთვალოთ, როგორც ცვლილებების მომხრე, რადიკალი, რომელიც ფიქრობს, რომ ცვლილებები გამომდინარეობს თავად საგანთა ბუნებიდან, როგორც შინაგანი აუცილებლობა, და იგი ხდება გადასვლების გზით, როგორც პერმანენტული პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гегель. Философия права. М., 1990
2. Гегель. Работы разных лет. М., 1971
3. Гуннар Скирбекк, Нильс Гилъе. История философии, М., 2000
4. Фридрих А. фон Хайек. Познание, Конкуренция и свобода. Пневма

Irma Shioshvili

Hegel: Law and Government as Forms of an Objective Mind

Summary

In the work that follows, the author has concisely presented Wilhelm Hegel's political and legal views. The author attempts to demonstrate that Hegel favors a type of government that is ruled with law and justice, by a constitution. Fascism, however, as some tend to observe in Hegel's political philosophy, categorically denies any form of government's consitutional administration.

1006 – ფილოსოფიის მეცნიერებანი

გიორგი სიბაშვილი

ჰაინრიხ რიკერტის ობიექტივისტური აქსიოლოგია

ფილოსოფიის ისტორიაში ღირებულების ობიექტივისტური თეორიების უამრავი სხვადასხვაობა არსებობს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გერმანული ნეოკანტიანელობის ფრაიბურგის ფილოსოფიური სკოლის მთავარი წარმომადგენლის ჰაინრიხ რიკერტის ღირებულების თეორია.

რიკერტი ცდილობს შემოიტანოს ფილოსოფიის საგნის ახლებური, თავისი მასწავლებლის, ვილჰელმ ვინდელბანდისაგან განსხვავებული გაგება ნეოკანტიანურ ფილოსოფიაში. მისი აზრით, ფილოსოფიას სურს: „აქციოს თავისი კვლევის საგნად სამყარო მის მთლიანობაში“. /5.19/ ამ აზრს თავისებური კორექტივი შეაქვს ვინდელბანდის კონცეფციაში, რომლის მიხედვითაც სპეციალურმა მეცნიერებმა სინამდვილის ყველა სფერო დაინანილეს და ამდენად, ფილოსოფიას ეკისრება საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ღირებულებების კვლევა. „ფილოსოფია მისი აზრით არის კრიტიკული მეცნიერება აუცილებელ და ზოგადმნიშვნელობის მქონე ღირებულებების შესახებ..“

რიკერტის აზრით, ფილოსოფიის ინტერესის სფეროა „სამყარო, როგორც მთელი“. მაგრამ რადგანაც ფილოსოფია თავდაპირველად შეიცავდა ყველა მეცნიერებას, ამ მეცნიერებათა განვითარებისა და გაფართოების პროცესში ბუნებრივია, მისი ცნებაც უნდა შეცვლილიყო. „სამყარო, როგორც მთელი, ყოველთვის იყო ფილოსოფიის ძირეული და ნამდვილი საქმე, რა არის „სამყარო, როგორც მთელი“? იგი სხვა არაფერია, თუ არა „მე“ და „სამყარო“, ვინრო მნიშვნელობით, ანუ „სუბიექტი“, და „ობიექტი“, რომელთა მიმართებასა და ერთიანობაშია მოცემული ფილოსოფიის მთავარი პრობლემა. ფილოსოფიის ამოცანაა აჩვენოს, თუ როგორ ერთიანდებიან „მე“ და „სამყარო ერთიან ცნებაში“, „სამყარო, როგორც მთელი“. ფილოსოფიამ უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა.

რიკერტის აზრით, დასმული პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა არსებობს: თუ ამოსავალ მომენტად მივიჩნევთ ობიექტს და სუბიექტს ობიექტის სფეროში მოვათავსებთ, ამით მივაღწევთ სამყაროს ერთიანობას, რომელიც სამყაროში ყველაფერს, და მათ შორის სუბიექტსაც ობიექტად აქცევს. შეიძლება ამოვიდეთ სუბიექტიდან და ობიექტები მოვძებნოთ ყოვლისმომცველ მსოფლიო სუბიექტში. პირველ გზას შეიძლება ვუნოდოთ ობიექტივიზმი, მეორეს სუბიექტივიზმი.

ობიექტივისტური თვალსაზრისი გავრცელებულია იმ ფილოსოფოსთა შორის, წერს რიკერტი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან რომელიმე იმ სპეციალურ მეცნიერებაზე, რომელიც სამყაროს შეისწავლის, როგორც ობიექტებს. სხეულები რომ ობიექტებია, ეს თავისთავად ცხად დებულებად ითვლება. სხეულის გარდა არსებობს ფსიქიკა. თანამედროვე ფსიქოლოგია მასაც ობიექტად მიიჩნევს. სუბიექტი, როგორც ფსიქიკური პროცესების მეცნიერული აღწერა და ახსნა, ამ პროცესთა ობიექტივაციის გარეშე შეუძლებელია. სინამდვილე არსებობს ფიზიკური და ფსიქიკური სინამდვილის სახით, რომელთა გარდა: „ჩვენ არ ვიცით არავითარი სხვა არსებობა“/5.21/ მიიჩნევენ – ფიქრობს რიკერტი – რომ სინამდვილის ორი სახის – ფიზიკური და ფსიქიკური სინამდვილის განსხვავებაა სწორედ ის, რაც შეადგენს „სუბიექტ-ობიექტის“, ანუ „მე“ და „სამყაროს“ დაპირისპირებას. ობიექტივიზმის დასკვნა ასეთია: „სამყარო, როგორც მთელი“ სხვა არაფერია, თუ არა ობიექტების სამყარო, ობიექტების ერთობლიობა, რომელთაც მიეკუთვნება აგრეთვე სუბიექტიც, როგორც ფსიქიკურ პროცესთა ერთობლიობა. ობიექტივიზმისათვის ერთადერთი მეცნიერული ცნება სამყაროს შესახებ არის ობიექტების მიზეზობრივი კავშირის ცნება. ცხადია, ამავე კაუზალური მწკრივის სრულყოფილებიან ნევრად ითვლება სუბიექტიც.

როგორც ვხედავთ, რიკერტი ჯერჯერობით მხოლოდ გადმოგვცემს ობიექტივისტური ფილოსოფიის თვალსაზრისს და არ აფასებს მას. მისი აზრით ამას აკეთებს სუბიექტივიზმი, რომელიც სამყაროს ჭეშმარიტ არსებას ხედავს სუბიექტში. სუბიექტივიზმს მიაჩნია, რომ: „თავად მიზეზობრიობის კატეგორია შემეცნებელი სუბიექტის ფორმაა“/5.22/ სუბიექტივისტების აზრით სამყარო არსებობს სუბიექტისათვის; ობიექტური სინამდვილე, ობიექტების სამყარო მხოლოდ „მოვლენაა“, სამყაროს გარეგანი მხარეა, რომელსაც ობიექტურად ხსნიან, აღწერენ, ანდა წინასწარ განჭვრეტენ სპეციალური მეცნიერებანი. მათგან განსხვავებით ფილოსოფიური მეცნიერებისათვის სამყაროს ობიექტად გადაქცევა კი არ არის საჭირო, –ამ შემთხვევაში სამყაროს არსებობას ვერ ვწვდებით, –არამედ აუცილებელია უშუალო ჭვრეტა, ინტუიცია, ჩვენ თავში ჩაღრმავება. როგორც ვხედავთ სუბიექტივიზმი უთითებს სამყაროს სუბიექტურ საწყისზე. მისთვის მთავარია სუბიექტური მიზანსწრაფვა, სასიცოცხლო მოღვაწეობა, ნება და მოქმედება. იგი მათ

უბრალო ფსიქიკურ ფაქტებად განიხილავს. ობიექტივიზმი ძალით ჩართავს სუბიექტს ობიექტებში და ადამიანებს ავტომატებად, რობოტებად აქცევს. იგი უარყოფს ჩვენს პირად ცხოვრებას და ჩვენი „მეს“ აქტიურობას სუბიექტივიზმის სანინალმდეგოდ. სუბიექტივიზმი კი ებრძვის ყოველგვარ პასიურობას. მისთვის არ არსებობს მკვდარი საგნები, არსებობს მხოლოდ ცოცხალი მოქმედება.

რიკერტის მიზანია მსოფლმხედველობის შექმნა. დასმულ კითხვაზე, თუ რა არის მსოფლმხედველობა, იგი პასუხობს, რომ მსოფლმხედველობა სამყაროს მიზეზობრივ აუცილებლობის გაგებამდე არ დაიყვანება. მსოფლმხედველობის ძირითადი ფუნქცია რიკერტისათვის უფრო მაღალია. ის გვიხსნის „ჩვენ ცხოვრების საზრისს, ჩვენი „მეს“ მნიშვნელობის სამყაროში“/5.25/ მაგრამ საზრისი და დანიშნულება სხვა რამეა, ვიდრე სინამდვილე. საზრისის საკითხის დასმით ჩვენ ვეძებთ სამყაროსთან ჩვენი მიმართების ბოლო მიზანს. ეს არის პასუხი კითხვებზე: საით მივდივართ? რა არის ჩვენი არსებობის მიზანი? რა უნდა ვაკეთოთ? რიკერტის აზრით ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაცეს ფილოსოფიამ, როგორც მსოფლმხედველობამ და არა სპეციალურმა მეცნიერებმა, რომლებიც ვერასოდეს ვერ მოგვცემენ ჩვენი ცხოვრების საზრისის განმარტებას. ამ საკითხის გადაჭრას, რიკერტის აზრით, ვერ ახერხებს ობიექტივისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც სინამდვილის პრობლემის გარეთ არ გადის და სუბიექტსაც კი მიზეზობრივ რიგში ჩართავს: „ობიექტივიზმი გარდაქმნის სამყაროს სრულ ინდიფერენტულ სინამდვილედ“/5.26/ ამით ის ცხადია ჰკლავს იდეას ჩვენი ცხოვრების საზრისის შესახებ. რიკერტი ფიქრობს, რომ ფილოსოფიური ობიექტივიზმი „სამყაროს როგორც მთელის“ შესახებ, არის მტერი ჭეშმარიტი მსოფლმხედველობისა, რადგან სპობს ყოველგვარ პირად ცხოვრებას. იგი მხოლოდ ამწვავებს სამყაროს პრობლემას და აღრმავებს უფსკრულს ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის. ობიექტივიზმი ვერ გვაძლევს ცხოვრების საზრისის განმარტებას: „სამყარო, გაგებული, როგორც ობიექტი და სინამდვილე, დაცლილია საზრისისაგან“/5.27/

ობიექტივიზმის საფუძვლიანი კრიტიკული დახასიათების შემდეგ, თითქოს რიკერტის სიმპათია სუბიექტივიზმისაკენ უნდა იხრებოდეს. სინამდვილეში კი ობიექტივიზმის კრიტიკა სულაც არ ნიშნავს სუბიექტივიზმის აღორძინებას პირიქით, სუბიექტივიზმსაც მრავალ ნაკლს აღმოუჩენს იგი და მასაც ისევე უარყოფს, როგორც ობიექტივიზმს, რადგან ვერც სუბიექტივიზმი იძლევა ცხოვრების საზრისის განმარტებას მიუხედავად იმისა რომ იგი წინა პლანზე წამოსწევს ჩვენი „მეს“ აქტიურობას და სამყაროს განიხილავს როგორც ნებასა და მოქმედებას.

რიკერტის აზრით, სუბიექტივიზმიც არასრულყოფილია თუნდაც იმიტომ, რომ მისი გნოსეოლოგიური მსჯელობა დაფუძნებულია სამყაროს ობიექტთა აგაგიგებაზე უბრალო მოვლენასთან. ანდა რას წარმოადგენს თვითონ ის სუბიექტი, რომლისთვისაც არსებობს სამყაროს ობიექტები უბრალო სახით? რიკერტის აზრით, მსოფლმხედველობის შექმნისთვის ცოტას ნიშნავს სუბიექტის ნება და მოქმედება, რომელზედაც ლაპარაკობს სუბიექტივიზმი. მთავარია ის, თუ: „როგორია მიზნები და ამოცანები, რასაც უნდა ემსახურონ ეს ნება და მოქმედება“/5.29/ ამაზე კი სუბიექტივიზმი არაფერს ამბობს. ცხადია, რიკერტის მთავარი პრობლემა სულ სხვაა, ვიდრე სუბიექტივისტური ნება და მოქმედება. მთავარია ცხოვრების საზრისის ძიება, მისთვის უმთავრესია ისეთი მსოფლმხედველობის შექმნა, რომელიც გავცემს პასუხს სამყაროს მნიშვნელობის შესახებ და განმარტავს: „აქვს თუ არა ჩვენს ცხოვრებას ღირებულება და რა უნდა გავაკეთოთ, რომ იგი გახდეს ასეთი“/5.29/ რიკერტის აზრით, ამ მიზნის განსახორციელებლად ობიექტივიზმის მსგავსად არც სუბიექტივიზმი გამოდგება. სუბიექტივიზმის მთავარი არგუმენტი ობიექტივიზმის მიმართ ის იყო, რომ ეს უკანასკნელი სამყაროს აცლის ღირებულებას, მაგრამ ვერც თვითონ სუბიექტივიზმი სწვდება ღირებულებას. სამყარო, როგორც ნება და მოქმედება ისევე გაუგებარია ამ სფეროში, როგორც ობიექტების სამყარო. მთავარი შეცდომა სუბიექტივიზმისა, რიკერტის აზრით, ის არის, რომ სინამდვილეში სუბიექტის კატეგორიის გავრცელებით სურს სამყაროს მიანიჭოს საზრისი. ეს კი შეუზღუბლად მიაჩნია რიკერტს, რადგან: „ყოველსმომცველი მსოფლიო, „მეც“, შეიძლება იყოს ისეთივე მდაბალი და ყოველგვარ ღირებულებებს მოკლებული, როგორც ნებისმიერი ინდივიდუალური ადამიანური, ერთობ ადამიანური სუბიექტი, „როგორც ვხედავთ, რიკერტის მტკიცებით, ცხოვრების საზრისის პრობლემის გადანაცვლებას ვერც სუბიექტივიზმი გვაძლევს, თუმცა მან დადებითი საქმეც გააკეთა თუნდაც ობიექტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში – აჩვენა, რომ სუბიექტის ობიექტთან გათანაბრება არ შეიძლება.

ამრიგად, რიკერტი ასკვნის რომ ობიექტივისტური და სუბიექტივისტური მეთოდები ვერ სჭრიან მსოფლმხედველობის პრობლემას. ამის საფუძვლად რიკერტი მიიჩნევს მათ ძირეულ შეცდომებს–ისინი არ გადიან სინამდვილის, ყოფიერების ფარგლებს გარეთ. რიკერტის აზრით სამყარო არ დაიყვანება სიმანამდვილეზე. სინამდვილე უფრო ვიწრო სფეროა, მხოლოდ ერთი მხარეა სამყაროსი, მეორე მხრივ საქმე გვაქვს ღირებულების სფეროსთან: „ყოფიერების გარდა გვაქვს ღირებულებანი, რომელთა მნიშვნელობის გაგებაც გვსურს“/5.31/ ფილოსოფია მოძღვრებაა „სამყაროს, როგორც მთელის“ შესახებ. ეს უკანასკნელი კი მოიცავს ერთი მხრივ სინამდვილეს, ხოლო მეორე მხრივ ღირებულებებს: „მხოლოდ ყოფიერებისა და

ლირებულების ერთიანობა შეადგენს იმას, რაც იმსახურებს სამყაროს სახელს“/5.31/ მაშასადამე, სამყარო შედგება საუბიექტ-ობიექტისაგან, ანუ სინამდვილისაგან და ღირებულებისაგან, რომელიც თავისთავად სულ სხავ სფეროა, ვიდრე სინამდვილე. ღირებულება რიკერტის მტკიცებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ყოფიერების ხასიათის მქონე, ანდა მითუმეტეს მისი ნაწილი: „ღირებულება საპირისპიროდ ნამდვილი ღირებულებისა არ არის ამ უკანასკნელის ნაწილი“/5.31/ ამ აზრის ერთგვარი პარადოქსული ხასიათის განმუხტვისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით რიკერტი მიუთითებს კონკრეტულ მაგალითზე, რომლის ბუნებაშიც, მისი აზრით, შესანიშნავად სჩანს სინამდვილისა და ღირებულების მნიშვნელადი სფეროების ერთიანობისა და განსხვავებულობის თავისებურება. რიკერტის აზრით, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ზოგიერთ საგანს, მაგალითად ხლეოვნების ნაწარმოებს აქვს ღირებულება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავუერიოთ ეს ორი ცნება ერთმანეთში. ღირებულება აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ამ ნაწარმოებისაგან, ანდა საერთოდ ღირებული ობიექტისაგან, რომელიც შეიცავს ღირებულებას. „ზოგიერთი ობიექტები ფლობენ ღირებულებებს, ან უფრო ზუსტად, ზოგიერთ ობიექტში განხორციელებულია ღირებულებანი“/5.32/ ღირებულება, რომელიც მჟღავნდება სინამდვილეში, ცხადია არ არის ამ სინამდვილის იგივეობრივი და არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვევა მას. ამგვარი გამიჯვნის მიზნით, რიკერტი ღირებულებისაგან განსხვავებულ ღირებულ საგნებს „დოვლათს“ უწოდებს. რიკერტი მოითხოვს ღირებულების მკაცრ გამიჯვნას დოვლათისაგან. ღირებულება, რომელიც განხორციელებულია ღირებულ საგნებში, ე.ი. დოვლათში, ცხადია არ წარმოადგენს თვით ამ უკანასკნელის იდენტურს. რიკერტს მოჰყავს მაგალითი: „ყოველივე, რაც რაიმე სურათში სინამდვილეს ეკუთვნის—ტილო, საღებავი, ლაქი, არ წარმოადგენს ღირებულებებს, რომლებიც მათთანაა დაკავშირებული“/5.32/ მაშასადამე, ღირებულება დოვლათში ვლინდება, მასშია დალექილი, დოვლათში მჟღავნდება მნიშვნელობის სახით. იგი ღირებულ საგნებში, დოვლათში განხორციელებული, ღირებულ ობიექტებში გამოიჟღავნებული, მასში გაკრისტალებული არარსებული, მაგრამ მნიშვნელობის მქონე სფეროა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ატარებს რეალური სინამდვილის ხასიათს.

ღირებულება, რიკერტის აზრით, ღირებულ ობიექტებში, დოვლათშია მოცემული, მაგრამ იგი მაინც დაკავშირებულია სუბიექტთან, რომელიც დოვლათის შეფასებას იძლევა: „ღირებულება, როგორც ჩანს, მაინც დაკავშირებულია ობიექტის შემფასებელ სუბიექტთან“/5.32/ რიკერტის ყურადღება ამჯერად უკვე გადაინაცვლებს ღირებულების სუბიექტთან ამიტომ გვევლინება დოვლათად, ფიქრობს რიკერტი, მაგალითად, მხატვრის ტილო ან მუსიკა ნაწარმოებად, რომელთაც გაჩნიათ ჩვენთვის ესთეტიკური ღირებულებანი, რომ მას ღირებულებას ანიჭებს შემფასებელი სუბიექტი, ე.ი. სუბიექტი, რომელიც იძლევა მის შეფასებას? რიკერტი გვაფრთხილებს, რომ საჭიროა მტკიცედ დავიცვათ თავი ამგვარი შეცდომისაგან, ისევე როგორც ეს გავაკეთეთ ღირებულებისა და დოვლათის გამიჯვნის შემთხვევაში.

რიკერტის აზრით, არ არის სწორი იმ ფილოსოფოსთა თვალსაზრისი, რომელნიც იცავენ შეხედულებას ღირებულებისა და შეფასების იგივეობის შესახებ. რიკერტი კატეგორიულად მოითხოვს ამ ცნებათა ერთმანეთში აღრევის საშიშროებისაგან თავის დაზღვევას. ღირებულება მკვეთრად განსხვავდება შემფასებელი სუბიექტის მიერ წარმოებული შეფასების ფსიქოლოგიური აქტისაგან, მსჯელობს რიკერტი, შეფასების პროცესი რეალურად არსებობს სინამდვილეში, ის დროშია. ეს ნიშანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ღირებულების არსებული, მაგრამ მნიშვნელობის მქონე სფეროს როგორც დამახასიათებელი თავისებურება. რიკერტი კრიტიკის თვალთ უყურებს იმ ფილოსოფიურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, სინამდვილე იქცევა დოვლათად, მაგალითად ხლეოვნების ნაწარმოებად, მუსიკად, ან სკულპტურის რაიმე ნიმუშად მხოლოდ მაშინ, თუ შემფასებელი სუბიექტი მიანიჭებს მას ამა თუ იმ ღირებულებას. ამ კონცეფციის მიხედვით ღირებულება გაიგივდება შეფასების პროცესთან. ღირებულების დაყვანა შეფასების ფსიქოლოგიურ აქტზე, ან მისი მიჩნევა ფსიქიკურ პროცესად, ღირებულების სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისის აღორძინებაა, რაც ესოდენ მიუღებელია რიკერტისათვის. ასეთ შემთხვევაში ღირებულება ხდება სინამდვილის, კერძოდ კი ფსიქიკური სინამდვილის ნაწილი. პრობლემის ასეთი გადაწყვეტა, ცხადია, ხელს არ აძლევს რიკერტის აქსიოლოგიურ ნაზრევს; ღირებულება არ შეიძლება ემთხვეოდეს სინამდვილის არც ფიზიკურ და არც ფსიქიკურ სახესხვაობებს. მაშასადამე, ღირებულება არ არის შეფასების ფსიქოლოგიური აქტი და ამდენად ღირებულების თეორიაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიის ნაწილად. ამ აზრით, რიკერტს მიაჩნია, რომ ანგარიში გაუსწორა სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგიურ თეორიებს, რომელთა ძირითად შეცდომას ღირებულებებისა და შეფასების ცნებათა იდენტურობაში ხედავდა. რიკერტი ეწინააღმდეგება რა ასეთ გაიგივებას, ამავე დროს მიაჩნია კიდევ, რომ: „ღირებულებანი ყოველთვის დაკავშირებულნი არიან, შეფასებასთან, მაგრამ რადგანაც მხოლოდ დაკავშირებულნი არიან, სწორედ ამიტომ არ შეიძლება მათი გაიგივება ნამდვილ, რეალურ შეფასებასთან“/5.33/ ამგვარი მსჯელობის ერთგვარი პარადოქსულობა მოიხსნება რიკერტის მიერ შეფასების აქტისა და ღირებულებათა

მიმართ მიყენებული არსებობა-არსებობის ცნებათა მეშვეობით, რის შედეგადაც ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ღირებულებისა და შეფასების თავისებური მიმართება ურთიერთშორის, სულაც არ ნიშნავს მათ იდენტურობას, არამედ მათ შორის მხოლოდდამხოლოდ გარკვეული კავშირის ასებობას. ღირებულება სრულიად სხვა სფეროს კუთვნილებაა, ვიდრე შეფასების რეალური, ფსიქოლოგიური პროცესი; ამ უკანასკნელის შესახებ საკვებით ლოგიკურია არსებობა-არარსებობის ნიშნით მსჯელობა. რაც შეეხება ღირებულების პრობლემას, მასზე ასეთი კითხვის დასმა უაზროა. ღირებულების შესახებ ვერ ვიტყვით იგი არსებობს თუ არა, ანდა თუ ვიტყვით, ამას არავითარი აზრი არ ექნება, რადგანაც: „ღირებულების პრობლემა მნიშვნელობის პრობლემაა და ეს საკითხი არავითარ შემთხვევაში არ ემთხვევა შეფასების აქტის არსებობის საკითხს“/5.33/ რიკერტის აზრით, რომელიმე მეცნიერული დებულების თეორიული ღირებულება, ე.ი. ამ დებულების ჭეშმარიტება განსხვავდება ამავე დებულების შეფასების აქტისაგან. ის ფაქტი, რომ რაიმე დებულება ყველას მიერ შეფასებულია ჭეშმარიტებად, ცხადია, ჯერ კიდევ არ იძლევა ამ დებულების ჭეშმარიტობის გარანტიას. და, პირიქით, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ჭეშმარიტებები მნიშვნელობის მქონენი არიან მიუხედავად შესაბამის შეფასების არსებობა-არარსებობისა.

ამრიგად, ღირებულება არ უნდა გავეუიგიოთ არც შეფასებას და არც დოვლათს. ამ უკანასკნელს, ისევე როგორც პირველს, არსებობის რეალური ფორმა გააჩნია. შეფასებისთვის დამახასიათებელია არსებობის ფსიქიკური ფორმა, დოვლათის, როგორც ღირებული ობიექტის რეალური არსებობა კი, მითუმეტეს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ღირებულება არ ემორჩილება არსებობის არც რეალურ არც ფსიქიკურ ფორმას. ღირებულებისათვის არავითარი აზრი არა აქვს არავითარ არსებობას. ღირებულებანი არ ეკუთვნიან არც სუბიექტებს და არც ობიექტებს, ისინი ქმნიან თავისთავად, სუბიექტისა და ობიექტისაგან სრულიად დამოუკიდებელ, სინამდვილისაგან განცალკევებულ სამეფოს. ღირებულება, როგორც სამყაროს საზრისის მიმცემი და ყოველგვარი ადამიანური მოქმედების საფუძველი, სინამდვილის იმმხარეული და „ზედროულვრცეულად“ მნიშვნელადია. იგი ყოველგვარ არსებობაზე ამაღლებული ერთგვარი ზეარსებულია.

ამრიგად, სამყარო შედგება სინამდვილისა და ღირებულებებისაგან. სუბიექტები და ობიექტები სამყაროს ერთი ნაწილია, კერძოდ კი სინამდვილეა, ხოლო მეორე საპირისპირო ნაწილი ღირებულებებია, რომლებიც არ არსებობენ სინამდვილეში. ღირებულებანი არ მიეკუთვნებიან არც სუბიექტებს და არც ობიექტებს. დოვლათი და შეფასება კი სხვა არაფერია, თუ არა ღირებულებათა შეერთება სინამდვილესთან. ღირებულების შეერთება-დაკავშირება სუბიექტის მხრიდან განხილული შეფასებაა, ხოლო ობიექტის მხრიდან, დოვლათი. ამ ორივე სფეროს კვლევა სპეციალურ მეცნიერებათა კომპეტენციაში შედის. ფილოსოფიას არ ეხება არავითარი სინამდვილისეული პრობლემის კვლევა: „ფილოსოფია იწყება იქ, სადაც იწყება ღირებულების პრობლემა“/5.37/ მაგრამ ფილოსოფიის პრობლემაა „სამყარო, როგორც მთელი“. ეს უკანასკნელი თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისაგან, სინამდვილის ანუ სუბიექტ-ობიექტისაგან და ღირებულებებისაგან. ფილოსოფიის პრობლემა სწორედ ამ ორი განსხვავებული სფეროს სინამდვილისა და ღირებულებების ურთიერთმიმართებებისა და ერთიანობის პრობლემაა.

ლიტერატურა:

1. Heinrich Rickert - Die Grenzen der naturwissenschaftlichen Begriffsbildung (Tubingen, 2007)
2. Heinrich Rickert - Die Philosophie des Lebens (Tubingen, 2007)
3. Heinrich Rickert - Der Gegenstand der Erkenntnis (Tubingen, 2005)
4. К.Бакрадзе – Очерки по истории новейшей и современной философии, Тб,604.
5. К.Бакрадзе – Очерки по истории новейшей и современной философии, Тб,60.
5. კ. ბაქრაძე – რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ტ.III (თბილისი, 1985)
6. გ. თევზაძე – გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია (თბილისი, 1968)
7. ე. კოდუა – ისტორიის ფილოსოფია (თბილისი, 1966)

Giorgi Sibashvili

Objective axiology of Heinrich Rickert

Summary

A typical example of objective o axiology of value is the philosophy of famous German philosopher, a representative of neonate school of Freiburg Heinrich Rickert. The basic concept of his theory is the value: “Philosophy begins where the problem of the value arises., Though to his opinion “philosophy wants to establish the world in a whole as the main subject of its study. The world as a whole consists of reality i.e. subject/objects and values.

1006 – ფილოსოფიის მეცნიერებანი

გიორგი სიბაშვილი

ღირებულების არსება

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე მეცნიერული ბჭობის დროსაც, ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ღირებულებაზე, ღირებულ საგნებზე. რაიმე ნივთის შესახებ ხშირად გვსმენია, რომ მას არავითარი ღირებულება არ გააჩნია, ან და პირიქით, ვამბობთ, რომ ესა და ეს ნივთი ღირებულია, მას გააჩნია უდიდესი ღირებულება და აშ. იგივე ითქმის ხელოვანის (მხატვრის, მწერლის, პოეტის თუ სკულპტორის) მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც საყოველთაო ყურადღებისა და კრიტიკული განხილვის საგანი გამხდარა. ასევე ხშირად გვესმის მსჯელობა „ღირებულებითი ორიენტაციის“ შესახებ, ანდა „ღირებულებათა გადაფასებაზე“, ძველი ღირებულებების შეცვლისა და მათ ნაცვლად ახალი ღირებულებების დამკვიდრების შესახებ. ისმება კითხვა: რა იგულისხმება ცნებებში „ღირებულება“, და „ღირებული“,? რას ნიშნავს, როდესაც ამტკიცებენ, რომ ესა და ეს საგანი ღირებულია, რომ მხატვრის მიერ შექმნილ ტილოს უმაღლესი ღირებულება გააჩნია. ან პირიქით, სულ არა ააქვს არავითარი ღირებულება? სად, ან როგორ, რა ფორმით არსებობს ჩღირებულება? ვინ, ან რა ქმნის ღირებულებას? იქნებ ღირებულება თავისთავად არსებობს იმავე ფორმით, რა ფორმითაც არსებობენ ობიექტური რეალობის მქონე საგნები? ან იქნებ მას არსებობის სულ სხვა, ობიექტური რეალობისაგან განსხვავებული ფორმა გააჩნია? რა ძალით არსებობს ღირებულება, რა ძალა ანიჭებს საგანს ღირებულებას? იქნებ ეს ძალა ღვთაებრივი ძალაა და ღირებულებაც ღვთაებრივი წარმოშობისაა. ან იქნებ საქმე უფრო მარტივადაა. შემოქმედი (მხატვარი) ქმნის საგანს და საგანთან ერთად ქმნის ღირებულებასაც?

ამგვარი კითხვები ხშირად იბადება ღირებულ საგნებზე მსჯელობის დროს და ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაცეს ღირებულების თეორიამ, აქსიოლოგიამ.

ღირებულების არსების ნათლად წვდომის მიზნით მიზანშეწონილია სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების ორი სხვადასხვა პოზიციის, – შემეცნებითი და შეფასებითი პოზიციების – განხილვა.

შემეცნების მიზანია ჭეშმარიტების მიღწევა, რაც გამოიხატება სამყაროს საგანთა ადეკვატურ ასახვაში, სამყაროს მოვლენათა კანონზომიერების დადგენაში ადამიანის, შემეცნებელი სუბიექტის მიერ. ადამიანისთვის სამყაროს საგანთა არსების, კანონის წვდომა ურთულესი საქმეა, რადგან კანონი გრძნობადად მოცემული არ არის. ობიექტური რეალობის მქონე სამყაროს ფენომენთა შემეცნება იწყება გრძნობადი საფეხურით, ადამიანის შეგრძნებებითა და აღქმით, ცოცხალი განჭვრეტით. შემეცნებული სუბიექტი, შემეცნების საგანს უპირველეს ყოვლისა გრძნობის ორგანოების საშუალებით უკავშირდება. შემეცნების გრძნობადი საფეხური ჯერ კიდევ არ იძლევა კანონთა თეორიულ ახსნას. შემეცნების მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე მიიღწევა სამყაროს შინაგანი კანონების ცოდნა. ამრიგად, შემეცნების დროს შემეცნების სუბიექტი, ადამიანი ასახავს შემეცნების საგანს, ობიექტურ სინამდვილეს და ამით ჩვენს ცნობიერებას ამდიდრებს ახალი ცოდნით. შემეცნება არის ადამიანის მიერ ფაქტიური ვითარების დადგენა ისე, რომ მასში არა ჩანს ადამიანის, სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტურად არსებული ფენომენებისადმი. სუბიექტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფაქტიური ვითარების გარეთ არ იყურება. იგი ფაქტებს ასახავს ადეკვატურად. ამ შემთხვევაში სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი, მისი, ასე ვთქვათ ყოველგვარი „თვითნებობა“, გამორიცხულია.

სამყაროსადმი ადამიანის შეფასებითი დამოკიდებულების დროს კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. შეფასებაში, ისევე როგორც შემეცნებაში, საჭიროა სუბიექტ-ობიექტის, ადამიანისა და სამყაროს ფენომენთა ურთიერთმიმართება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს მიმართება იქნება შეფასებითი და არა შემეცნებითი. შეფასების დროს სუბიექტი შემეცნებელი სუბიექტია, ხოლო ობიექტი შეფასების საგანი. მათ შორის მიმართება კი შეფასებითი მიმართებაა, რაშიც მთავარია ის, თუ როგორია საგანი სუბიექტისთვის. შეფასების საგანი სუბიექტისთვის ღირებული საგანია, მას გააჩნია ღირებულება ადამიანისთვის. შეფასებაში მთავარია არა ფაქტიური ვითარების დადგენა, როგორც ეს შემეცნების პროცესში ხდებოდა, არამედ სუბიექტისთვის საგნის ღირებულების, მისი მნიშვნელობის გაგება ამა თუ იმ თვალსაზრისით. შემეცნებელი სუბიექტი შემეცნების აქტის განხორციელების შედეგად ასახავს რა შემეცნების საგანს ადეკვატურად, ამით გვაძლევს სინამდვილის შესახებ ჩვენი აზრის ისეთ შინაარსს, რომელიც მხოლოდ შემეცნების საგანზე საუბრობს. შემეცნების

მიზანი ჭეშმარიტების მიღწევას, შეფასების მიზანი კი ღირებულების წვდომაა. თუ შემეცნებითი მსჯელობისათვის დამახასიათებელია მხოლოდ საგნობრივი, ფაქტიური ვითარების ასახვა და ის ყურადღებას არ აქცევს არავითარ სუბიექტურ, პრაქტიკულ-ნებელობით მომენტს, შეფასებითი მსჯელობისათვის, რომელსაც ღირებულებით მსჯელობასაც უწოდებენ, მთავარი სწორედ ეს სუბიექტური, პრაქტიკულ-ნებელობითი მომენტია. ღირებულებითი მსჯელობისთვის მთავარი სწორედ ისაა, თუ როგორია საგანი სუბიექტისთვის: მოსაწონია თუ არ არის მოსაწონი, კარგია თუ ცუდია. ერთი სიტყვით, შემფასებელი სუბიექტისთვის მთავარია საგნის განხილვა მოწონება-დანუწების, მიღება-უარყოფის თვალსაზრისით. შეფასებით ანუ ღირებულებით მსჯელობაში, შემფასებელ სუბიექტს შეფასების საგანში მოსწონს დადებითი ღირებულება და არ მოსწონს უარყოფითი ღირებულება. შემფასებელი სუბიექტი შეფასების საგანში სწვდება ღირებულებას.

ადამიანი ღირებულებას იწონებს ან იწუნებს საგანში. ამდენად ღირებულება ყოველთვის „რაიმეს“, ღირებულებაა, ღირებულება საგნის ღირებულებაა, მაგრამ ღირებულების შესახებ ჩვენ ვერაფერს გავიგებთ, თუ არ არსებობს საგნის შემფასებელი სუბიექტი, ადამიანი, ის ვისთვისაცაა რაიმე ღირებული. ამდენად ღირებულება არ არსებობს ადამიანის, სუბიექტის, „ვინმეს“ გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს იგი საგნის გარეშე. ღირებულება შემფასებელი სუბიექტისა და შესაფასებელი საგნის შორის ურთიერთობის გამოხატულებაა. ღირებულება ადამიანსა და საგანს შორის თავისებურ მიმართებას გამოხატავს, ის შემფასებელსა და შესაფასებელს შორის შეფასებითი მიმართების აღმნიშვნელია.

ასეთი მსჯელობის მიხედვით ჯერჯერობით მხოლოდ ის დადგინდა, რომ ღირებულება ყოველთვის არის, როგორც „რაიმეს“, ისე „ვინმესთვის“ ღირებულება. კი მაგრამ, რა ძალით აქვს საგანს ღირებულება? რა ძალა აძლევს საგანს ღირებულებას? იქნება საგანი იმიტომაცაა ღირებული, რომ მე, სუბიექტს, მომწონს ან არ მომწონს საგანი? ე.ი. საგნის ღირებულება დამოკიდებულია ჩემს მოწონება-დანუწებაზე? ან იქნებ პირიქითაა, საგანი მე მომწონს, ან არ მომწონს სწორედ იმიტომ, რომ მას გააჩნია ღირებულება თვითონ, თავისთავად ობიექტურად და ჩემი მოწონება-დანუწების ალტერნატივა სწორედ მისგან მომდინარეობს? როგორია საქმის ვითარება? საგნის ღირებულება განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით და იგი წმინდა სუბიექტური წარმონაქმნია, სუბიექტის მიერაა შეტანილი საგანში, თუ ღირებულება ყოველგვარ ცნობიერებამდე არსებობს ობიექტურად? ამგვარი ინტერპრეტაციების სხვადასხვაობა ღირებულების თეორიაში ცნობილია სუბიექტივისტურ და ობიექტურ იდეალისტურ აქსეოლოგიათა სახელწოდებით.

სუბიექტივისტური აქსიოლოგიური კონცეფციები, უპირველეს ყოვლისა, ერთი თავისებური მომენტიტით ხასიათდება, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი სუბიექტივისტური კონცეფცია, თუ მას სურს ასეთად დარჩეს. ეს ტიპური მომენტი გამოიხატება შემდეგში: ღირებულება ამ ტიპის მოძღვრებაში ხასიათდება, როგორც სუბიექტით განსაზღვრული. სუბიექტივიზმი თვლის, რომ ღირებულების წყარო სუბიექტია, – ცალკეული ადამიანია, ანდა ადამიანთა ჯგუფია, კლასია, ადამიანთა ერთობლიობაა. სუბიექტივიზმი ღირებულების თეორიაში სხვა არაფერია, თუ არა მტკიცება იმის, რომ ღირებულება, რომელიც შეფასების აქტში გვეძლევა, სუბიექტის მიერ არის დადგენილი და მთლიანად მას ექვემდებარება. ამგვარი გაგებით ღირებულება შემფასებელი სუბიექტის სულიერი განწყობილების, მისი ნება-სურვილების გამოხატულებაა. ღირებულება სუბიექტივისტური თეორიების მიხედვით ფსიქიკური ფენომენია და მას რეალობის ფსიქიკური ფორმა შეესაბამება. სუბიექტივიზმის მიხედვით ღირებულია, რაც მსურს მე, ღირებულია ის, რაც მომწონს, რაც სიამოვნებას მანიჭებს. საწინააღმდეგოდ ამისა კი, ის, რაც არ მომწონს, რაც არ მსურს და რაც არ სიამოვნებს, არაა ღირებული.

ღირებულების თეორიაში სუბიექტივიზმი ორიენტაციას იღებს რა ადამიანის ფსიქოფიზიკურ თავისებურებაზე, ცდილობს კიდეც ღირებულების ახსნას და მის დასაბუთებას სწორედ სუბიექტის ფსიქოფიზიკური ორგანიზაციით. სუბიექტივისტური აქსიოლოგიის მიხედვით ღირებულება სუბიექტის ფსიქოფიზიკური სტრუქტურიდან ამოდის, მას ეფუძნება, მთლიანად დამოკიდებულია შემფასებელ სუბიექტზე. შემფასებელი სუბიექტი შეფასების პროცესში ქმნის ღირებულებას. ღირებულება იბადება შემფასებელი სუბიექტის შეფასების აქტებში, სუბიექტის შეფასებაზე, შეფასების ფსიქოლოგიურ პროცესზეა დამოკიდებული. სუბიექტივიზმის თანახმად ღირებულება მთლიანად კონსტიტუირდება სუბიექტურ-ფსიქიკური პროცესით, სუბიექტის შეფასების ფსიქოლოგიური აქტით. სუბიექტივისტური გაგებისათვის მთავარია შეფასება, შეფასების პროცესი, სუბიექტის შეფასების ფსიქოლოგიური აქტი.

სუბიექტივიზმი ეფუძნება სუბიექტის ფსიქოფიზიკურ ორგანიზაციას, ადამიანის ფსიქიკურ და ბიოლოგიურ სტრუქტურას და ცდილობს ღირებულება წარმოაჩინოს ადამიანის ფსიქოლოგიური, ან ბიოლოგიური თავისებურების მიხედვით. ამგვარი ახსნა არასწორია, რადგან ღირებულება არა არის არც ფსიქოლოგიური და მითუმეტეს არც ბიოლოგიური ბუნების. ღირებულება არ შეიძლება

ამოდიოდეს ადამიანის ფსიქოფიზიკური, სუბიექტის ბიოლოგიური, ან ფსიქოლოგიური ბუნებიდან. ღირებულების რაობა, ღირებულების არსება თავისთავად სხვაა ამ ორი ვითარებისაგან, როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქიკური მდგომარეობისაგან სრულიად განსხვავებულია. ღირებულებას არ გააჩნია არსებობის მათნაირი ფორმა, იგი არ ემორჩილება არსებობის არც ფიზიკურ-ბიოლოგიურ და არც ფსიქიკურ ფორმათათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. მაგალითად, მას არ შეიძლება მივაწეროთ ვრცეული და დროითი დახასიათებები. ღირებულების მნიშვნელობა არ არის „აქ“, და „ახლა“: სამართლიანობის ცნობიერება დროშია, მაგრამ უაზრობაა დროში არსებულად ჩავთვალოდ თავად სამართლიანობა. ღირებულებას შეესაბამება მხოლოდ იდეალური არსებობა, რომელიც ძირეულად განსხვავდება არსებობის როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ფორმისაგან. სწორედ ასეთი იდეალური არსებობა გააჩნია ღირებულებას. ღირებულება იდეალურია, მაგრამ რეალობისაგან, სინამდვილისაგან გათიშული არაა. პირიქით! იგი რეალურ სინამდვილეზეა მიმართული. ღირებულება რეალობასთან კავშირშია, მათ შორის ტელეოლოგიური, ანუ მიზნობრივი კავშირი არსებობს. ღირებულება უპირველეს ყოვლისა ადამიანისთვის არსებობს, იგი „ვინმესთვის“, სუბიექტისთვის, ადამიანისთვისაა დანიშნულების მქონე: „ღირებულებებს აზრი აქვთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობენ გონითი არსებანი-ადამიანები“. ღირებულება მიმართულია ადამიანებისაკენ, სუბიექტისაკენ და ითხოვს განხორციელებას, რეალობად ქცევას. ადამიანს, როგორც გონით არსებას, ესმის ღირებულებათა „მოწოდება“, რომელიც საბოლოო აზრით ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი უმაღლესი არსებობის, მისი დანიშნულების, ადამიანური არსებობის უმაღლესი დანიშნულების მიზნით არის განპირობებული. ღირებულებათა ამგვარი იდეალური არსებობა არ ესმით სუბიექტივისტური აქსიოლოგიის წარმომადგენლებს, მათთვის საფუძველთა საფუძველი სუბიექტია და ამდენად მხოლოდ სუბიექტით იფარგლებიან. სუბიექტივისტი ფილოსოფოსი ცდილობს არ გავიდეს სუბიექტის გარეთ და ყოველმხრივ თავსდება სუბიექტისა და შეფასების სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ პროცესში. სუბიექტივისტური აქსიოლოგია არ გამოყოფს ღირებულებას შეფასების ფსიქოლოგიური აქტისაგან, შეფასებისაგან. სუბიექტივისტურ აქსიოლოგიაში ღირებულება უიგივდება შეფასებას და ამით ღირებულებას ეცლება ობიექტური საფუძველი. იგი მთლიანად სუბიექტზე, მის შეფასებაზე ფუძნდება და კარგავს ობიექტურობის სტატუსს. ამგვარი თვალსაზრისი განსაკუთრებით საშიშია ეთიკურ სფეროში, რადგანაც ის ყველაფერს დასაშვებად თვლის.

ღირებულებისა და შეფასების იდენტურობის აღიარება ზიანის მომტანია პირველ რიგში იმიტომ, რომ ის მხედველობიდან უშვებს ფაქტიურ ვითარებას, ამახინჯებს თავად ფენომენს – ღირებულებას, ფსიქოლოგიზმის ტყვეობაში ექცევა. ფსიქოლოგიის ჭეშმარიტი საზღვრები არ გადის ფსიქიკური პრინციპების პროცესების გარეთ და ამდენად, ფსიქოლოგიას არაფერი ესაქმება არც ლოგიკურ-იდეალურ და არც გნოსეოლოგიურ სფეროში.

ფსიქოლოგიზმის კრიტიკა, ფსიქოლოგისტების მიერ შეფასების აქტის ღირებულების გაიგივების ცდის უარყოფა აქსიოლოგიის ისტორიაში ცნობილი თემაა. ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებდა და საკმაოდ წარმატებითაც ჰუსერლი, რიკერტი, შელერი, ნ. ჰარტმანი. მათ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აქსიოლოგიისა და ლოგიკური სფეროს განმენდა ფსიქოლოგიზმისაგან. მათ შეძლეს ღირებულების გამოყოფა შეფასებისაგან და ამდენად მიუთითეს გზა სუბიექტივიზმისა და ფსიქოლოგიზმისაგან განთავისუფლებისაკენ. ეს კი ნიშნავდა განთავისუფლებას რელატივიზმისაგან, რომლის მიხედვითაც ღირებულება სუბიექტზეა დამოკიდებული და ამ გაგებით ყოველი სუბიექტის, ყველა ადამიანის ყოველი აზრი გამართლებულია და ღირებულია. ასეთი აზრი ცნობილია ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიიდან. იგი ეკუთვნის სოფისტ პროტაგორას, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანი არის საზოგადოება ყველა საგნისა. ადამიანის მიჩნევა ყველა საგანთა საზოგადოებად, არ გამოდგება არც ჭეშმარიტების საყოველთაოობის დასტურად, რაც ჯერ კიდევ იმავე ანტიკურ ეპოქაში, და გასაკუთრებით კი სოკრატეს მიერ იყო დასაბუთებული, და არც ღირებულების თეორიაში. რელატივიზმი საერთო მტერია ობიექტურობისა და იგი ღირებულების სფეროშიც გვართმევს იმის შესაძლებლობას, რომ ღირებულებას ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი. ღირებულების სუბიექტივისტური თეორიები რელატივიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული. სუბიექტივიზმის მიხედვით, ისევე როგორც არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება, არ არსებობს აგრეთვე ობიექტური ღირებულებაც. სუბიექტივიზმი აქსიოლოგიაში ღირებულებას განიხილავს მხოლოდ შეფარდებითი საყოველთაოობის ხასიათით. სუბიექტივისტური აქსიოლოგიის პრეტენზია არ სცილდება რეალური არსებობისა და შეფარდებითი საყოველთაოობის ფარგლებს. განსხვავებით ობიექტივისტურ-იდეალისტური კონცეფციების აბსოლუტურობისა და ზედროულობის დაშვებისა.

ამგვარი ზოგადი ხასიათის მქონე თავისებურებანი კონკრეტულ შემთხვევებში კარგად მიესადაგება უკლებლივ ყველა სუბიექტივისტურ აქსიოლოგიურ სისტემებს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით ფრიდრიხ ნიცშეს და უილიამ ჯემსის კონცეფციები იმდენად ტიპიურია, რომ მათი დახასიათებით საერთო წარმოდგენა გვექმნება სუბიექტივისტური აქსიოლოგიის ყველა სხვა კონცეფციებზე.

ღირებულება ნიცშეს თანახმად ადამიანის სუბიექტის სიცოცხლეზე, ვიტალობაზე, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით ბიოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ნიცშეს აზრით ღირებულია ყველაფერი ის, რაც სიცოცხლეს, ძალაუფლების ნებას ემსახურება. ღირებულება სიცოცხლის, ძალაუფლების ნების სამსახურშია და მას ექვემდებარება. რაც შეეხება ჯემსის სუბიექტივისტურ აქსიოლოგიას, ეს საკითხი მასთან შემდეგნაირად წყდება. მისთვის ღირებულება სარგებლიანობას ნიშნავს, ღირებულია ის, რაც სუბიექტივისტისთვის სასარგებლოა.

ორივე ამ თეორიის, ისევე როგორც საერთოდ სუბიექტივისტური აქსიოლოგიის სხვა თეორიების მიხედვით ღირებულება სუბიექტის ფსიქო-ფიზიკური თავისებურებიდან ამოდის.

ნიცშეს თეორიის განხილვისას თვალშისაცემია ის უეჭველი გარემოება, რომ ნიცშესათვის რაიმეს ღირებულების წყარო, ღირებულების საფუძველი, სუბიექტია, კერძოდ კი სუბიექტის სიცოცხლეა. ასევე მსჯელობს ნიცშე ჭეშმარიტების შესახებ. ღირებულებისა და შესაბამისად ჭეშმარიტების ამგვარმა გააზრებამ არ შეიძლება არ გააბატონოს თვითნებობის იდეოლოგია. თვითნებობის იდეოლოგია კი ყველაფრის ნებადართულობას ნიშნავს, რაც აუქმებს ყოველგვარ წესრიგს და თავად სიცოცხლეს უქადის მოსპობას.

უკეთეს შედეგებს არც პრაგმატიზმი იძლევა. ჯემსის მიხედვით, სარგებლიანობის ღირებულებად გამოცხადება, ისეთივე თვითნებობის ელემენტების შემცველია, როგორც ეს შეინიშნება ნიცშეს თეორიაში. თუ დავეუჯერებთ ჯემსის პრაგმატიზმს, დავდგებით მის პოზიციაზე და ვირწმუნებთ რომ ღირებულია ის, რაც სუბიექტივისტისათვის სასარგებლოა, მაშინაც, ისევე როგორც ნიცშესთან მოსალოდნელია ყოველგვარი წესრიგის მოსპობა და თვითნებობის გავრცელება-გაბატონების საშიშროება. საბოლოო აზრით კვლავაც თავად სიცოცხლის, ადამიანების, კაცობრიობის განადგურების საშიშროებას ბადებს.

შეცდომების მიუხედავად სუბიექტივიზმში არ შეიძლება არ შევამჩნიოთ მთელი რიგი დადებითი მხარეებიც. უპირველეს ყოვლისა სუბიექტური ფაქტორის წინ წამოწევა და სუბიექტის აქტიურობის წარმოჩენა გარკვეულ დონემდე დადებითია წმინდა ობიექტივიზმის საპირისპიროდ იმ აზრით, რომ ღირებულება ყოველთვის სუბიექტისთვის „ვინმესთვის“ ღირებულებაა. თუმცა აქვე არ უნდა დავავიწყდეს, რომ ღირებულება არა მხოლოდ „ვინმესთვის“ ღირებულებაა, არამედ იგი ამავე დროს „რაიმეს“ ღირებულებაცაა. ღირებულება სუბიექტისთვისაა და მას მართლაც არა აქვს არავითარი აზრი ადამიანის გარეშე: სუბიექტის გარეშე არ არსებობს არავითარი ღირებულება. ამ გარემოებამ არ უნდა გამოგვატანინოს უკიდურესი დასკვნები, როგორც ეს ემართებათ სუბიექტივისტებს ზემოთ განხილულ შემთხვევაში ნიცშეს და ჯემსის თეორიის სახით და საერთოდ, ყველა სუბიექტივისტურ აქსიოლოგიურ თეორიებს.

ნიცშეს თეორიაში მრავლად მოიძებნება მთელ რიგ ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემათა უღრმესი გააზრების ცდები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ნიჰილიზმის პრობლემის ძირეული და ყოვლისმომცველი დახასიათება ნიცშეს მიერ. საერთოდ, ნიცშეს დროინდელი ეპოქის, მისი თანამედროვე ევროპული კულტურის კრიზისის ნიცშესეული განცდა და ამ კრიზისის, როგორც საფუძვლიანი კრიტიკის წარმართვა, ასევე ამ კრიზისისაგან თავის დახსნის გზების ძიება, ევროპული და მსოფლიო კულტურის გადარჩენის, კულტურის კრიზისის ჩიხიდან გამოხსნის სურვილია. ამ კუთხით მიმართული უდიდესი ფილოსოფიური და პიროვნული ძალისხმევა. ღირებულებათა გაუფასურების შემდეგი გადაფასებისა და ახალ ღირებულებათა დაფუძნების ცდა და ამ გზით ადამიანის, კაცობრიობის დახსნა, ნიცშეს ნამდვილი, პირველყოფილ-ბუნებრივ ადამიანურ საწყისებზე დაფუძნების აღდგენის, ადამიანისთვის ადამიანურობის იდეალის, ნიცშესეული „ზეკაცის“ სიძლიერის მინიჭების სურვილია. ეს სურვილი ადამიანს ნამდვილ ადამიანურ-ბუნებრივ სიძლიერეს შესძენდა და საბოლოო აზრით, ბედნიერებას მოუპოვებდა, სიცოცხლის ნამდვილ აზრს, სიცოცხლის საზრისს მისცემდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ზეკაცის“ ნიცშესეული იდეალით ბედნიერების მიღწევა კაცობრიობისათვის უნიადაგოა, უფრო მეტიც მისმა თეორიამ შემდგომში არასწორი და ერთობ გაუმართლებელი განვითარება ჰპოვა. სწორედ ნიცშეს თეორიის არასწორი გაგების საფუძველზე აღმოცენდა საკაცობრიო ჭირი ფაშიზმის სახით, რომელიც ნიცშეს დებულებათა დამახინჯებული პოლიტიკური იდეალებით ოპერირებდა და ნიცშეს თეორიის საფარველით შენიღბული კაცთა შორის, ადამიანთა შორის სისხლისღვრისა და გაუმართლებელი ექსცესებით საკუთარი არაადამიანური ინსტიქტების გამოვლინების აპოგეას აღწევდა. ამით კი კაცობრიობას, ადამიანებს და სიცოცხლეს განადგურებას

უქადდა. ეს საბოლოო აზრით ღირებულების სუბიექტივისტური ინტერპრეტაციის ლოგიკური შედეგია და მას ძირეულად ეწინააღმდეგება ღირებულების ობიექტივისტური თვალსაზრისი, რომელიც თავის მხრივ, თუმცა ცდილობს ღირებულების სუბიექტივისტური გაგების უკიდურესობის დაძლევის სუბიექტივიზმის საკმაოდ საფუძვლიანი კრიტიკით და ამით ძალიან კარგ საქმესაც აკეთებს. მაგრამ ისინი ღირებულების ობიექტივისტური სისტემის შექმნით მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და უკიდურეს ობიექტივისტურ თვალსაზრისს ანვითარებენ.

ცნობილია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ღირებულების ობიექტივისტური თეორიების უამრავი სახესხვაობა არსებობს, მაგრამ მიუხედავად თვალსაზრისთა განსხვავებულობისა, მათთვის დამახასიათებელია მთელი რიგი ძირითადი თავისებურებანი.

მაინც რა ნიშნებით ხასიათდება ობიექტივისტური თვალსაზრისი ღირებულების თეორიაში? ობიექტივისტური თვალსაზრისი ამტკიცებს, რომ არსებობს რეალობისაგან სავსებით დამოუკიდებელი იდეალური ღირებულების თავისთავადი სამყარო. ღირებულება ამ თვალსაზრისისათვის არ არის თავისი არსებით მიმართებითი ცნება. ამგვარი შეხედულება დამახასიათებელია ყველა ობიექტივისტური კონცეფციებისათვის. ეს თვალსაზრისი ანტიკურ ფილოსოფიაში იღებს სათავეს. ყველაზე აშკარად ეს მოძღვრება პლატონთანაა წარმოდგენილი. შუა საუკუნეებისა და ახალ ფილოსოფიაში მას ბევრი მიმდევარი ჰყავს, თუმცა ღირებულების ობიექტივისტური კონცეფცია ეყრდნობა ობიექტურ-იდეალისტურ ფილოსოფიას. ობიექტივისტური აქსიოლოგიის მიერ წარმოდგენილი ღირებულებათა სამეფო პლატონის იდეათა სამყაროს მოგვაგონებს, ღირებულების ობიექტივისტურ-იდეალისტურ თეორიებში პლატონური იდეების სამეფო ვინდელბანდ-რიკერტის, ასევე შელერისა და ჰარტმანის აქსიოლოგიისათვის ერთგვარი ამოსავალი ცნებაა. ღირებულება ვინდელბანდ-რიკერტის თეორიაში ესაა იდეალური მნიშვნელობის სფერო. ღირებულება, ვინდელბანდ-რიკერტის აზრით არ არსებული, მაგრამ მნიშვნელობის მქონე იდეალური სამეფოა. ღირებულებანი ქმნიან სუბიექტისა და ობიექტისაგან სრულიად დამოუკიდებელ, თავისთავად სინამდვილისაგან განყენებულ სამეფოს. ღირებულება ვინდელბანდ-რიკერტის აზრით, სინამდვილის იმმხარეული, ზევრცეული და ზედროულად მნიშვნელადია. ღირებულება არსებულზე ამაღლებული ერთგვარი ზეარსებულია.

ღირებულებები შელერისა და ჰარტმანის თეორიებში წარმოდგენილია როგორც „იდეალური არსებებისა“ და „ქვალიტეტების“ თავისთავადი სამეფოები. ღირებულება აქაც პლატონის იდეებს ენათესავება. სხვადასხვა ფილოსოფიური ნიუანსების მიუხედავად ყოველი აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი ერთ რაიმეში იგივეობრივია, ყოველი მათგანისათვის ღირებულება დამოუკიდებელი იდეალური სამეფოა. თითოეული მათგანისათვის ღირებულებათა არსებობა ჩვეულებრივი დროულერცეული არსებობის ფარგლებს გარეთ გადის და იდეალური არსებობის წესით არსებულად გვევლინება. მათთვის დამახასიათებელია თავისთავადი და დამოუკიდებელი სამეფოს ფორმით არსებობა. ღირებულებებს გააჩნიათ არსებობის რეალობისაგან სავსებით დამოუკიდებელი, თავისთავადი იდეალური სამყარო. ამდენად ისინი სრულიად დამოუკიდებელნი არიან სუბიექტისაგან. ღირებულების ამგვარი გააზრება შორს დგას ღირებულების არსის სუბიექტის ფსიქოფიზიკური ორგანიზაციით ახსნისაგან. ღირებულება ობიექტურ-იდეალისტური გაგების თანახმად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიგოთ როგორც სუბიექტის, ადამიანის ბიოლოგიურ სტრუქტურაზე, ან თუნდაც მის ფსიქოფიზიკურ აგებულებაზე ორიენტირებით. მათი გაგებით ღირებულებას არა აქვს მიმართება სუბიექტთან, ვინაიდან ღირებულების არსებობა თავისთავადი ობიექტური და ამდენად ყოველგვარი სუბიექტურისაგან დამოუკიდებელია. ღირებულება არსებობის იდეალური, თავისთავადი და ობიექტური არსებობის წესით არსებობს. მისი არსებობა ყოველმხრივ დაცლილია სუბიექტურობისაგან და მასში არაფერია სუბიექტური. ზოგიერთი თვალსაზრისი სავსებით გამორიცხავს სუბიექტის შეფასების ფსიქოლოგიური აქტის მნიშვნელობას ღირებულებისათვის. ღირებულებისათვის, როგორც ობიექტური, თავისთავადი იდეალური არსებობისა და მნიშვნელობის მქონე სფეროსათვის არა აქვს მნიშვნელობა მას შეაფასებს ვინმე თუ არა, სუბიექტს უკავია შემფასებელი პოზიცია თუ არა. ღირებულების სფერო შეუვალი და მიუდგომელია ყოველგვარი სუბიექტურისაგან. იგი როგორც სინამდვილის, ისე ცნობიერების მიღმა არსებული რეალური სამყაროა ღირებულებებისა. ობიექტივისტური გაგებით ღირებულება ობიექტურია და არა სუბიექტური. ღირებულება თავისთავადი სუბიექტის შეფასების აქტისაგან სრულიად დამოუკიდებელი იდეალური სფეროა, იგი აბსულუტური და უპირობოა. ღირებულება არ შეიძლება განპირობებული იყოს სუბიექტით, ან თუნდაც უფრო მაღალი ინსტანციით „ზესუბიექტით“, „ღმერთით“ და სხვა. ღირებულება თვითონ არის ყოველგვარ სუბიექტზე ამაღლებული ე.წ. „ზეობიექტი“ თავისთავადი, ობიექტური, უპირობო და აბსულუტური. ღირე-

ბულება აბსულუტურია და არა შეფარდებითი. ღირებულება აბსულუტური, ზედროული და საყოველთაოა. ღირებულება ობიექტივისტების თვალსაზრისით არ შეიძლება გაგებული იქნას, როგორც ვიწრო შეფარდებითი საყოველთაობის მქონე. ამ მხრივ ღირებულების ობიექტურ-იდეალისტური გაგება ძირეულად უპირისპირდება ღირებულების სუბიექტივისტურ თვალსაზრისს. ამ თვალსაზრისის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ღირებულება, ობიექტურ-იდეალისტური თეორიების მიხედვით „ზედროული“, იდეალური, თავისთავადი, აბსულუტური და საყოველთაო, სრულიად უპირობო და დაუქვემდებარებელი ფენომენია. მგვარი გაგებით ღირებულება თუმცა ცხადდება ობიექტურად და საყოველთაო ხასიათს იღებს, სამაგიეროდ ღირებულებას ეკარგება სხვა რამ: ეკარგება ის ძირითადი, მთავარი ნიშანი, რომელიც მას ღირებულებად ხდის ის, რაც ღირებულების არსებას შეადგენს – სუბიექტთან, ადამიანთან მიმართებას. არ არსებობს „ღირებულება საერთოდ“, **ღირებულების ცნება მიმართებითი ცნებაა და გულისხმობს, მას, ვისთვისაცაა იგი ღირებული. ღირებულება არსებობს სუბიექტისათვის, „ვინმესთვის“, ისევე როგორც არსებობს ის, როგორც „რაიმეს“ ღირებულება. სხვაგვარად ღირებულების მეცნიერული, სწორი წარმოდგენა შეუძლებელია. ასე გაგებული ღირებულებანი, როგორც წესი, არსებობენ ადამიანთა მიზნებისა და იდეალების სახით.**

ღირებულების წვდომა ურთულესი საქმეა და იგი ფიზიკური და სულიერი ძალების დიდ დაძაბვას ითხოვს. ღირებულებათა წვდომა არ ითხოვს რაიმე განსაკუთრებულ უნარს, ღვთაებრივ ნიჭსა და ღვთიურ გონიერებას. ღირებულებებს სწვდება ადამიანური გონი. გონის მქონე ადამიანი სწვდება ღირებულებებს სხვადასხვა სფეროში. ღირებულებები ცხადია, მნიშვნელობის მქონენი არიან გონის გარეშე, ისინი ობიექტურნი არიან და გონისგან არ არიან დამოკიდებულნი. ერთადერთი მათი ე.წ. დამოკიდებულება გონთან და ამდენად გონის მფლობელ სუბიექტთან, ადამიანთან მდგომარეობს იმაში, რომ ღირებულებები სწორედ გონისთვის, ადამიანისთვის, სუბიექტისთვის და საბოლოო აზრით საზოგადოებისთვის, კაცობრიობისთვის არსებობენ. ღირებულებებს არ გააჩნიათ არავითარი დანიშნულება, გარდა ადამიანის სამსახურისა, ისინი მხოლოდ მიზნები არიან ადამიანისთვის. ისინი ადამიანებს ეძლევიან მიზნებად, ადამიანმა კი ამ მიზნების მიხედვით უნდა იცხოვროს და სწორედ აგვარი ცხოვრებით ამართლებს საკუთრივ ადამიანურ არსებობას. ადამიანი ღირებულებათა სამყაროს, ღირებულებებს უნდა უმადლოდეს ადამიანად ყოფნას. სწორედ ღირებულებების სამსახური აქცევს ადამიანს ადამიანად. ღირებულებას „დამორჩილებული“ ადამიანი სწორედ ადამიანია და არა ცხოველი რისი სამიმროებაც მას მუდამ აქვს, რადგან სოციალურთან ერთად იგი ბიოლოგიური არსებაცაა და მას ასეთი ალტერნატივა ყოველთვის ეძლევა, მას შეუძლია იცხოვროს მხოლოდ ცხოველური არსებობის წესით, სიცოცხლის ბიოლოგიურ იმპულსების გააბსოლუტების გზით. ადამიანი არ უნდა დავიწყანოთ მხოლოდ ფიზიკურ-ბიოლოგიურ ან თუნდაც ფსიქიკურ არსებაზე. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკურ-ბიოლოგიური ან თუნდაც ფსიქიკური არსება. ადამიანი გონითი არსებაა და მას სურს იცოდეს დანიშნულება და ამდენად საკუთარი ადგილიც ამ სამყაროში. ადამიანი სამყაროს გაგების გზით ეძებს და პოულობს საკუთარ დანიშნულებასაც. ადამიანის არსებობის აზრის მიმცემი საფუძველი ღირებულებაა. ღირებულება ადამიანის არსებობის, მისი სიცოცხლის საზრისია, ადამიანის არსებობის გამართლებაა, კაცობრიობის დანიშნულებაა. ადამიანი ცოცხლობს და ცხოვრობს ღირებულებათა სამყაროს „დასაპყრობად“, ადამიანი ილტვის ღირებულებებისკენ, იგი ყურს უგდებს ღირებულებათა სამყაროს ძახილს, ღირებულებათა მომთხოვნ ხმას, რომელიც ადამიანებს მოუწოდებს სრულყოფილი ადამიანური სიცოცხლით ცხოვრებისაკენ. სიცოცხლის გონითი მხარე, ადამიანური გონი იღწვის კიდეც მათკენ. გონი ისწრაფვის ღირებულებათა სამეფოსაკენ, როგორც მიზნებისკენ. ამ მიზანსწრაფვას, გონის ამგვარ ლტოლვას ადამიანის დანიშნულების გასარკვევად და შემდგომ მათ მიხედვით ცხოვრებას უნდა ექვემდებარებოდეს ადამიანის სიცოცხლე, მისი ბიოლოგიური და ფსიქიკური შრეებით. საერთოდ ადამიანში უნდა ბატონობდეს გონი, როგორც ადამიანური არსებობის უმაღლესი საფეხური. მას უნდა მორჩილებდეს სიცოცხლის ბიოფიზიკური და ფსიქიკური ძალები, ადამიანის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური სტრუქტურა, მთელი სხეულებრივი და სულიერი ორგანიზაცია. გონის ამგვარი პრიმატი ადამიანის სწორ, ჭეშმარიტ ადამიანურ არსებობას განაპირობებს. ამგვარი აქცენტირება გონზე არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს წონასწორობას და არ დააზიანებს დაქვემდებარებულ სფეროს, ვინაიდან ბიოლოგიურ-ფიზიკურ და ფსიქიკურ, გონითი ძალების ადამიანური ჰარმონიის მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციის შესრულება გონის კომპეტენციაშია. გონს შეუძლია ადამიანის ადამიანურობამდე ამაღლება. მას შეუძლია ადამიანის სასიცოცხლო ფიზიკურ-ბიოლოგიური და ფსიქიკური, ან თუნდაც გონითი შესაძლებლობების სწორი მიმართულებების მიცემა. იგი მაკონტროლებელი ძალაა აგრეთვე, საკუთარი გონითი აქტებისა და გონითი შესაძლებლობებისა. გონი ამ შემთხვევაში არა მარტო გონიერებაა, არამედ თვითგონიერებაცაა.

სწორედ გონის მეშვეობით შეიძლება ღირებულებებთან მისვლა და ამდენად ადამიანის დანიშნულების გაგება. ადამიანი გონით სწვდება ღირებულებებს. გონი თავისუფალია. გონი სწვდება სამყაროს ნებისმიერ ფენომენს რეალური საგნიდან, ფიზიკურ-ბიოლოგიურ-ფსიქიკური პროცესებიდან, გონით აქტებამდე და თვით ღირებულებათა იდეალურ სფეროსაც. გონის ძალა შეუზღუდავია, იგი თავისუფალია მოქმედებაში და პოტენციურად ყველაფრის ახსნა შეუძლია. ბუნებრივია, მას შეუძლია ღირებულებათა წვდომაც. მითუმეტეს, რომ ღირებულებანი მხოლოდ ადამიანისთვის, მხოლოდ გონისთვის არსებობენ და ითხოვენ მისგან განხორციელებას იმპერატიულ ფორმაში. ღირებულებები მოუწოდებენ გონს თავის თავისკენ და უთითებენ მათი განხორციელების შესაძლებლობებს. ეს კი საბოლოოდ გონისთვის, ადამიანისთვის იქნება სასარგებლო ადამიანური არსებობის სრულყოფის გზაზე. ცნობილია, რომ სიცოცხლის საზრისის წვდომას, მაღალ იდეალების მიხედვით ცხოვრებას და საერთოდ ადამიანის გაკეთილშობილებას, გალამაზებას, მაღალ ადამიანურ საფეხურზე ამაღლებას ყოვეთვის ესწრაფოდა ადამიანი ისტორიულად. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში უხვად მოიპოვება მაგალითები, როდესაც ადამიანთა რჩეული ნაწილი ზღაპრის თუ მითის გმირები ეძებდნენ ბედნიერის, სიკეთისა და სამართლიანობის ქვეყნებს, მაგრამ ვერ პოულობდნენ, რადგან ასეთი ქვეყნები რეალურად არსად არ არსებობდნენ. ასეთი სფერო ღირებულებების სამყაროა. ამგვარი სამყარო არ შეუქმნია არც ღმერთს და არც ადამიანს. ღირებულებებს არ ქმნის არც ღმერთი და არც ადამიანი, ღირებულება არ არის არავითარი სუბიექტის, არც ღვთიურის და არც ადამიანურის სუბიექტური წარმონაქმნი. ღირებულებანი არსებობენ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს გარშემო, ოღონდ არსებობენ ისინი არა რეალურად, არამედ იდეალურად და რაც მთავარია, არსებობენ ისინი ჩვენთვის, ადამიანებისთვის, სუბიექტისთვის, კაცობრიობისთვის. ისინი არსებობენ იდეალურად და ჩვენგან რეალურ ხორცშესხმას ითხოვენ.

ლიტერატურა:

1. ბუაჩიძე თ. 1986- ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან. თბილისი. 1986.
2. პოპიაშვილი ა. 1988- ინდივიდის პრობლემა სორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში. თბილისი. 1988.
3. ელიზბარაშვილი ე. ნიცშე: 2005.-ფილოსოფიის კულისები და სიმულაციები. თბილისი. 2005.
4. სიბაშვილი გ. 1990 - ზეკაცის პრობლემა ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მიხედვით. თელავი. 1990.
5. ნიცშე ფ. 1993-.ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი. 1993.
6. ბაქრაძე კ. 1985 -რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ტ. III თბილისი. 1985.
7. თევზაძე გ. 1968-.გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია. თბილისი. 1968.
8. კოდუა ე. 1966-.ისტორიის ფილოსოფია. თბილისი. 1966.
9. Nietzsche Friedrich. 2005. - Ecce homo. C.H. Beck Munchen 2005.
10. Nietzsche Friedrich. 1926. -Der Wille zur Macht. Munchen 1926 .
11. Rickert H. 2007.- Die Grenzen der naturwissenschaftlichen Begriffsbildung. Tübingen 2007.
12. Rickert H. 2007- Die Philosophie des Lebens .Tübingen 2007 .
13. Rickert H. 2005- Der Gegenstand der Erkenntnis Tübingen 2005 .
14. Бахрадзе К. 1960-Очерки по истории новейшей и современной философии, 1960.

Giorgi Sibashvili

Essence of Value

Summary

The value is the directive concept and implies for something/somebody it is valuable for.

The value implies for the subject, „somebody” as well as „something”.

The different imagination on the value is nonscientific and incorrect. We meet the value perceived in this way in the form of persons and the ideals.

1006 – ფილოსოფიის მეცნიერებანი

09.00.03 Социальная философия и философия истории

Кушерец Тамара Викторовна

Нежинский государственный университет
имени Николая Гоголя

**Критический анализ классовой модели субъекта истории
в современном западном неомарксизме**

Непопулярность исследования марксистского наследия в Украине времен независимости связана главным образом с тем, что некоторые из его основных идей были непосредственно включены в практику построения и функционирования советского тоталитарного государства. В частности, марксистский постулат об исторической миссии пролетариата, его классовом сознании как отражении объективных законов исторического развития человечества, превратившись в фундаментальный принцип государственной идеологии, сделал возможным использование этой социальной группы в качестве орудия подавления сопротивления других социальных групп и слоев, в особенности крестьянства. Сложившееся практически полное отрицание ценности марксистских идей, на наш взгляд, может стать препятствием на пути вхождения Украины в сообщество европейских государств. Как заметил влиятельный немецкий социальный философ У. Бек, существенной преградой на пути интеграции постсоциалистических стран в Евросоюз есть то, что они являются «наивно-современными», то есть они до сих пор не смогли критически переосмыслить и релятивизировать проект модерна. Это означает, прежде всего, пересмотр всех без исключения идеологий, возникших из «духа Просвещения», укорененных в критике «Священной истории» представителями классической философии истории, которые впервые поставили вопрос о ее (истории) движущих силах, что в дальнейшем кристаллизировалось в понятии «субъект истории».

